

ქათავან გუგუღიანი



# იგარეთის ეპარქიის სამრევლო ეკლესიები

(საჩხერის საწინამძღვრო ოლქი  
XIX ს. – XX ს. დასაწყისი)



ქეთევან ქუუკუდიანი



# იმერეთის ეპარქიის სამრევლო ეკლესიები

(საჩხერის საწინამძღვრო ოლქი  
XIX ს. – XX ს. ღასაფყისი)

საქართველოს ეროვნული მუზეუმი  
სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი



გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009



კრებული მოიცავს XIX ს. II ნახევრისა და XX ს. დასაწყისის იმ ერეთის ეპარქიის, საჩხერის საწინამძვრო ოლქში შემაჯავლი სამრევლო ეკლესიების, მათი კრებულისა და მრევლის აღწერებს, მონაცემებს სამრევლო სკოლებზე, ცნობებს ეკლესიების მშენებლობისა და შეკეთება-აღდგენის შესახებ, ასევე საკანცელარიო მიმოწერას, რომელშიც შედის: მიმართვები, მოხსენებები, თხოვნები, დადგენილებები, ოქმები, ანგარიშები და სხვა, ყველაფერი ეს ძოლიანობაში ეკლესიების მდგომარეობის საერთო სურათს ქმნის.

კრებულში ასახულია აგრეთვე გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის ზოგიერთი ეპიზოდი, რომელიც იმერეთის ეპარქიას 1860 წლიდან 35 წლის განმავლობაში ედგა სათავეში. მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ეკლესიების აღდგენა-მშენებლობასა და სამრევლო სკოლების გახსნა-ამოქმედებაში.

რედაქტორი - მლდარ ნადირაძე

რეცენზენტი - ლუიზა გვრიტიშვილი

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2009

© ქეთევან მუშკუდიანი

ISBN 978-9941-10-170-0

საქართველოს  
პარლამენტის  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა



საქართველოს ეროვნული მუზეუმი მუდამ წარმოადგენდა ჩვენი საზოგადოებრივი, სამეცნიერო და კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს, ამ მიღწევასა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურის ძეგლების მოძიების, შეკრების, დაუნჯებისა და შესწავლის საქმეში. საქართველოს მუზეუმი იქცა ძირითად ბაზად ისეთი დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებისათვის, როგორცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი, ხელნაწერთა ინსტიტუტი.

საქართველოს მუზეუმმა დროთა განმავლობაში ყველა სამეცნიერო დაწესებულებას გაუნაწილა თითოეულის სპეციფიკისათვის შესაფერისი მასალა და შეუქმნა ძირითადი სამოღვაწეო ასპარეზი. მაგრამ მის საცავებში დარჩა ზოგიერთი ისეთი სახის დოკუმენტები, რომლებიც სხვადასხვა გარემოებათა გამო დღემდე გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელია.

ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობად იქცა, როცა ეროვნული მუზეუმის დამსახურებულმა მუშაკმა ეთნოგრაფიისა და ისტორიის დეპარტამენტის თანამშრომელმა, ქალბატონმა ქეთევან მუშკუდიანმა, წარმომიდგინა მეცნიერულად მომზადებული დოკუმენტების კრებული საჩხერის საწინამძღვრო ოლქის სასწავლებლების, ეკლესიებისა და მისი მრევლის შესახებ.

უნდა გამოვტყდე, რომ ამ მასალის გაცნობამ დადებითი ემოციები აღმიძრა, თუნდაც იმიტომ, რომ მათში ფიგურირებენ ჩემი წინაპრებიც, რომლებთაც რაღაც მოკრძალებული წვლილი შეუტანიათ საჩხერის ოლქის რელიგიურ და კულტურულ ცხოვრებაში, მაგრამ უფრო სასიამოვნო გამოდგა ის ორი გარემოება, რომ ნაშრომში წარმოდგენილი მასალა გვეკვლინება სრულიად ავთენტიკურ დოკუმენტებად, რომელთა გამომზეურება საჭიროა როგორც ქართული ეკლესიის ისტორიისათვის, ასევე ზემო იმერეთის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების სრულყოფილი წარმოდგენისათვის.

მსურს საგანგებოდ აღვნიშნო იმ სიახლის შესახებ, რომელიც უკავშირდება ჩვენი ეკლესიის უდიდესი მოღვაწის, ეპისკოპოს გაბრიელის

(ქიქოძე) დამოკიდებულებას საჩხერის ეპარქიისა და მისი მრევლისადმი. დოკუმენტებში წარმოდგენილი საზოგადოება, რომელთანაც უხდებოდა ურთიერთობა დიდ მღვდელმთავარს, ხასიათდება მაღალი მორალური-ესთეტიკური მენტალობით, რაც პრაქტიკულად საფუძველს უდევდა XIX-XX ს. საჩხერის რაიონის ინტელიგენციის ჩამოყალიბებას, ამ თვალსაზრისით, ნაშრომში დაფიქსირებული მიმოწერა არაერთი საჩხერელი მოღვაწის წვლილს საკმაოდ ღირსეულად წარმოადგენს.

ზემო იმერეთის კულტურული ცხოვრებით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ნაშრომიდან მიიღონ ძალზე ფასეული ცნობები ადამიანთა შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ საქართველოს ამ რეგიონში სწავლა-განათლების მესვეურნი ყოფილიყვნენ და ქართული კულტურის მდინარებაში თავისი ადგილი დაემკვიდრებინათ, წიგნი კიდევ ერთხელ შეგვახსენებს კომუნისტებისაგან სახელგატეხილი და თაობებისათვის „დამალული“ ადამიანების ღვაწლს, რომლებიც ეკლესიასთან ერთად და მისი მეშვეობით, ცდილობდნენ მამულის მოვლის გრძნობა და ცოდნის სიყვარული ჩაეთესათ ახალგაზრდების გულში. მკითხველს მსურს შევახსენო, რომ ეს იყო დრო საქართველოში რუსიფიკატორული პოლიტიკის ზეობისა, ქართული ეკლესიის რუსული სინოდის ქვეშ ტყვეობისა, ეროვნული აზრის დათრგუნვისა, დრო, როცა საჩხერის ეპარქიას ევალებოდა ფულის შეგროვება სიმბირსკში გონჩაროვის ძეგლის ასაგებად, ვითომ თავად არ ყოლოდეს გამოჩენილი შვილები. მთავარია რომ საქართველო მაინც გადარჩა, გადარჩა მისი ეკლესია, მისი კულტურა, გადარჩა დიდი ადამიანების მოღვაწეობით, რუდუნებით, თავგანწირვით, სასიხარულოა რომ დღიდან ამ დიდებულთა კრებულს ჩვენი რაიონის ნეტარსახსენებელი მამანიც მიემატებიან.

მსურს მადლიერება გამოვთქვა საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებმაც სრულად გაიზიარეს ქ. მუშკუდიანის ნაშრომისადმი ჩემი დამოკიდებულება და ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყვეს თანხა მისი ბეჭდური სახით გამოცემისათვის.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საჩხერის საპატრიო მოქალაქე, პროფესორი ელდარ ნადირაძე



საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახ. ეთნოგრაფიული ხელნაწერთა ფონდში ინახება იმერეთისა და ალავერდის ეპარქიის კანცელარიის საარქივო დოკუმენტური ხასიათის მასალები. მათ შორის გამოირჩევა და ცალკე ჯგუფს ქმნის იმერეთის ეპარქიის საჩხერის საწინამძღვრო ოლქი, სადაც გარდა წმ. სინოდზე დამოკიდებული საშტატო ეკლესიებისა, სხვა – არასაშტატო სამრევლო ეკლესიებიც შედიოდა.

ჩვენს მიერ შედგენილი კრებულის მასალები სამ თავად გადანაწილეთ. პირველი თავი მოიცავს საჩხერის საწინამძღვრო ოლქის ეკლესიების, კრებულისა და მრევლის აღწერებს.

ამ თავს, დავამატეთ ძირონის წმ. გიორგის ეკლესიის 1901 წლის აღწერა (N 4196). დასავლეთ საქართველოს ეს ეკლესია, მართალია, მოცემულ საწინამძღვრო ოლქში არ შედიოდა, მაგრამ ეს საბუთი საინტერესოა იქ მოთავსებული ხატების აღწერის გამო. ამავე დროს იგი ქართული ხელნაწერია, რაც XIX ს. II ნახევრის რუსულენოვან საბუთებში იშვიათობაა. სხვა დანარჩენ რუსულ ტექსტებში დაშვებული უამრავი ენობრივი შეცდომების გამო, ჩვენ მათი ქართულად თარგმნა ვამჯობინეთ.

მეორე თავში შევიდა საკანცელარიო მიმოწერის მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც სამრევლო ეკლესიებისა და მასთან არსებული სკოლების შეკეთება-აღდგენისა და მშენებლობათა შესახებ ცნობებს შეიცავს. ამ მხრივ ყველაზე მეტი ცნობები საჩხერის ორკლასიან სკოლას ეხება.

ეკლესიებისა და სკოლების გახსნა-ამოქმედებას მზრუნველობას არ აკლებდა გაბრიელ ეპისკოპოსი. ფაქტიურად ამ საქმიანობას მისი მოღვაწეობისას ჩაეყარა საფუძველი. ამავე დროს, იგი დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა მრევლისათვის ხატების განახლება-აღდგენას; მფარველობდა სკოლებში გალობის შემოღებას და სხვა მრავალ აუცილებელ და სასიკეთო საქმეს.

მესამე თავში თავმოყრილია საკანცელარიო მიმოწერა: მიმართვები, თხოვნები, მოხსენებები, დადგენილებები, აქტები, ოქმები,

ანგარიშები და სხვა, რომლებიც მთლიანობაში ეკლესიებისა და მისი მრევლის მდგომარეობის საერთო სურათს ქმნის. ამავე თავში არის 1913 წ. 24 სექტემბრის, იმერეთის ეპისკოპოსის გიორგის მიმართვა საჩხერის ოლქის წინამძღვრის ვლ. აბრამიშვილისადმი. საბუთში ლაპარაკია ჯრუჭის მონასტრიდან მინიატურებით შემკული ორი სახარების თბილისში გადაგზავნის შესახებ. მინიატურებით დაინტერესდნენ მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარე გრაფი უვაროვი და პროფესორი ალ. ხახანაშვილი. მინიატურების შესწავლის შემდეგ აღნიშნული სახარებანი ადგილზე უნდა დაბრუნებულიყო. (N 3199).

პირველ თავში ეკლესიათა დასახელება ანბანის მიხედვით დავალაგეთ. მეორე და მესამე თავის მასალა წლების თანამიმდევრობას მიყვება.

ეკლესიების უმეტეს ნაწილზე მითითებულია, რომ იგი „უხსოვარი დროიდან არსებობს და როდის, ან ვის მიერ აიგო, უცნობია“.

სამრევლო ეკლესიების, მათი აგების, აღდგენის და მშენებლობათა შესახებ, კრებულის დოკუმენტურ მასალაში არსებული ყველა მონაცემი ამოვკრიბეთ და მათი სრული ნუსხა წიგნის ბოლოშია დართული. მომდევნო სია ასახავს ტექსტში ნახსენებ ყველა ეკლესია-მონასტერს.

კრებულის ბოლოს მოვათავსეთ გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი წერილები თავისი ძმისშვილ მარიამისადმი. ფონდში სულ 70 ბარათის ასლი ინახება, ქართულ და რუსულ ენებზე, სათაურით: „წერილები ეპისკოპოსის გაბრიელისა ნანახი ქ. თბილისში, ქ-ნ მარიამ სიმონის-ასული სემენენკოს ოჯახში (გაბრიელის ძმის, დეკანოზის – სიმონის შვილია, გაბრიელისაგან გაზრდილი)“. (N 9102).

წიგნს ერთვის გაბრიელ ეპისკოპოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მნიშვნელოვანი თარიღები.

ზემოთ აღნიშნული წერილებიდან ჩვენ შევარჩიეთ მისი ზრუნვის, სიბოძის, გულისხმიერების გამოძახატველი 12 წერილი. იგი მუდმივად დახმარების ხელს უწყვდის საყვარელ ძმისშვილს: ავადმყოფობის

დროს, შვილების აღზრდა-განათლებისათვის, სააღდგომოდ, ოჯახური პრობლემების მოსაგვარებლად და სხვა ათასგვარი საჭიროებისათვის და ღიდად ხარობს მისი ოჯახის კეთილდღეობით.

წერილებიდან ჩანს, რომ ეპისკოპოსმა გაჯავრებაც იცოდა. მისი ყველა წერილი იწყება სიტყვებით: „საყვარელო ძმისწულო მარიაჲ!“ ამჯერად, ერთ-ერთ ბარათში გაჯავრებული ბიძა ძმისშვილს მკაცრად მიმართავს: „მარიაჲ! რას ჩამაცვიდი ქალო ამ ვილაც ვასილ ბერით, წერეთლით. კაცხის მონასტერში არ არის ადგილი და კიდევ რომ იყოს, რა იცი, რომ იმას მივცემ. იქნება იმაზე უფრო ღირსმა და ნამსახურმა ითხოვოს. განა არ გაგიგონია, რომ მე ამისთანა თხოვნა არ მიაძება?“.

წერილი კარგად გამოხატავს გაბრიელ ეპისკოპოსის ხასიათს. თავისი სამართლიანი მოქმედებით იგი ყოველთვის მაღალ ზნეობრივ მაგალითს იძლეოდა. ერთ-ერთ წერილში მარიაჲს ატყობინებს რა საკუთარი ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, წერს: „ტიტოს (ექიმი ტ. ქიქოძე) უთხარი, რომ შენ ყოველ წამლობას და რჩევას აჯობა წმინდა ჰაერმა, მოძრაობამ და ფიზიკურმა შრომამ, მოგზაურობამ. ამასთან, აღწერს უამინდობისას მოგზაურობის სირთულეს და ხიფათის ამბავს. ცნობილია, რომ იგი დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხეში ბევრს მოგზაურობდა და თავისი ქადაგებით ყველაზე მივარდნილ, მიუღვამელ სოფლებშიდაც მრევლს სულიერ საზრდოს აწვდიდა.

XIX ს. დასაწყისიდან რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ საქართველოს სამეფო ხელისუფლების მომლასთან ერთად ეკლესიის ავტოკეფალიაც გააუქმა.

1811 წლიდან საქართველოს ეკლესიის მართვისათვის საეზარქოსო შეიქმნა. იგი უშუალოდ სრულიად რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს. ამიერიდან საქართველოს ეკლესიას განაგებდა ეზარქოსი, რომელიც წმ. სინოდის წევრად ითვლებოდა. სასულიერო საქმეების წარმართვისათვის დააწესეს დიკასტერია, რომელიც 1814 წლიდან საქართველო-იმერეთის სინოდადური კანტორით შეიცვალა.

რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში შემოსვლისთანავე



მთელი საეკლესიო მიწები სახაზინო უწყებაში ჩარიცხა და ამით ქართულ ეკლესიას ეკონომიკური საფუძველი გამოაცალა. მაგ. საჩხერის საწინამძღვრო ოლქის სამრევლო ეკლესიებიდან მხოლოდ ოთხიოდეს თუ შემორჩა მიწისა და ტყის სულ მცირე ნაკვეთი. (N 4942, 4947, 4500, 45003, 5085). ამის შემდეგ სინოდმა ეკლესიის მსახურებს განსაზღვრული-გადაჭრილი ხელფასი დაუნიშნა, რომელიც დროთა ვითარებაში თანდათან მცირდებოდა და ეკლესიას ისევ მრევლი ინახავდა.

სამრევლო ეკლესია, რომლის კრებულის წევრები წლიურ ხელფასს წმ. სინოდიდან იღებდნენ, საშტატო ეკლესიად ითვლებოდა. მასზე მიმაგრებულ ეკლესიას – ზედმიწერილი ეწოდებოდა.

ყოველწლიურად განსაზღვრული რაოდენობისა და სხვადასხვა დანიშნულების წიგნებს – დავთრებს, ეკლესია სინოდიდან დაწესებული საფასურით იღებდა. (ასეთი იყო: 1. დაბადების, 2. ქორწინების, 3. გარდაცვალების, აღსარების მთქმელთა, შემოსავალ-გასავლისა და სხვა).

ზემოთ აღნიშნულ წიგნებს შორის საყურადღებოა ეკლესიის, მისი კრებულისა და მრევლის აღწერის დავთრები, სადაც ცალკეულ კითხვარებზე შესაბამისი პასუხი უნდა გაცემულიყო.

ეკლესიის ნაგებობის გარდა აღიწერებოდა მთელი საეკლესიო უძრავ-მოძრავი ქონება, კრებულის წევრთა შემადგენლობა, მათი ბიოგრაფიული და სამსახურებრივი მონაცემები, განათლების დონე, ხელფასის ოდენობა (როგორც ხაზინის მიერ გაცემული ხელფასი, ასევე მრევლის მიერ გაღებული ე.წ. დრამის ფული), დამსახურების ხარისხი, ჯილდოები და ა.შ.

ეკლესიისა და კრებულის მონაცემებს ბოლოში მრევლის აღწერა ერთვის. იგი კომლობრივად, წოდებრივი გრადაციისა და სქესის მიხედვითაა აღრიცხული და დაყოფილი. აღწერა ჯამური მონაცემებით მთავრდება.<sup>1</sup> მრევლის აღწერა სტატისტიკური თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რადგან სხვა წყაროებთან შეჯერებით შეიძლება თითოეული სოფლისა და მთლიანად ოლქის მართლმა-

<sup>1</sup> დოკუმენტში ასახული ჯამური მონაცემები ზოგჯერ არაზუსტია, რაც ხელუხლებლად დავტოვით.

დიდებული მოსახლეობის რაოდენობის დადგენა.

XIX ს. II ნახევრიდან იმერეთის ეპარქიის ეკლესიების მშენებლობანი, ძველების შეკეთება-აღდგენა, მოვლა-მოწესრიგება წინაპერიოდთან შედარებით გაცილებით შესამჩნევი იყო. ამავე დროს, გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის დროს (1860-1896), ეკლესიის მსახურთა შერჩევას, მათი ცოდნა-განათლების დონის მიხედვით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. იგი გამუდმებით ზრუნავდა, რომ ეკლესიებში მცოდნე, განათლებული, შრომისმოყვარე და ღირსეული პიროვნებები განეწესებინა. მაგალითად, 1877 წლის ერთ-ერთი საბუთში მითითებულია: „მედავითნეს თხოვნაზე უარი ეთქვას, მისი არადამაკმაყოფილებელი ცოდნის გამო“ (N 2037) ეპისკოპოსისთვის მიუღებელი იყო საქმისადმი გულგრილი, უყურადღებო დამოკიდებულება. მან მედავითნე ი. წერეთელი სამსახურიდან დაითხოვა უნებართვოდ წასვლის გამო, ხოლო დეკანოზი ი. აბაშიძე უყურადღებობისათვის 10 მანეთით დააჯარიმა. (N 3409). ამავე დროს განათლებულ, შრომისმოყვარე ახალგაზრდებს მზრუნველობას არ აკლებდა. 1877 წ. იგი წინამძღვარს მიმართავს: „ეს ახალი ნაკურთხი სემინარიელი თვით თქვენ შეიყვანეთ მრევლში. თქვენი მხრით შემწეობა მიეცით. ახლა მას ესაჭიროება ფული, მიეცით სესხი და მერმე გამოურიცხეთ“ (N 9000).

გაბრიელ ეპისკოპოსს ყურადღების გარეშე არ დარჩენია ისეთი გამორჩეული სასულიერო პირის მოღვაწეობა, როგორც ვლადიმერ აბრამიშვილი იყო. ვიდრე იგი საჩხერის საწინამძღვრო ოლქის სათავეში მოვიდოდა, მან გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხევითა და ხელდასხმით საკმაოდ გრძელი გზა გაიარა.

ვლ. აბრამიშვილი (დაბ. 1862 წ. სასულიერო პირის ოჯახში) თბილისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ, გაბრიელ ეპისკოპოსმა დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში განაწესა. ამავე დროს ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებული სანიმუშო საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად დანიშნა. 1889 წლიდან იგი გაბრიელ ეპისკოპოსმა ჯერ სპეთის, შემდეგ სავანის ეკლესიაში მღვდლად განაწესა. 1892 წლიდან საჩხერის საეკლესიო-სამრევლო სკოლის

გამგე და საღვთო სჯულის მასწავლებელი იყო. 1895 წლიდან არგვეთში გადაიყვანეს და პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდა. სხვადასხვა დროს იყო იმერეთის ეპარქიის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურე, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და სხვა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა ვლ. აბრამიშვილი არახჩინით დაავიღ-  
დოვა, 1902 წ. კუნკულით დაავიღდოვდა. 1907 წლიდან იმერეთის  
ეპისკოპოსმა ლეონიდემ იგი საჩხერის ოლქის წინამძღვრის თანა-  
მდებობაზე დაამტკიცა (NN 4977, 4455).

საკანცელარიო მიმოწერის მასალებში არის ა. ტყემალაძის  
(მასწავლებელი) უთარილო პირადი ბარათი მღვდელ ვლ. აბრა-  
მიშვილისადმი. წერილში საუბარია ილია წინამძღვრიშვილზე,  
რომლის შემწეობითა და დახმარებით წერილის ავტორი იალტის  
მებაღეობა-მელვინეობის სასწავლებელში სახელმწიფო ხარჯით  
„პრაქტიკანტად“ მიიღეს.

წერილი კიდევ ერთხელ გვაუწყებს, რომ ი. წინამძღვრიშვილის  
ზრუნვის საგანი არა მხოლოდ მის მიერ დაარსებული სკოლა და  
მასთან დაკავშირებული უამრავი პრობლემების მოგვარება იყო<sup>1</sup>.  
ამასთან იგი ზრუნავდა და შეძლებისდაგვარად დახმარების ხელს  
უწყვდიდა იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც ცოდნის შესაძენად და  
გასაღრმავებლად ქვეყნის გარეთ სასწავლებლად მიემგზავრებოდ-  
ნენ.

როგორც ა. ტყემალაძე გვამცნობს: „აქ წამოსვლის სურვილი  
აღძრა I წინამძღვრიანთ-კარის სკოლამ, სადაც საჭირო იყო და  
არის სხვა ცოდნის მქონე ადამიანი და II) ჩვენმა მამულების უკან-  
უკან დახვევამ. აბა ვინ არის ჩვენში, სადაც უღატაკესი გლეხიც  
ვერ სძლებს უღვინოთ, ვინ არის რომ მათ უჩვენოს თუ როგორ

---

1 ი. ჭავჭავაძე, ი. წინამძღვრიშვილის მიერ უანგარო შრომითა და საქმის  
სიყვარულით დაარსებული სკოლის ამოქმედებას დიდ შეფასებას აძლევდა და მას  
სასწაულს უწოდებდა. ი. წინამძღვრიშვილმა სკოლის გახსნით „აკვანი დაღა ცოდნია  
გასაზრდელად“, ამბობდა ილია.

„სიტყვა წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“.

„წინამძღვრიანთ-კარის ქართული სამეურნეო სკოლა“. 1886. ი. ჭავჭავაძე, ტ. 4.  
თბილისი., 1987, გვ. 252-258.

მოუარონ მამულს, რომ არ გამოეცალოსთ ხელითგან წყარო ცხ-  
ოვრებისა. აი, ამ ჰაზრმა მაიძულა, რომ ცოტა რამ გამეგო თუ რა  
მოეგვარება ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას“.

ეროვნული  
მონასტრები

ა. ტყემაღაძე წერილში ეხება აგრეთვე სასწავლებლების მოწოდებებს, რაც სახელმწიფო ხარჯზე მყოფ ახალგაზრდებს ჰქონდათ. (N 2829).

იმერეთის ეპარქიის ეკლესიებში თბილისის, ქუთაისის, კიევის, გორის სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში სწავლამიღებულთა გვერდით მოღვაწეობდნენ ადგილობრივ ეკლესიამონასტრებში (გელათის, ვანის, კაცხის, ჯრუჭის...) ნასწავლი სასულიერო პირები.

უმრავლესობას განათლება მონასტრებსა და ადგილობრივ ეკლესიებში ჰქონდათ მიღებული. ჩანს, რომ ისინი მრევლთან უფრო ახლოს იყვნენ და მეტი გავლენითა და ნდობით სარგებლობდნენ. ამას მოწმობს სოფ. ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიის მღვდლის დიმიტრი აბდუშელიშვილის მაგალითი. ქუთაისის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ ქართული დამწერლობა, საეკლესიო წესდება და გალობა, მან ვანის მონასტერში შეისწავლა. (NN 4455, 4552, 4968, 4980, 5000, 5004).

1909 წლის მონაცემებით საჩხერის საწინამძღვრო ოლქის ეკლესიების მღვდლებიდან სასულიერო სემინარია ხუთმა პირმა დაამთავრა; სასულიერო სასწავლებელი – ოთხმა, გორის ა/კ. სამასწავლებლო სემინარია – ერთმა (N 5120).

საწინამძღვრო ოლქის კანცელარიის საბუთებში მრავლადაა რუსეთიდან მიღებული საგადასახადო აქტები.

მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, რაც კი საგადასახადო აქტები არსებობდა, უკლებლივ ყველაზე შორეულ, მივარდნილ ქართული სოფლის ეკლესიამდეც აღწევდა. ეკლესიებში შეგროვილი თანხა აქტში მითითებულ სხვადასხვა საზოგადოებებისა და კომიტეტების მისამართზე რუსეთში უნდა გაეგზავნათ. ასეთი იყო: პალესტინის მართლმადიდებელთა საიმპერატორო საზოგადოება, მისიონერთა, მცირეწლოვან დამნაშავეთა გამასწორებელი საზოგადოება, წითელი და თეთრი ჯვრის საზოგადოებანი, გეორგიევსკის



კომიტეტი, რომელიც დიდმა მთავარმა მიხეილ ალექსანდრეს ძემ დააფუძნა და მრავალი სხვა.

1904 წ. იმერეთის ეპარქიის სოფ. ჩხიროულის წმ. გიორგის ეკლესიის შემოსავალ-გასავალის წიგნში ვკითხულობთ: „განსაცემი ფულები: კავკასიაში ქრისტიანობის აღსადგენად, გასაუმჯობესებლად მღვდმარეობისა პალესტინაში, ქრისტეს. საფლავისათვის, დაჭრილ და ავადმყოფ მეომართათვის, გასავრცელებლად ქრისტიანობისა წარმართთა შორის, აღსაშენებლად სხვადასხვა გარეშე ადგილებზედ ეკლესიებისა“ და სხვა (N 4494-96). ამ დროს ადგილობრივი ეკლესიების შეკეთება-აღდგენა უსახსრობის გამო ფერხდებოდა და ჭიანჭურდებოდა (N 2040, 2056).

1912 წ. წინამძღვარმა მიიღო შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოგზავნილი ქ. სიმბირსკის საგუბერნიო კომისიის მიმართვა, რათა ივანე გონჩაროვის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით, მისი ძეგლის ასაგებად ეკლესიებიდან მოგროვებული თანხა ქ. სიმბირსკში გადაეგზავნათ (N 2048).

1914-1915 წლებში ამგვარი აქტების მიღება უფრო გახშირდა. ს. პეტერბურგის თეთრი ჯვრის აქტის მიხედვით იმერეთის ეპარქიის ეკლესიებს ყოველი წლის 20-21 ნოემბერს მიღებული შემოწირულებანი ამ საზოგადოებისათვის უნდა გადაეგზავნათ. იგი უნდა მოხმარებოდა ომში დაღუპულ ჯარისკაცებსა და ხეიბრებს, ქვრივ-ობლებს და ა.შ.

კრებულის მეორე თავში საკანცელარიო მასალების ნაწილი სამრევლო სკოლებს ეხება.

საქართველოში საეკლესიო-სამრევლო სკოლები უძველესი დროიდან ეკლესია-მონასტრებთან არსებობდა, ან მღვდლის სახლში იყო გახსნილი.

XIX ს. II ნახევარში და XX ს. დასაწყისში საჩხერის საწინამძღვრო ოლქის ეკლესიებთან მოქმედებდა დაწყებითი სკოლები (საჩხერე, კაცხი, ჭალა, არგვეთი, მერჯევი, სვანე და სხვა). ამ სკოლებს ეპისკოპოსი გაბრიელი მზრუნველობას არ აკლებდა. 1881 წ. ერთ-ერთ მიმართვაში იგი მიუთითებდა: „ყოველი პრიზოდის მღვდელი ვალდებულია გახსნას სასოფლო სკოლა თავისის საკუ-

თარის საშუალებით და მით აღმოუჩინოს ნაყოფი თავის მრევლს“ (N 3604). ჩანს, რომ ხელისუფლება ამ საგანზე ნაკლებად ზრუნავდა და მთელი სიმძიმე ეკლესიის კრებულსა და მრევლს უნდა ეტვირთა.

1885 წ. წმ. სინოდმა ამგვარი სკოლებისათვის „სასწავლო გეგმა“ დაამტკიცა. ერთკლასიან სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა სამი წელი იყო, ორკლასიანში — ოთხი წელი. სასწავლებლის დანიშნულება ხალხში მართლმადიდებელ რწმენის განმტკიცება და მარტივი სასარგებლო ცოდნის მიცემა იყო. სკოლაში ასწავლიდნენ: საღვთო სჯულს, ღოცვებს, გალობას, მოკლე კატეხიზისს, მშობლიურ და რუსულ ენას, დაწყებით-ელემენტარულ მათემატიკას. ორკლასიანში დამატებით ისწავლებოდა ეკლესიისა და სამშობლოს მოკლე ისტორია.

ორკლასიანი სკოლის წარმატებით დამთავრებულებს სამრევლო სკოლის მასწავლებლობის უფლება ეძლეოდათ.

კათოლიკოს-პატრიარქი კირიონი (იმ დროს — 1901 წ. — გორის ეპისკოპოსი) სამრევლო სკოლას ასე ახასიათებდა: „უნდა ითქვას, რომ თავის მხრივ მოსახლეობა მათ დიდი ნდობით და სიყვარულით ეკიდებოდა და სასწავლებლად სიამოვნებით აბარებდა თავის შვილებს, მითუმეტეს, რომ მეტწილად საფასურის გარეშე იღებდნენ განათლებას...“

მოსახლეობა, რომელიც მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, ამ სკოლებში რელიგიურ-ხნეობრივი აღზრდის საიმედო საშუალებას ხედავდა<sup>1</sup>.

საჩხერის საწინამძღვრო ოლქის სკოლები ძირითადად ყველა ერთკლასიანი იყო, გამონაკლისს წარმოადგენდა საჩხერის ორკლასიანი სკოლა. კრებულში არის ამ სკოლის 1892-1894 წ.წ. შეკეთება-შმენებლობის ცნობები. 1892 წ. ამავე სკოლაში გადაწყვიტეს, კერძო შემოწირულობების ხარჯით, გალობის მასწავლებლის მოწვევა (N 3345). აქვე წარმოდგენილია „პროგრამა გეოგრაფიული განყოფილებისა ი. გოგებაშვილის ბუნების კარის

<sup>1</sup> Киррион „Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XX столетие“ Тиф. 1901. გვ. 216.

მიხედვით“. (N 4561).

1816 წ. სავანეს სკოლაში სამი განყოფილება იყო და მოსწავლეთა რაოდენობა ისე გაზრდილია, რომ „მასწავლებელს უჭირდა თავი გაერთვა ამ რაოდენობის ბავშვებისათვის“. (N 2049).

XIX ს. II ნახევრიდან სკოლებში რუსული ენა სულ უფრო ინტენსიურად ინერგებოდა. სკოლებში ბავშვებს მათემატიკაც რუსულად უნდა ესწავლათ. მაგ. 1894 წ. „სასკოლო საბჭო თხოულობს, რათა საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ბავშვების მიერ რუსული ენის შესწავლას და მათემატიკის ტერმინების რუსულ ენაზე დაუფლებას“. (N 3189)<sup>1</sup>.

რუსიფიკატორული პოლიტიკა საქართველოში განსაკუთრებით გოლიცინის მმართველობის დროიდან (1896-1905 წ.წ.) გამძაფრდა. მას „ძიელი კავკასიის მოსახლეობის ჭეშმარიტ რუს ადამიანებად გადაქცევა“ საჭიროდ და აუცილებლად მიაჩნდა<sup>2</sup>.

1911 წლის დადგენილებით, ეკლესიებზე და სამრევლო სკოლებზე მეთვალყურეობა პოლიციას დაევალა. „ქართულ ენაზე შედგენილი ყველა დადგენილება, განაჩენი რუსულად უნდა ითარგმნოს და ისე წარედგინოს საეპარქიო ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც დასამტკიცებლად გუბერნატორთან გაიგზავნება“, ნათქვამია დადგენილებაში (N 2886).

საჩხერის საეპარქიო ოლქის კანცელარიის მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი იმერეთის ეპარქიაში გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის პერიოდს (1860-1898 წ.წ.) ეხება. მის მიერ ხელმოწერილი საბუთები ასახავს ეკლესიებზე და სკოლებზე ეპისკოპოსის გამუდმებულ მზრუნველობას. აქვეა მისი მიმართვები სასარგებლო სამსახურისათვის მღვდლების დაჯილდოვების შესახებ (N 5109).

იმერეთის ეპისკოპოსი დიდხანს ელოდა თავისი აღთქმული ოცნების განხორციელებას, — ქუთაისის სასულიერო სემინარიის გახსნას, რასაც 22 წელი დასჭირდა. დიდი ხნიდან დაწყებული მიმოწერა როგორც იქნა დასრულდა და 1894 წ. ქუთაისში 6

1 „სკოლაში ყველაფერს რუსულად გვასწავლიდნენ, თუმცა ეს ენა მოსწავლეთ სრულიად არ ესმოდათ“. ნ. ნიკოლაძე, მოგონებები, თბ. 1984. გვ. 18.

2 С. Ю. Витте. Воспоминания, т. 1. 1960. გვ. 43.

კლასიანი სასულიერო სემინარია გაიხსნა.

კირიონი ამ საქმეში გაბრიელ ეპისკოპოსის უდიდეს ღვაწლზე მიუთითებდა და აღნიშნავდა: „სამართლიანობა და ჭეშმარიტება მოითხოვს, რომ მოვიხსენიოთ უსამღვდელოესი გაბრიელი მან 22 წლის განმავლობაში გადატანილი გონებრივი და მოქმანცველი შრომის გარდა, ამ წმინდა საქმეს ჯერ კიდევ 1873 წ. 1. 000 ნაღდი თანხა შესწირა. ანდერძით, სემინარიის სასარგებლოდ, სამოდ მნიშვნელოვანი თანხა — 5 000 მან. დატოვა“<sup>1</sup>.

კირიონმა გაბრიელ ეპისკოპოსს თავის წიგნში ცალკე თავი მიუძღვნა, სათაურით: „იმერეთის, ეპისკოპოსის უსამღვდელოესის, გაბრიელის მისიონერული მოღვაწეობა“, სადაც დიდი სითბოთი და პატივისცემით დაახასიათა და წარმოაჩინა მისი ყველა დადებითი თვისება. იგი გაბრიელ ეპისკოპოსს უწოდებს „ყოველმხრივ უნაყოფიერეს მეცნიერების ლამპარს, რომელიც თავისი ღვთიური სიბრძნის კაშკაშა სხივებს აფრქვევდა მაშინდელი იმერეთის ყველა კუთხეში“<sup>2</sup>.


1868 წ. გაზ. „კავკაზში“ გაბრიელ ეპისკოპოსი აღწერს თავის მისიონერულ მოგზაურობას აფხაზეთსა და სამურზაყანოში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ საინტერესო მოგზაურობამ, ეპისკოპოსის თვალთ დანახულმა მრავალმა ფაქტმა და აღწერამ, რის შესახებაც ვაქვეყნებთ სტატიას: „გაბრიელ ეპისკოპოსის მოგზაურობა აფხაზეთსა და სამურზაყანოში 1868 წელს“<sup>3</sup>.

კირიონი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი მისიონერულ მოღვაწეობას სხვებისაგან სრულიად განსხვავებულად, დიდი სიფრთხილით ეწეოდა. მან იცოდა, რომ ამ საქმეს დიდი დრო და ხელშემწყობი პირობები ესაჭიროებოდა. იგი თავის ასეთ მნიშვნელოვან და მძიმე საქმიანობას დინჯად, ფრთხილად, სრული გაგებით ეკიდებოდა და ამიტომაც მის მოქმედებას ყოველთვის უხვი და კეთილი ნაყოფი მოჰქონდა.

1 Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие. 1901. გვ. 196.

2 იქვე გვ. 125.

3 გაზ. „კავკაზი“. 1869 წ. 12-15.





„მისიონერულ მოღვაწეობას ხელს უწყობდა მისი წარმოსადგენი გარეგნობა, მსუბუქი, მშვიდი, წმინდა მამობრივი ძეგრა; რბილი, მეტყველი, სულში ჩამწვდომი ხმა უხვად გადმოსჩქეფდა ყოველთვის მწყობრ, ენერგიულ საუბარში“<sup>1</sup>.

გაბრიელ ეპისკოპოსი მარტივად, ხალხისათვის გასაგები ენით საუბრობდა; მოგზაურობდა სრულიად უბრალოდ, ყოველგვარი პომპეზურობის გარეშე. მთაში, ტყეში, ხეობებში, ცხენით ან ფეხით მიდიოდა. იყო შემთხვევები, როცა მთის ბილიკებზე, ცხენის კულზე ჩაჭიდებული გზას მიიკვლევდა და ყოველ წუთს ხიფათი ელოდებოდა. მგზავრობისას მას მხოლოდ შიკრიკი და მორჩილი ახლდა. მისი მოგზაურობის მარშრუტი წინასწარ არ დგებოდა და არ ქვეყნდებოდა.

ილია ჭავჭავაძე მის შესახებ ამბობდა: „საკმაოა კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელ ეპისკოპოსისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ვითარცა მზის შუქი. თითოეული წამი მისის ცხოვრებისა — მოძღვრებაა, მაგალითია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის“<sup>2</sup>.

ილიამ ყურადღება გაამახვილა ეპისკოპოსის მოღვაწეობის იმ მხარეზე, რომ მან თავისი მოძღვრებით მეცნიერება და სარწმუნოება ერთმანეთს შეუთავსა. „მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო, თუ სამღვდლო, რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობის ყოფით, მომეტებულის და-ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება“ — აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე.

იმერეთის ეპარქიაში, სადაც იმ დროს აღხაზეთიც და სამურზაყანოც შედიოდა, თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის პერიოდში გაბრიელ ეპისკოპოსმა მთელი ეპარქიის მოსახლეობის ნდობა, აღიარება და ღიდი სიყვარული მოიპოვა. იგი თავისი მოქმედებით, საქციელით ყველასთვის მისაბაძი მაგალითი იყო.

სასულიერო უწყებათა შორის მიმოწერის საკანცელარიო მასალების ფრაგმენტულობის მიუხედავად, შევეცადეთ შინაარსობრივად მათი ცალკეულ თავებად გამოყოფა, რათა გადმოგვეცა XIX ს.

1 Кирион, краткий очерк... დასახ. ნაშრომი, გვ. 125-127.

2 ი. ჭავჭავაძე, ტ. IV, პუბლიცისტური წერილები, თბ. 1987, გვ. 419.

- XX ს. დასაწყისში სამრევლო ეკლესიებისა და მასთან არსებული სკოლების მოქმედების არეალი. აღნიშნული პერიოდის ეკლესიების დიდი ნაწილი დროთა ვითარებაში დაინგრა, განადგურდა და არსებობს. კრებული იძლევა იმის საშუალებას, რომ ვიცოდეთ წარსულში სად, რომელი ეკლესია მოქმედებდა და მასთან დაკავშირებული სხვა მრავალი საინტერესო ფაქტი.

ჩვენს მიერ შედგენილი კრებულის მიზანია საზოგადოების ფართო ფენებისათვის და კერძოდ, საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის ხელმისაწვდომი გახდეს ს. ჯანაშიას სახელობის მუზეუმის საცავებში - ფონდებში დავანებული ხელნაწერები და დოკუმენტური პირველწყაროს მნიშვნელობის საბუთები. მათი გათვალისწინება აუცილებელია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიისა და ეკლესიასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესწავლისათვის. ამასთან, სამეცნიერო ბრუნვაში შევა მუზეუმის ფონდებში დაცული დღემდე უცნობი მასალა.

საქართველოს  
პარლამენტი



**იპერპითის ეპარქიის. საჩხერის საწინამკობრო  
ოლქის სამრევლო ეკლესიების. კრებულის  
პრაქლის აღწერა**

1894 წ. უწყება არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიისა.

რუსულ ენაზე, დედანი, ზომა:35X22 სმ;

N 4999 8 – 64/67

N 5002 8 – 64/70

1/ ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, სამრევლოს გარეშე. როდის და ვის მიერ აიგო, უცნობია. აღდგენილია მრევლის ხარჯით 1874 წელს.

2/ კანკელი, საეკლესიო ნივთები, სამოსი, ჭურჭელი და საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები ეკლესიას აქვს და გამოსადეგია.

3/ მიწები კრებულისათვის, ნაგებობანი ბიბლიოთეკისა და სამზრუნველოსათვის ეკლესიას არ გააჩნია. სამხრეთის მხრიდან აქვს მიშენება, სადაც წერა-კითხვის სკოლაა მოთავსებული.

4/ ეკლესიის მღვდლები არიან სპირიდონ აბრამიშვილი და მაქსიმე ხარშილაძე, დიაკვანი ილირიონ ზამბახიძე, მედავითნები: იაკობ ტყემალაძე და სამსონ ნადირაძე.

5/ მღვდლებს, დიაკვანსა და მედავითნებს აქვთ საკუთარი მამული და სახლი. აბრამიშვილი ხაზინიდან წლიურად იღებს 70 მან. დიაკვანი ი. ზამბახიძე – 24 მან., მედავითნე ი. ტყემალაძე – 24 მან. გარდა ამისა, შემოსავალს მრევლიდან იღებენ: მღვდელი დაახლოებით 160 მან. დიაკვანი და მედავითნე, თითოეული, წელიწადში 40 მანეთს.

6/ ეკლესიას ზედმიწერილი ეკლესია არ გააჩნია.

7/ უახლოესი ეკლესიაა სავანის წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც 2 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

8/ მეტრიკული ამონაწერების ასლები 1828 წლიდან ინახება / ზოგიერთი წლის გამოკლებით/, აღსარების მთქმელთა სიები 1839 წლიდან არის, 1840, 1844-45 წლების გამოტოვებით.

9/ სარევიზიო წიგნები, შეძლებისდაგვარად, წესების დაცვით/ წარმოებს.

10/ ეკლესიას ქონების ანაწერი აქვს.

11/ შემოსავალ-გასავლის წიგნები სწორად იწარმოება.

12/ ეკლესიას გააჩნია ნაღდი ფული – 13 მან. 10 კაპ. 1887 წლის 4 ივნისიდან ქუთაისის შემნახველ საღაროში აქვს თანხა – 83 მან. 9 კაპ.

მრეველი ცხოვრობს სოფლებში:

არგვეთი	კომლი	კაცი	ქალი
სასულიერო წოდება	6	13	13
აზნაურები	33	119	105
გლეხები	172	519	467

მახათაური	კომლი	კაცი	ქალი
გლეხები	83	321	284

---

სულ 261 972 869

არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული:

მღ. სპ. აბრამიშვილი

მღ. მ. ხარშილაძე

დიაკვანი ი. ზამბახიძე

მედავითნე ი. ტყემალაძე

მედავითნე ს. ნადირაძე

1894 წ. ნამსახურობის ნუსხა არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისა. დედანი. რუსულ ენაზე. ზომა: 35X22 სმ; №500 8-64/68

1/ მღვდელი სპირიდონ გრიგოლის ძე აბრამიშვილი /64 წლის/, მღვდლის შვილი, არა აზნაურთაგანი. საღვთო წიგნების კითხვა, საეკლესიო წესდება, წერა და გალობა ქართულ ენაზე ჯრუჭის მონასტერში შეისწავლა.

1854 წ. 1 იანვრიდან მედავითნედ განაწესეს ქუთაისის კათედრალურ ტაძარში.

1857 წ. დიაკვნად აკურთხა იმერეთის ეპისკოპოსმა გერმანემ. ამავე წლიდან მოღვაწეობს არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში.

1863 წლიდან იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა მღვდელად დაამტკიცა. 1877 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა დააჯილდოვა.

1890 წ. გულმოდგინე და სასარგებლო სამსახურისათვის სინოდმა არაჩინით დააჯილდოვა. აქვს სამღვდლო სიგელი.

მას ყავს მეუღლე და შვილი ვლადიმერი - მღვდელი /34 წლის/. იგი სავანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელია და ამავე დროს განაგებს საჩხერეს ორკლასიან საეკლესიო-სამრევლო სკოლას.

2/ მეორე მღვდელი მ. ხარშილაძე /63 წლის/. მან საღვთო წიგნის კითხვა საეკლესიო წესდება, საღვთო სჯული, კითხვა, გალობა ქართულ ენაზე ჯრუჭის მონასტერში შეისწავლა.

მღვდლებს აქვთ უძრავი ქონება, რომელიც სახნავი მიწის, ვენახისა და ტყისგან შედგება.

**1907 წ. უწყება არგვეთის წმ. გიორგის ორშტატიანი ეკლესიისა. დედანი, ზომა: 35X22 სმ; N 4457 19-63/14.**

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, ქვის სამრეკლოთი. როდის ააგეს, უცნობია. აღდგენილია მრევლის ხარჯით 1874 წელს.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო-საღვთისმ-სახურო წიგნები არის.

მიწები, კრებულისათვის საეკლესიო ნაგებობა, საეკლესიო-სამრევლო სკოლა, ბიბლიოთეკა და სამზრუნველო ეკლესიას არა აქვს.

ეკლესიის მღვდლები არიან წინამძღვარი ვ. აბრამიშვილი და წინამძღვარი ნ. დევიძე. მეღავითნეები: ი. იაკობაშვილი და პ. იაკობაშვილი.

მღვ. ვ. აბრამიშვილს საკუთარი მამული და სახლი აქვს. მღ. ნ. დევიძეს და მეღავითნეებს არ აქვთ სახლი და თავის ხარჯით ქირაობენ.

მღვდელს სახელმწიფო ხაზინიდან 300 მან. ეძლევა, მეღავითნეს

- 100 მან. გარდა ამისა, მრევლიდან მღვდელი წლიურად იღებს 50 მან; მედავითნე - 11 მანეთს.

მეზობლად მდებარე სავანის ეკლესია 2 კერსის დამორბეობით მდებარეობს.

მეტრიკული ასლები 1828 წლიდან ინახება, 1830-35 წ.წ. გამოკლებით. აღსარების მთქმელთა სიები 1839 წლიდან, 1840-41 წ.წ. გამოკლებით.

ქონების აღწერა ეკლესიას აქვს.

სარევიზიო წიგნები წესრიგშია.

არგვეთის წმ. გიორგის ორშტატიანი ეკლესიის კრებული: წინამძღვარი, მღ. ვლ. აბრამიშვილი მღ. ნ. დევიძე, მედავითნე პ. იაკობაშვილი

**1905-1907 წ. ნამსახურობის ნუსხა არგვეთის წმ. გიორგის ორშტატიანი ეკლესიის კრებულისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 4977 8-64/45 -1905 წ. N 4455 19-63/12 -1907 წ.**

1/ მღვდელი ვლადიმერ სპირიდონის ძე აბრამიშვილი /45 წლის/, მღვდლის შვილი, დაიბადა არგვეთში. დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი, მეორე თანრიგით. 1887 წ. 18 ივლისიდან იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა დიაკვნად აკურთხა და ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში განაწესა. ამავე დროს ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებულ სანიმუშო საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად დაინიშნა.

1889 წ. 4 ივლისს მღვდლად აკურთხეს და სპეთის მაცხოვრის ეკლესიაში განაწესეს. 1889 წ. 6 დეკემბრიდან საჩხერის საწინამძღვრო საეკლესიო-სამრევლო სკოლის მეთვალყურედ დაინიშნა.

1890 წ. 15 იანვრიდან გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი დაინიშნა იმერეთის სასულიერო სამზრუნველოსთან მიმღწერის თანამშრომლად. 1892 წ. 24 მაისიდან, თხოვნის თანახმად, იგი გადაიყვანეს სავანის მრევლში.

1892 წ. 15 ოქტომბრიდან ეპისკოპოსმა გაბრიელმა დაინიშნა

საჩხერის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად და გამგედ. ამავე დროს დაუტოვა მრევლი. 1893 წ. 1 იანვრიდან, თხოვნის თანახმად, ეპ. გაბრიელმა გაათავისუფლა საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეოვალეურის თანამდებობიდან.

1893 წ. 8 ოქტომბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა დააჯილდოვა ენქერით.

1895 წ. 27 მარტიდან, თხოვნის თანახმად, გადაიყვანეს არგვეთის მრევლში. ამავე დროს დატოვეს საჩხერის საეკლესიო-სამრევლო სკოლის მასწავლებლად და გამგედ.

1898 წ. 8 ოქტომბრიდან, მისივე თხოვნით, გაათავისუფლდა მეორე კლასის ყველა საგანთა მასწავლებლობისაგან და სკოლის გამგეობასთან ერთად დანიშნა სკოლის ორივე კლასში საღვთო სჯულის მასწავლებლად.

1898 წ. 30 მაისს დააჯილდოვეს არაზხინით.

1899 წ. 26 იანვარს ბესარიონ ეპისკოპოსმა დანიშნა ყოფილი ჭიათურის საწინამძღვრო ოლქის წინამძღვრის მოადგილედ.

1901 წ. იმერეთის საეპარქიო სასკოლო საბჭომ დანიშნა საჩხერეს ორკლასიანი სკოლის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ.

1902 წ. დააჯილდოვა კუნკულით.

1907 წ. ეპისკოპოსმა ლეონიდემ დაამტკიცა წინამძღვრის თანამდებობაზე. აქვს დიაკვნისა და მღვდლის სიგელები. ყავს მეუღლე და ექვსი შვილი.

2/ მეორე მღვდელი ნესტორ დევიძე, 29 წლის, დაიბადა სოფ. პერევიში, მედავითნის შვილი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია პირველი თანრიგით, სტუდენტის წოდებით.

1900 წ. 21 ნოემბერს ეპისკოპოსმა ლეონიდემ ცხისის ამალეების ეკლესიაში დიაკვნად აკურთხა, 22 ნოემბერს — მღვდლად.

1900 წ. 18 მარტს სასკოლო საბჭოს განყოფილებამ იგი წერა-კითხვის მასწავლებლად დანიშნა, მისივე ხარჯით გახსნილ სკოლაში.

1901 წ. წინამძღვარ სირბილაძის დავალებით შეადგინა ოკრიბის საწინამძღვროს 27 შტატის ძირითადი საეკლესიო ქონების აღწერა.

1906 წ. იგი აირჩიეს იმერეთის ეპარქიის სასულიერო პირთა ყრილობის დეპუტატად, სადაც განიხილებოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის, თბილისის სასულიერო სემინარიისა და იმერეთის ეპარქიის სანთლის საწყობის საკითხები.

ეპისკოპოს ლეონიდეს მიერ იგი დამტკიცდა წინამძღვრის მოადგილის კანდიდატად. სათანადო სიგელები გააჩნია. ყავს მეუღლე და სამი შვილი.

მრევლი ცხოვრობს სოფლებში 2 1/2 ვერსის დაშორებით, მიმოსვლაში დაბრკოლება არ არის.

არგვეთი	კომლი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	8	21	20
აზნაურები	32	102	20
გლეხები	163	551	438
<b>მახათაური</b>	<b>კომლი</b>	<b>მამაკაცი</b>	<b>ქალი</b>
გლეხები	93	325	877
სულ	296	999	877

არგვეთის ეკლესიის კრებული:  
წინამძღვარი მღ. ვლ. აბრამიშვილი  
წინამძღვრის მოადგილე ნ. დევიძე  
მედავითნე პ. იაკობაშვილი

1896 წ. უწყება ს. გორისის წმ. გიორგის ეკლესიისა.  
დედანი, რუსულ ენაზე, ზომა : 35X22 სმ; N 4736 28-63/27

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, სამრეკლოს გარეშე, აგებულია მრევლის ხარჯით 1877 წ. წმ. გიორგის სახელზე.

მღვდელს და მედავითნეებს აქვთ საკუთარი სახლი და მამული. მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან 78 მან. 40 კაპ. იღებს, მედავითნე - 27 მან. 44 კაპ, წლიურად. გარდა ამისა, მრევლიდან მღვდელი



იღებს 123 მან. 60 კაპ. მედავითნეები, თითოეული - 48 მან. 48 კაპ. წლიურად.

მეზობლად, ახლომდებარე არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მისგან ორი ვერსის მანძილზეა.

მეტრიკის ასლები 1830 წლიდან არის, აღსარების მოქმელთა სიები 1892 წლიდან.

მრევლი ცხოვრობს სოფლებში: გორისაში და შალაურში

გორისა	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	9	35	24
2/ აზნაურები	19	69	50
3/ გლეხები	91	317	293

შალაური	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ აზნაურები	3	16	11
2/ გლეხები	48	160	141

---

სულ 170 597 519

გორისას წმ. გიორგის ეკლესიის კრებული:

მღვდელი გრიგოლ მაჭავარიანი,

მედავითნეები: რომანოზ კეკელიშვილი, საჩინო შეყლაშვილი

შემდგომ წლებში თითქმის იგივე მონაცემები მეორდება:

1903 წ. N 4981 8-64/49; 1907 წ. N 4491 20-63/13; 1910 წ.

N 4700 27-63/22

1910 წ. ნამსახურობის ნუსხა სოფ. გორისას წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისა.

დედანი, დავთრის ფურცელი, რუსულ ენაზე. ზომა: 35X23 სმ; N 3191 36/62/369.

მღვდელი კ. სარალიძე /დაბ. 1879 წ./, მედავითნეს შვილი. 1900 წ. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი

II — ხარისხით. 1901 წ. სოფ. კაცხის ერთკლასიანი სამრევლო სკოლის მასწავლებელია. 1902 წლიდან გორისას ეკლესიის მეღვთინეა, შემდეგ მღვდელი.

დაჯილდოვდა 1907 წ. ენქერით.

1908-1910 წ.წ. საეპარქიო ყრილობების დეპუტატია.

აქვს დიაკვნისა და მღვდლის სიგელი.



**1903 წ — ნამსახურობის ნუსხა დარყის მთავარანგელოზის ეკლესიის კრებულისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22, 5 სმ. N 4050 15-63/15**

1) მღვდელი გიორგი მიქაძე, მღვდლის შვილი, აზნაური, წერა-კითხვა, გალობა, წესდება, კატეხიზმო ჯრუჭის მონასტერში შეისწავლა (51 წლის). 1871 წელს კორბოულის ეკლესიაში მეღვთინედ განაწესეს. გაბრიელ ეპისკოპოსმა მერჯევის ეკლესიაში ისევ მეღვთინედ გადაიყვანა.

ეპისკოპოსმა გაბრიელმა 1876 წ. არგვეთის ეკლესიის დიაკვნად აკურთხა; 1887 წელს — სავანის ეკლესიის მღვდლად. 1892 წ. სპეთის სამრევლოშია. 1900 წლიდან ეპისკოპოსმა ლეონიდემ დარყის სამრევლოში გადაიყვანა. სიგელი აქვს. აქვს მცირე სიდიდის მამული.

2) მეღვთინე სპირიდონ კუსიანი (54 წლის), დიაკვნის შვილიშვილი. განათლება ჯრუჭის მონასტერში მიიღო. 1874 წ. არგვეთის ეკლესიის მეღვთინეა. 1879 წ. სპეთის ეკლესიაშია. 1896 წლიდან დარყის ეკლესიაში მეღვთინედ გადაიყვანეს. აქვს მცირე სიდიდის მამული. კარგად იცის კითხვა, გალობა და წესდება.

**1907 წ. უწყება სოფ. დარყის მთავარანგელოზის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 4503 20-63/26.**

ხის ეკლესია, ერთტრაპეზიანი. აშენების დრო უცნობია. ნაკურთხია მთავარანგელოზ მიხეილის სახელზე.

1896 წლამდე ეს ეკლესია სპეთის ეკლესიაზე იყო ზედმიწევრული, 1896 წლიდან წმ. სინოდის ბრძანებით საშტატო ეკლესიად დამტკიცდა.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი და ღვთისმსახურების წიგნები კარგია და გამოიყენება.

მეტრიკის ასლები და აღსარების მთქმელთა სიყვარული ეკლესიასთან ერთად ინახება, 1897 წლიდან — ცალკეა.

კრებულისათვის ნაგებობა, სამრევლო სკოლა, ბიბლიოთეკა, სამზრუნველო და მიწის სავარგულები ეკლესიას არ გააჩნია.

მღვდელია გ. მიქაძე, მედავითნე ს. კუსიანი, ორივემ ჯრუჭის მონასტერში მიიღო განათლება. მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 500 მან. იღებს, მედავითნე — 150 მან. გარდა ამისა, მღვდელი მრევლიდან 100 მან.-მდე იღებს, დიაკვანი — 35 მან.-მდე.

ეკლესიას აქვს სარევიზიო, შემოსავალ-გასავლის წიგნები და საეკლესიო ქონების აღწერა.

ახლომდებარე სოფ. ჭალის წმ. გიორგის ეკლესია ერთ ვერსზე მდებარეობს.

მრევლი ცხოვრობს სოფლებში: დარყასა და თედელეთში. მანძილი ეკლესიამდე 1-12 ვერსია. მთავორიანი ადგილების გამო, მიმოსვლაში დაბრკოლებებია.

	რუსული „ღვთის“-ი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	4	9	8
2/ გლეხები	257	530	501
სულ	261	539	509

დარყის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი გიორგი მიქაძე

მედავითნე სპირიდონ კუსიანი

\* ზოგიერთ სოფელში, ბოლო პერიოდში ქართული კომლის მაგივრად რუსული „ღვთის“-ი იხმარება. კომლთან შედარებით იგი მცირე სულადობას მოიცავდა.

1910 წ. — უწყება დარყის მთავარანგელოზის მიხეილის ეკლესიისა  
დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35 X 22 სმ; N 4702 28-62/24.

... ამ ეკლესიასთან ზედმიწერილია ჯვრის წმ. გიორგის ეკლესია, სია, ხისა, გუმბათიანი. 1907 წელს ააგეს ეპისკოპოს ლეონიდეს ბრძანებით, მან ეს ეკლესია წმ. გიორგის სახელზე აკურთხა.

დარყის ეკლესიასთან არის პერევის წმ. გიორგის ეკლესია, იგი ხის ერთტრაპეზიანი ეკლესიაა. 1905 წ. ეპისკოპოსმა ლეონიდემ ეკლესია წმ. გიორგის სახელზე აკურთხა.

დარყის მთავარანგელოზის ეკლესიის მღვდელი გიორგი მიქაძე მედავითნე სპირიდონ კუსიანი.

1903 წ. უწყება დურევის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიისა.

დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35 X 22 სმ; N 4982 8-54/50

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, როდის ააგეს, უცნობია. 1895 წ. მრევლის ხარჯით ეკლესია აღადგინეს, დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს სამრეკლო.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და ღვთისმსახურების წიგნები ვარგისია და გამოიყენება.

მღვდელსა და მედავითნეს საკუთარი სახლკარი და მამული აქვს. მღვდელი, ზაქარია აბაშიძე, ხაზინიდან წლიურად 130 მან, იღებს, მედავითნე დავით ბარბაქაძე 40 მან. გარდა ამისა, მღვდელი მრევლიდან 150 მან. იღებს, მედავითნე — 50 მან. წლიურად.

ზედმიწერილია ირთავაზის მთავარანგელოზ გაბრიელის ეკლესია. მისი აგების დრო უცნობია. 1903 წ. ძველი, დანგრეული ეკლესიის ადგილზე, მრევლის ხარჯით, ახალი ეკლესია ააგეს, რომელიც საშტატო ეკლესიიდან 4 ვერსითაა დაშორებული.

მეზობელი ცხამის ეკლესია 4 ვერსის დაშორებითაა.

მეტრიკის ასლები 1828 წლიდან არის, აღსარებისა — 1882 წლიდან.

მრევლი სოფ. დურევსა და ირთავაზში ცხოვრობს

ღურევი	კომლი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	3	10	5
გლეხები	74	218	119
<b>ირთავაზი</b>			
გლეხები	60	223	135
სულ	137	451	314

ღურევის მაცხოვრის ეკლესიის მღვდელი ზაქარია აბაშიძე  
მედავითნე დავით ბარბაქაძე

1896 წ. უწყება სოფ: მერჯევის წმ. სამების ეკლესიისა  
დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35 X 22 სმ; N 5005 8-64/73

ქვის ეკლესია, ერთბრაპეზიანი, ქვის სამრეკლოთი, 1890 წ.  
მრევლის ხარჯით ააგეს წმ. სამების სახელზე.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, ღვთისმსახურების წიგნები ვარ-  
გისია და გამოიყენება.

ეკლესიას აქვს ერთი ნაკვეთი მიწა, სახელწოდებით – „წერეთ-  
ლისეული“, 1/2 ქცევა, რომელიც იჯარითაა გაცემული, წელიწადში  
5 მანეთად, იჯარის ვადა 1897 წლის 30 აპრილს გადის.

მღვდელია ი. წიქვაძე, მედავითნეები: გ. ნადირაძე და ნ.  
მესხი.

მღვდელსა და მედავითნეებს საკუთარი სახლკარი აქვთ. მღვდელი  
სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 78 მან. იღებს, მედავითნე –  
28 მან. მრევლისაგან მღვდელი 145 მან. იღებს, მედავითნეები –  
თითოეული 68 მან. წლიურად.

ზედმიწერილი ივანწმინდის ქვის ეკლესია, რომელიც უხსოვარ  
დროს არის აგებული, საშტატო ეკლესიიდან 2 ვერზე მდებარეობს.  
ახლომდებარე ჭორვილის ეკლესიამდე მანძილი 1/2 ვერსია.

მეტრიკის ასლები 1828 წლიდან არის, აღსარებისა – 1842  
წლიდან.

სარევიზიო წიგნი, შემოსავალ-გასავლისა და ეკლესიის ქონების

აღწერის წიგნები წესრიგშია.

მერჯევის ეკლესიის მრევლი ცხოვრობს სოფლებში, გზები კარგია.



	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	3	11	8
2/ აზნაურები	10	39	40
3/ გლეხები	138	522	422
ივანწმინდა			
1/ აზნაურები	13	55	50
2/ გლეხები	20	98	73
სულ.	184	725	593

1898 წ. 30 აპრილი. აქტი სოფ. მერჯევის სამრევლო ეკლესიების /მერჯევისა და ივანწმინდის/ შესახებ.

დედანი. რუსულ ენაზე. ზომა: 22 X 17,5 სმ; N 4480 – 20-63/2

მერჯევისხევის სამრევლო შედგება ორი სოფლისაგან: მერჯევი და ივანწმინდა. თითოეულ მათგანში არის მოქმედი ქვის ეკლესია. სამრევლოს ტერიტორია სივრცეში, სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ დაახლოებით ოთხი ვერსია, სიგანეში – 3-2,5 ვერსი. მერჯევის ეკლესია საშტატო ეკლესიად ითვლება, ივანწმინდისა – მასზე მიწერილია.

მერჯევის ეკლესია ივანწმინდის ეკლესიიდან 1,5 ვერსითაა დაშორებული, გზები მშრალ ამინდში მოხერხებულია. წვიმების დროს დიდი ტალახების გამო, მოუხერხებელია. მაღალი მთები და მდინარეები მერჯევის სამრევლოში არ არის. მერჯევის ეკლესიის მრევლი 154 კომლისაგან შედგება, ივანწმინდისა – 33 კომლია. სულ – 187 კომლი.

წინამძღვარი, მღვ. აბ. ჩაჩანიძე

1898 წ. 30 აპრილი

1907 წ. უწყება სოფ. მერჯევის წმ. სამების ეკლესიისა დედანი,  
რუსულ ენაზე. ზომა: 36 X 22,5 სმ. N 4488 20-63/10.



ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, ქვის სამრეკლოთი, აგებულია  
1890 წელს წმ. სამების სახელზე ადგილობრივი მრევლის ხარ-  
ჯით.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და ეკლესიის ღვთისმ-  
სახურების წიგნები გამოსაყენებლად ვარგისია.

ეკლესიას აქვს ერთი ნაკვეთი სახნავი მიწა, სახელწოდებით  
— „წყაროს მიწა“, წერეთლისეული, ზომით დაახლ. 1/2 ქცევა,  
გაცემულია, საოჯახო პირობით, იჯარით აზნაურ ს. წერეთელზე  
წლიურად 5 მანეთად.

კრებულისათვის ეკლესიას ნაგებობა არა აქვს.

ეკლესიის მღვდელია ილარიონ წიქვაძე, მედავითნე — ნიკოლოზ  
მესხი.

მღვდელსა და მედავითნეს აქვთ საკუთარი სახლი, მამული.

ი. წიქვაძე სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 78 მან. იღებს,  
მედავითნე ნ. მესხი — 28 მან. გარდა ამისა, მრევლისაგან აქვთ  
შემოსავალი დრამის სახით: მღვდელს — 160 მან; მღვდელმსახურე-  
ბისათვის — დაახლ. 50 მან. მედავითნეს — 70 მან. წლიურად.

ეკლესიაზე ზედმიწერილი ივანწმინდის იოანე ნათლისმცემლის  
სახელობის ქვის ეკლესია აგებულია უხსოვარ დროს. იგი საშტატო  
ეკლესიიდან 1 1/2 კერსითაა დაშორებული.

მეზობლად, ახლომდებარე ჭორვილის ფერიცვალების ეკლესია  
1 1/2 კერსზე მდებარეობს.

მეტრიკის ასლები ინახება 1828 წლიდან, 1829-1830; 1834-1835,  
1848-1849 წწ; გამოკლებით, აღსარების წიგნები 1842 წლიდან  
ინახება. სარევიზიო წიგნები არის და შეძლებისდაგვარად სწორად  
იწარმოება.

საეკლესიო ქონების აღწერა არის

შემოსავალ-გასავლის წიგნი სწორად იწარმოება

საეკლესიო თანხა ნაღდი ფულით საშტატო ეკლესიაში 21 მან.

38 კაპ, არის. ზედმიწერილ ეკლესიაში — 10 მან. 82 კაპ.

1899 წლის 25 იანვრიდან ადგილობრივი მღვდელი ილარიონ წიქვაძე უძღვება სოფ. მერჯევის ერთკლასიან სკოლას, სადაც 1897 წლამდე ყველა საგანს ასწავლიდა. იმ წლიდან დღემდე სკოლის გამგეა და საღმთო სჯულის მასწავლებელი.

სამშატო ეკლესიას არ გააჩნია საბანკო ბილეთები, ზედმიწერილ ივანწმინდის ეკლესიას სახელმწიფო ბანკის შემნახველი საღაროს წიგნაკი გააჩნია, რომელზედაც 53 მან. ინახება.

მერჯევის მრევლი ცხოვრობს სოფლებში, ზამთარში სავალი გზები მოუხერხებელია.

მერჯევი	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	3	7	6
2/ აზნაურები	12	41	40
3/ გლეხები	161	581	498

#### ივანწმინდა

1/ აზნაურები	17	53	47
2/ გლეხები	25	93	83

---

სულ 218 775 672

სოფ. მერჯევის სამების ეკლესიის კრებული:

მღვდელი ილარიონ წიქვაძე

მედავითნე ნიკოლოზ მესხი

1907 წ. ნამსახურობის ნუსხა სოფ. მერჯევის წმ. სამების ეკლესიის კრებულისა. დედანი. ზომა: 36X22, 5 სმ. N 4486 20-63/18.

1) მღვდელი ილარიონ გიორგის ძე წიქვაძე (1836 წ. დაბადებული) მღვდლის შვილი, არააზნაური, 1884 წ. დაასრულა გორის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი.

1885 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა არგვეთის წმ. გიორგის არასამშატო ეკლესიაში მესამე დიაკვნად განაწესა.





1886 წ. 16 თებერვალს დიაკვნად გადაიყვანეს მერჯევის წმ. სამების ეკლესიაში. 17 მარტს მღვდლად აკურთხეს და მერჯევის მრევლში განაწესეს.

1893 წ. ეპ. გაბრიელმა ენქერით დააჯილდოვა.

1899 წ. დააჯილდოვეს არახჩინით, 1905 წ. — კუნკულით. აქვს მღვდლის სიგელები. აქვს უძრავი ქონება, სახნავი მიწა.

2) მედავითნე ნიკოლოზ გერმანის-ძე მესხი, მღვდლის შვილიშვილი, არაახნაური, წმინდა წიგნების კითხვა, წესდება, გალობა და ქართულ ენაზე წერა-კითხვა სამრევლო მღვდელთან შეისწავლა.

1891 წ. 14 დეკემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა მედავითნედ განაწესა ბოლევის წმ. გიორგის ეკლესიაში, აქედან 1892 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა მერჯევის სამების ეკლესიაში გადაიყვანა.

მერჯევის სამების ეკლესიის კრებული  
 მღვდ. ილარიონ წიქვაძე  
 მედავითნე ნიკოლოზ მესხი

**1910 წ. უწყება მერჯევის წმ. სამების სამრევლო ეკლესიისა. N 4713 28-63/4**

... მღვდელი ი. წიქვაძე სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 78 მან. იღებს, მედავითნე 28 მან. გარდა ამისა, დრამის სახით მრევლისაგან მღვდელი წლიურად 180 მან. მღვდელთმსახურებისთვის 30 მანეთამდე, მედავითნე 80 მან. იღებს.

მრევლი ცხოვრობს სოფლებში:

მერჯევი	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	2	2	2
2/ ახნაურები	12	49	42
3/ გლეხები	167	629	556
<b>ივანწმინდა</b>			
1/ ახნაურები	16	47	43
2/ გლეხები	25	103	91
<b>სულ</b>	<b>222</b>	<b>830</b>	<b>734</b>

მერჯევის წმ. სამების ეკლესიის კრებული:  
მღვ. ილარიონ წიქვაძე  
მედავითნე ნიკოლოზ მესხი



1910 წ. ნამსახურობის ნუსხა ს. მერჯევის სამების ეკლესიის კრებისა. N 4721 28-63/3

1/ მღვდელი ილარიონ გიორგის ძე წიქვაძე /დაიბადა 1863 წ. 15 იანვარს/, არა აზნაური, მღვდლის შვილი. 1884 წ. დაამთავრა ა/კ გორის სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი.

1885 წ. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნეა.

1886 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმით ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად მოღვაწეობდა მერჯევის წმ. სამების ეკლესიის სამრევლოში.

1889 წ. 23 იანვრიდან მღვ. ი. წიქვაძემ გახსნა ერთკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლა, სადაც ყველა საგანს ასწავლიდა. 1897 წ. დღემდე იგი სკოლის გამგეა და საღვთო სჯულის მასწავლებელი.

1893 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი ენქერით დააჯილდოვა.

1899 წ. არახინით დააჯილდოვა, 1905 წ. – კუნკულით.

2/ მედავითნე ნიკოლოზ გერმანის ძე მესხი /41 წლის/, მღვდლის შვილი, აზნაური. სასულიერო განათლება ეკლესიის მღვდელთან მიიღო.

1891 წ. ბოსლევის წმ. გიორგის ეკლესიის მედავითნეა.

1892 წლიდან მერჯევის წმ. სამების ეკლესიის მედავითნეა.

1896 წ. უწყება ორღულის წმ. გიორგის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 4928-64/10

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, სამრევლოს გარეშე. ვის მიერ და როდის აიგო, წმ. გიორგის სახელზე, უცნობია.

კანკელი, საღარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო – ღვთისმსახურების წიგნები არის და გამოიყენება.

ეკლესიას უხსოვარი დროიდან ერთი ქცევა ტყის ნაკვეთი აქვს.

მიწები, საკრებულოს შენობა, სამრევლო სკოლა, ბიბლიოთეკა და სამზრუნველო ეკლესიას არ გააჩნია.

მღვდელია სულიერი მოძღვარი, ირაკლი აბაშიძე. მღვდელთმცოდნეობის მაღაქია მაჭავარიანი და დავით იაკობაშვილი.

მღვდელსა და მეღვდითნებს საკუთარი სახლი და მამული აქვთ. მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან 80 მან. იღებს, მეღვდითნე მ. მაჭავარიანი - 34 მან. გარდა ამისა, მღვდელი მრევლიდან წლიურად 144 მან. იღებს, დიაკვანი - 48 მან.

ზედმიწერილი ეკლესიაა ღონას მთავარანგელოზის ქვის ეკლესია, როდის და ვის მიერაა აგებული, უცნობია. იგი საშტატო ეკლესიიდან 2 ვერსითაა დაშორებული.

ახლომდებარე ეკლესია ჭორვილის წმ. გიორგისა, 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

მეტრიკის ასლები 1842 წლიდან არის, აღსარებისა - 1847 წ. ზოგიერთი წლების გამოკლებით.

სარევიზიო წიგნი, საეკლესიო ქონების აღწერა, შემოსავალგასავალის წიგნები სწორად იწარმოება.

ეკლესიას 15 მან. 89 კაპ. ნაღდი თანხა აქვს, ზედმიწერილს - 15 მან. 64 კაპ. და ქუთაისის შემნახველ სალაროს ანგარიშზე 1887 წლიდან - 302 მან.

მრევლი ცხოვრობს სოფლებში ორლულსა და ღონაში

	ორლული	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	3	10	10	12
2/ აზნაურები	8	36	36	28
3/ გლეხები	43	172	172	141

	ღონა		
1/ სასულიერო წოდება	1	4	2
2/ აზნაურები	2	10	10
3/ გლეხები	80	340	341

---

სულ 137 572 534

1903 წ. უწყება N 4988 8-64/56



ორღული	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდ.	3	9	10
2/ აზნაურები	10	34	33
3/ გლეხები	49	181	163
<b>ღონა</b>			
1/ სასულიერო წოდ.	1	4	2
2/ აზნაურები	2	9	10
3/ გლეხები	92	356	337
<b>სულ</b>	<b>157</b>	<b>583</b>	<b>555</b>

სულიერი წინამძღვარი, მღვ. ირაკლი აბაშიძე  
 მედავითნეები: მალაქია მაჭავარიანი  
 დავით იაკობაშვილი

1903 წ. ნამსახურობის ნუსხა ორღულის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისა, დედანი, რუსულ ენაზე. ზომა:35X22 სმ; N 4989 8-64/57

საჩხერის საწინამძღვრო ოლქის სულიერი მოძღვარი, მღვ. ირაკლი აბაშიძე, აზნაური /53 წლის/. საღმრთო სჯული, წერაკითხვა, გალობა, საეკლესიო წესდება შეისწავლა ქართულ ენაზე ჯრუჭის მონასტერში.

1869 წ. იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა იგი მედავითნედ განაწესა სპეთის მაცხოვრის ეკლესიაში. 1875 წ. ამავე თანამდებობაზე დაამტკიცეს. 1877 წლიდან დიაკვნად მოღვაწეობდა სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში. 1880 წლიდან დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდელია.

1881 წ. მან საკუთარი ხარჯებით დარკვეთის ეკლესიის განახლებაში დიდი წვლილი შეიტანა.

1887 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი ორღულის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიყვანა.

1888 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა იგი საჩხერის სამღვდელოების სულიერ მოძღვრად დაამტკიცა.

1890 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ნებართვით განახლდა ორ-  
ღულზე ზედმიწერილი ღონას მთავარანგელოზის ეკლესია, გაფარ-  
თოვდა, გაუკეთდა მიშენებანი, სამრეკლო, კრამიტით გადახსურა.  
დაიგო ქვის იატაკი და შეიძინეს საეკლესიო ნივთები და ღვთის-  
სახურების წიგნები.

1891 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა მღვ. ი. აბაშიძე ენქერით და-  
ჯილდოვა.

1896 წ. იგი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლების მდგო-  
მარეობის გაუმჯობესებისათვის მოწვეული სასულიერო ყრილობის  
დეპუტატად აირჩიეს.

1899 წ. კუნკულით დაჯილდოვდა. აქვს დიაკვნისა და მღვდ-  
ლის სიგელები.

1894 წ. უწყება საგანის წმ. გიორგის ეკლესიისა<sup>1</sup> დედანი, რუსულ  
ენაზე, ზომა: 35X22 სმ N 4947 8-64/15

1/ ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, ქვისავე სამრეკლოთი.  
როგორც ეკლესიის წარწერიდან ჩანს, აგებულია ბაგრატ კურაპა-  
ლატის დროს, წმ. გიორგის სახელზე<sup>2</sup>. სამრეკლო 1893 წ. ააგეს  
დიმიტრი აბაშიძის ხარჯით.

2/ კანკელი, საღარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო  
ღვთისმსახურების წიგნები ეკლესიაში არის და გამოსაყენებლად  
ვარგისია.

3/ ეკლესიას აქვს ერთი ნაკვეთი სახნავი მიწა, სახელწოდებით  
იღუმალას პირი“, 12 ქცევამდე. იგი გაბრიელ ეპისკოპოსის ნებარ-  
თვით გაცემულია იჯარით, კონტრაქტით თანახმად წლიურად 30  
მანეთად, რომლის ვადა 1897 წ. 15 მარტს იწურება.

4/ ნაგებობანი კრებულისათვის, სკოლისათვის, ბიბლიოთეკისა  
და სამზარეულოსათვის ეკლესიას არ გააჩნია.

---

<sup>1</sup> შემდგომ წლებში თითქმის იგივე მონაცემები მეორდება:

1896 წ. №4935 8-64/3

1907 წ. №4460 19-63/17

1910 წ. №4974 8-64/42

2 ბაგრატ III – 975-1014 წ.წ. გაერთიანებული საქართველოს მეფე.

5/ ეკლესიის მღვდლები არიან ვლ. აბრამიშვილი და ს. ქავთარაძე, მედავითნეები: ი. იაკობაშვილი და დ. ვაშაძე.

6/ მღვდლებს და მედავითნეებს საკუთარი სახლკარი და მამული აქვთ. მღ. ვლ. აბრამიშვილი ხაზინიდან წლიურად 90 მან. იღებს, მედავითნე ი. იაკობაშვილი — 30 მან. გარდა ამისა მღვდელი მრევლიდან 100 მან. იღებს, მედავითნე 60 მან. წლიურად.

7/ ზედმიწერილია იპკისის მაცხოვრის ხის ეკლესია, რომლის აგების დრო უცნობია. იგი საშტატო ეკლესიიდან 11/2 ვერსის დაშორებით მდებარეობს.

8/ ახლომდებარეა არგვეთის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც ორი ვერსის დაშორებითაა.

9/ მეტრიკის ასლები 1833 წლიდან ინახება, აღსარებისა — 1842 წლიდან, ზოგიერთი წლების გამოკლებით.

10/ სარევიზიო წიგნი, ქონების აღწერისა და შემოსავალ-გასავლის წიგნები წესრიგშია და სწორად იწარმოება.

1887 წლიდან ქუთაისის შემნახველ სალაროში ეკლესიას აქვს 255 მან. 21 კაპ.

მრევლი ს. სავანეში ცხოვრობს.

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	5	22	17
2/ აზნაურები	20	76	86
3/ გლეხები	111	402	366
სოფ. იპკისი			
1/ გლეხები	21	97	86
<hr/>			
სულ	157	597	555

სავანის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული:

მღვდელი ვ. აბრამიშვილი

მღვდელი ს. ქავთარაძე

მედავითნე ი. იაკობაშვილი

მედავითნე დ. ვაშაძე

1894 წ. უწყება სავანის წმ. გიორგის ეკლესიისა დედანი, რუსულ  
ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 4935 8-64/3

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ძრეველი ცხოვრობს სოფლებში, რომლებიც ეკლესიიდან 1 1/2  
კმ. არის დაშორებული. მიმოსვლაში დაბრკოლება არ არის.

სავანე	კომლი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	4	18	14
აზნაურები	23	123	139
გლეხები	115	405	364
<b>იცკისი</b>			
გლეხები —	24	100	83
<hr/>			
სულ	166	691	600

სავანის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული  
მღვდელი სევასტი ქავთარაძე  
მედავითნე იოსებ იაკობაშვილი  
მედავითნე დიომიდე ვაშაძე

1907 წ. — ნამსახურობის ნუსხა სავანის წმ. გიორგის ეკლესიის  
კრებულისა. დედანი, ზომა: 35X22 სმ; N 4459 19-63/16

1) მღვდელი სევასტი იოსების ძე ქავთარაძე, აზნაურთაგანი, მღვდლის შვილიშვილი (54 წლის). აქვს მცირე სიდიდის მამული. წერა-კითხვა, გალობა, წესდება და კატეხიზმი ქართულ ენაზე შეისწავლა. 1874 წ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში მედავითნედ განაწესა. იმავე წელს მერჯევის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1892 წ. დიაკვნად აკურთხეს. იმავე წელს სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში გაბრიელ ეპისკოპოსმა მღვდლად აკურთხა. ყავს 42 წლის მეუღლე ანა ასლანის ასული და ექვსი შვილი.

2) მედავითნე დიომიდე ვაშაძე (41 წლის), მღვდლის შვილიშ-

ვილი. წერა-კითხვა, გალობა და წესდება ქართულ ენაზე შეისწავლა.

1891 წლიდან სავანის ეკლესიაში მედავითნედ განაწესდა 1903 წ. ეპისკოპოსმა ლეონიდემ ამავე ეკლესიაში პირველ მედავითნედ დატოვა. აქვს მცირე სიდიდის მამული.

სავანის წმ. გიორგის ეკლესიის კრებული:

მღვდელი — სევასტი ქავთარაძე

მედავითნე — დიომიდე ვაშაძე

წინამძღვარი, მღვდელი ვლ. აბრამიშვილი

1903 წ. უწყება სოფ. საირხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 5015 8-64/83

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, აგებულია 1861 წ. მრევლის ხარჯით წმ. ნიკოლოზის სახელზე.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები კარგია და გამოიყენება.

ეკლესიას მიწები და კრებულისათვის საჭირო ნაგებობა არ გააჩნია.

მღვდელია ანთიმოზ მესხი და მედავითნე სამსონ ნადირაძე. მათ საკუთარი სახლკარი და მამული აქვთ.

მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 86 მან., მედავითნე — 60 მან. იღებს.

ეკლესიას ზედმიწერილი ეკლესია არ აქვს. ახლომდებარე ქორეთის, ჭორვილის წმ. გიორგის და მერჯვეის წმ. სამების ეკლესიებია. ისინი 1 1/2 ვერსის დაშორებით მდებარეობენ.

მეტრიკის ასლები 1830 წლიდან არის, აღსარების ნუსხები — 1890 წლიდან.

ეკლესიას აქვს ქონების აღწერის, შემოსავალ-გასავლის და სარევიზიო წიგნები.

მამასახლისია მ. ნადირაძე, რომელიც ეპ. ბესარიონმა დაამტკიცა. მრევლს მიმოსვლაში დაბრკოლება არ აქვს.



	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	6	14	20
2/ აზნაურები	18	39	34
3/ გლეხები	180	381	341
სულ ითვლება	204		



**1910 წ. უწყება სოფ. საირხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიისა. N 5024 8-64/92**

...მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 300 მან. იღებს, მეღავითნე 100 მან. გარდა ამისა მღვდელი მრევლიდან 60 მან. იღებს, მეღავითნე – 20 მან. წლიურად.

ს. საირხეში ცხოვრობს:

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	4	18	10
2/ აზნაურები	12	39	32
3/ გლეხები	139	384	326

მღვდელი ა. მესხი

მეღავითნე ს. ნადირაძე

**1883 წ. უწყება სარქველთუბნის მთავარანგელოზის ეკლესიისა. დედანი, ზომა:35X22 სმ; N 2036 17-62/8**

უწყება

სოფლის სარქველთუბნის მთავარანგელოზის ეკლესიისა 1883 წლისათვის 1/ხსენებული ეკლესია არის ქვის, რომელიცა აღმშენებულ არს უხსოვარს დროს. სამრკელო ხისა აქუს, ზარები – ორი.

2/ ბარძიმი, ფეშხუმი, კამარა და კოვზი აქუს ერთი ხელი, საშუალი.

3/ სამღვდელო შესამოსელი აქუს ორი: ერთი ძველი და მეორე ახალი.

4/ სამღვთო და საეკლესიო წიგნები აქუს სრულებით.

5/ კრებული ზემოხსენებულის ეკლესიაზედ შტატისამებრ ირიცხებიან ერთი მლუდელი, ორი პრიჩეტნიკი და ერთი პონომარი, რომელნიცა სცხოვრობენ თავთავის საკუთარს ადგილებში და სახლებში. მლუდელი შტატ გარეთ არ არის და პრიჩეტნიკი არ არის.

6/ ხსენებულს ეკლესიის კრებულს აქუს მრევლთაგან დაწესებული დრამა ორ-ორი მანეთი კომლისაგან და საზინისაგან მცირე ოდენი ჯამაგირი, წელიწადში 15-ის მანეთიდან 20-მდე.

7/ ამა ეკლესიას სანადელო მიწები არა აქუს.

8/ ამ ეკლესიაზედ მიწერილი ეკლესია არის ერთი.

9/ ამ ეკლესიის სამრევლოში სასახლის ეკლესია არ არის.

10/ ეკლესია ესე შორავს ეპარხიის მთავრობის ბინას 69 ვერსტით და ბლალოჩინის ბინას 31 ვერსტით.

11/ მეტრიჩესკის წიგნების შავები არიან ნაწარმოები 1828 წლიდან, ვიდრე 1883 წლამდე.

12/ აღსარების მოქმელთ სიების შავები არიან ნაწარმოები 1839 წლიდან, ვიდრე 1882 წლამდე.

13/ ჰყავს მრევლი 95 კომლნი. მათ შორის სამღვდელონი — 6; თავადნი — კომლნი, აზნაურნი 6 კომლნი და გლეხნი — 83 და სრულიად სულნი მამათა — 349, ხოლო დედათა — 326.

14/ აღწერილობა ამა ეკლესიის ქონებისა არის ეპარხიელის მთავრობის ხელმოწერილი და მიცემული 1875 წელსა.

15/ საქორწინე ოპისკი მიცემულ არს საქართველო-იმერეთის კანტორისაგან 1870 წელსა და წერილნი და მას შინა ნაწარმოები ფურცლები 48, ხოლო დაუწერელი 10.

16/ წიგნი შესავალ-გასავლისა მიცემულ არს იმერეთის საეპარხიო კანცელარიისაგან 1875 წელსა, შთასაწერად მას შინა შეწირულებათა და ხარჯთა.

17/ წინა წლების გადანარჩენი ფული იყო — მან. — კაპ

18/ განმავლობასა შინა ამა 18... წლისასა გაიყიდა წმიდა სანთელი გირვანქა ... რომლისგან შემოვიდა მოგება 5 მან. და — კაპ., რომლისაგან გახარჯულ არს — მან. — კაპ.

19/ კეთილ მნებლობით შემომწირველთაგან შემოვიდა 4 მან და



43 კაპ. გახარჯულ არს სხვადასხვა ეკლესიის საჭიროებისათვის ამ წელში — მან. — კაპ. და სულ წინა წლების ფულებიანათ არის გადანარჩენი 2 მან. და 75 კაპ.

20/ ხსენებულის ეკლესიისადმი საკუთვნელი ფული პრიკაზში წარდგენილ არს — მან. — კაპ.

სოფლის სარქველთუბნის მთავარანგელოსის ეკლესიის კრებული:

- 1/ მღვდელი სპირიდონ ქველაძე
- 2/ პრიჩეტნიკი იოსებ ხვედელიძე
- 3/ პონომარი სპირიდონ სამყურაშვილი

კრებულთათვის ეკლესიისა

ვის სახელდობრ რა უსწავლია, ოდეს, ვის მიერ, რომელ ხარისხზედ ხელდასხმულ არს, რომელის ეკლესიის სახელზედ ვითარნი განუტარებია, ანუ ეხლა ატარებს თანამდებობათა, ოდეს და რით ყოფილა დაჯილდოვებული და ვინ ჰყავს სახლეულებაში.

1/ მღვდელი სპირიდონ სიმონის ძე ქველაძე, ცოლიანი, სასულიერო წოდებისანი, უსწავლია საღმთო წერილი, წერა-კითხვა, ტიპიკონი და გალობა ქართულს ენაზე ჯრუჭის მონასტერში, 48 წლისა. წერილი, კითხვა, ტიპიკონი და გალობა იცის ფრიად კარგად, წერა კი საშუალოთ. კარგი ქცევისა, არავის ნათესავი არ არის, დასჯილი არ ყოფილა. დიაკნად დასხმულ არს იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიერ 25 მარტს, 1858 წელსა.

მღუდლად ხელდასხმულ არს მისგანვე იმავე 1858 წელს ზოდის წმინდანის გიორგის ეკლესიაზე. იქიდან გამდოყვანილი არის სარქველთუბნის მთავარანგელოსის ეკლესიის სახეზე 3 აპრილს 1872 წელსა. სტავლენი ღრამატა აქუს.

სახლეულობასა შინა ჰყავს ცოლი ეკატერინა იოსების ასული. შვილები ამათი: ივანე — 19 წლის, ელენტია — 12 წლის, სიმონ — 11 წლის.

პრიჩეტნიკი იოსებ ივანეს ძე ხვედელიძე, სასულიერო წოდების, ქვრივი, 28 წლის, საღმთო წერილი, წერაკითხვა, ტიპიკონი და გალობა იცის კარგად, ძალიან კარგი ქცევის არის. არავის ნათესავი არ არის, დასჯილი არ ყოფილა. უსწავლია საღმთო წერილი,

წერა-კითხვა და ტიპიკონი და გაღობა ქართულ ენაზე კაცხის მონასტერში. პრინტიკად განწესებულ არს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ 29 დეკემბერს 1878 წელს.

პონომარი სპირიდონ ივანე მღვდლის ძე სამყურაშვილი, 62 წლის, ნასწავლია პრინტიკობის საგნებში, განწესებულ არს იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ 29 ოქტომბერს 1868 წელს, სახლეულობასა შინა ყავს ცოლი მათა ლაზარეს ასული 59 წლის, შვილი ამათი ქეთევან 22 წლის.

1910 წ. უწყება სოფ. სარქველთუბნის მთავარანგელოზის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 5028 8-64/96

ქვის ეკლესია, თუნუქით დახურული, აშენდა 1908 წ. მრევლის ხარჯით.

ხატები, ნივთები, ტანისამოსი, საეკლესიო ჭურჭელი, ზოგი ძველი და ზოგი ახალი ხატები გამოსაყენებლად ვარგისია.

ეკლესიას ერთი მღვდელი და ერთი მედავითნე ემსახურება. მღვდელი პახომ აბრამიშვილი ხაზინიდან წლიურად 100 მან. იღებს, მედავითნე იოანე სხირტლაძე 36 მან. გარდა ამისა, მღვდელი წლიურად მრევლიდან 100 მან. იღებს, მედავითნე — 30 მან.

ეკლესიაზე ზედმიწერილია მეორე მთავარანგელოზის ეკლესია. იგი 1892 წ. აშენდა და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა.

ახლომდებარე წირქვალის იოანე ნაცლისმცემლის ეკლესია 1 კერსის დაშორებით მდებარეობს. მთავორიანი ადგილის გამო, მიმოსვლა გაძნელებულია.

სოფ. სარქველთუბნის მრევლი:

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	4	9	9
2/ აზნაურები	14	40	36
3/ გლეხები	127	423	381
სულ	145	472	436

შენიშვნა: 1903 წ. მონაცემებით /N 5020 8-64/88/ სარქველთუბნის ეკლესია მრევლმა თავის ხარჯით 1889 წ. ააგო.

აღნიშნული ეკლესიის აშენების თარიღი 1883, 1903 და 1910 წლების მონაცემების მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავებულია.

**1903 წ. – უწყება საჩხერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 35X22 სმ; N 4992 8-64/60**

1/ ხის ეკლესია, ხის თაღით, კრამიტით დახურული. აშენების დრო უცნობია.

2/ საკუთხეველი აგებულია ღვთისმშობლის მიძინების სახელზე და ხავერდითაა დაფარული.

3/ აქვთ ვერცხლის ფიალა, ვერცხლისავე მოწყობილობებით – თითო ცალი.

4/ ხის კანკელი შემკულია ჩადგმული ხატებით

5/ აქვს სამი აბრეშუმის და ფარჩის სამოსი, ერთი ახალი, ორი ძველი.

6/ აქვს წმინდა და საეკლესიო წიგნები – თითო ცალი

7/ კრებულის გააჩნია მცირე კერძო საკუთრება.

8/ კრებული შედგება ერთი მღვდლისა და ერთი მედავითნე-საგან.

9/ აღნიშნული ეკლესიის მღვდელი, ეპიფანე აბრამიშვილი, ხაზინიდან წლიურად იღებს 300 მანეთს, მედავითნე – 100 მანეთს 1899 წლიდან.

10/ ეკლესია უძრავ-მოძრავ ქონებას არ ფლობს.

11/ მასზე ზედმიწერილია ოთხი ეკლესია: სამი ქვისა და ერთი ხის.

12/ კრებულის წევრები საკუთარ სახლებში ცხოვრობენ.

13/ უახლოესი ეკლესია ორია: ღუნთის მთავარანგელოზის და სხვიტორის მაცხოვრისა, რომლებიც ერთი ვერსის დაშორებით მდებარეობენ.

14/ მეტრიკული ასლები და აღსარების წიგნები 1888 წლიდან არსებობს და აკურატულად იწარმოება.

15/ ეკლესიას აქვს სარევიზიო წიგნი და სწორად იწარმოება.

16/ აღნიშნული ეკლესიის მრევლი საჩხერეში 47<sup>ე</sup> კრებულში შეადგენს, ისინი 1/2 ვერსის მანძილზე ცხოვრობენ. ეკლესიას მისასვლელი გზები ნორმალურია.

17/ შემოსავალ-გასავლის წიგნი ფორმის მიხედვით იწარმოება და დამტკიცებულია საეპარქიო ხელმძღვანელობის მიერ 1892 წელს.

	კომლი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	4	14	9
აზნაურები	12	42	33
თავადები	1	1	3
გლეხები	28	78	67

საჩხერის ეკლესიის მღვდელი ეპიფანე აბრამიშვილი, მღვაითნე სიმონ ტყემალაძე

1/ შენიშვნა: 1907 წლის აღწერაში იგივე მონაცემები მეორდება N 4462 19-63/19

**1908 წ. ნამსახურობის ნუსხა საჩხერის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის კრებელისა. რუსულ ენაზე. დედანი. ზომა: 35X22 სმ; N 4968 8-64/36**

მღვდელი ეპიფანე აბრამიშვილი, მღვდლის, სიმონის, შვილი – /69 წლის/. სასულიერო განათლება, წერაკითხვა, გალობა და საეკლესიო წესდება ქართულ ენაზე შეისწავლა სამრევლო ეკლესიის მღვდელთან.

1864 წ. ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად ხელდასხმა მოხდა გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ. ამავე წელს იგი თავად მიხეილ წერეთლის კარის ეკლესიაში მღვდლად განწესდა. აქვს ხელდასხმის სიგელი. კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების საბჭოს მიერ მას IV ხარისხის წოდების ნიშნის ტარების უფლება მიეცა.

1894 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა დააჯილდოვა ენქერით.

1906 წ. დაჯილდოვდა კუნკულით.

მედავითნე, დიაკვანი სიმონ მაქსიმეს ძე ტყემალაძე 729 წლის/მედავითნეს შვილი. 1895 წ. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი. მასწავლებლობდა ჯვარი-  
ლაში.

1902 წ. საჩხერეს მიძინების ეკლესიაში მედავითნედ განწესდა.

1907 წ. მოხდა მისი დიაკვნად ხელდასხმა. აქვს სიგელი.

მედავითნის მოვალეობის შემსრულებელი ს. აბრამიშვილი /51 წლის/ მღვდლის შვილიშვილი.

წინამძღვარი, მღვდელი აბრამიშვილი.

1910 წ. უწყება საჩხერის წმ. ნინოს ეკლესიისა. დედანი. ზომა: 35X22 სმ; N 4446 19-63/3 N 5026 8-64/94

1/ ქვის ეკლესია, ქვის გუმბათით, თუნუქით დახურული, აშენდა 1910 წელს.

2/ საკურთხეველი წმ. ნინოს სახელზე აიგო და დაფარულია ხავერდით.

3/ აქვს მოოქროვილი თასი, მოოქროვილი მოწყობილობებით — თითო

4/ ხის კანკელი შემკულია ხატებით

5/ არის სამი აბრეშუმის და ხავერდის სამოსი, ერთი ძველი და ორი ახალი.

6/ სასულიერო-საეკლესიო წიგნები — თითო

7/ კრებულს მცირე საკუთრება გააჩნია

8/ ეკლესიის კრებული ერთი მღვდლისა და ერთი მედავითნისაგან შედგება.

მღ. ეპიფანე აბრამიშვილი

მედავითნე სიმონ ტყემალაძე

**შენიშვნა:** დანარჩენი მონაცემები: კრებულის შემადგენლობა, მრევლის რაოდენობა იგივეა, რაც საჩხერეს მიძინების ეკლესიისა.

1896 წ. უწყება სპეთის ამაღლების ეკლესიისა. დედანი. რუსულ  
ენაზე. ზომა: 35X22 სმ; N 5009 8-64/77



1/ სპეთის მაცხოვრის ამაღლების ეკლესია, ქვის, ერთტრაპეზიანი, 1893 წ. მრევლის ხარჯით მიშენებული ქვის სამრევლოთი. ნაკურთხია მაცხოვრის ამაღლების პატივსაცემად.

2/ კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო-სადვთო წიგნები ეკლესიას აქვს.

3/ მიწები ეკლესიას საერთოდ არ გააჩნია.

4/ კრებულისათვის ნაგებობა არ არის და მხოლოდ დამის დარაჯებისათვის არის ხის პატარა ნაგებობა.

5/ ეკლესიის მღვდელია აზნაური გიორგი ივანეს ძე მიქაძე, მედავითნე — სასულიერო წოდებიდან სპირიდონ კუსიანი. ორივეს საკუთარი მამული და სახლი აქვს. სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად მღვდელი იღებს 80 მან., მედავითნე — 30 მან. გარდა ამისა, მრევლისაგან მღვდელი იღებს 100 მან., მედავითნე — 35 მან.

6/ ახლოს მდებარე ეკლესიებია: დარყის მთავარანგელოზის და ჭალის — წმ. გიორგისა. სპეთის ეკლესიიდან ისინი ორი ვერსის დაშორებით მდებარეობენ.

7/ მეტრიკის ასლები 1830 წლიდან ინახება, აღსარების მთქმელთა სიები 1839 წლიდან, 1840-41, 1845, 1850-51 და 1860 წლების გამოკლებით.

8/ სარევიზიო წიგნი არ არის.

9/ საეკლესიო ქონების აღწერა არის.

10/ შემოსავალ-გასავლის წიგნი სწორად იწარმოება.

11/ ეკლესიას აქვს თანხა — 5 მან. 37 კაპ.

12/ ეკლესიასთან არ არის სამრევლო სკოლა, ბიბლიოთეკა და არც სამზრუნველო.



სოფელ სპეთში შემდეგი წოდების მრევლია:



	კომლი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო	2	4	1
აზნაური	1	1	1
გლეხები	99	421	341
<b>სულ</b>	<b>102</b>	<b>429</b>	<b>346</b>

მრევლი სპეთის ეკლესიიდან 1-5 ვერსის დაშორებითაა და მთაგორიანი ადგილების გამო მიმოსვლაში დაბრკოლებულია.

ეკლესიის კრებული:

მღვდელი გიორგი მიქაძე

მედავითნე სპირიდონ კუსიანი

**1894 წ. უწყება ს. სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 994 8-64/62**

სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ქვის ეკლესია ერთტრაპეზიანია, სამრეკლოს გარეშე. ვინ და როდის ააგო მაცხოვრის ამაღლების სახელზე, უცნობია.

კანკელი, საღარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები ყველა ვარგისია და გამოიყენება.

მეტრიკის ასლები 1845 წლიდან არის, აღსარების მთქმელთა სიები – 1844 წლიდან.

შემოსავალ-გასავალის, სარევიზიო და საეკლესიო ქონების აღწერის წიგნები არის.

მღვდელი იოსებ იაკობაშვილი, მედავითნე – ი. ზამბახიძე. მათ აქვთ სახლი და მცირე მაძული. მღვდელი ს. ჩიხში ცხოვრობს, მედავითნე – ს. სხვიტორში.

მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 130 მან. იღებს, მედავითნე – 40 მან. გარდა ამისა, მრევლიდან მღვდელი 80 მან. იღებს, მედავითნე – 20 მან.

ზედმიწერილია კვერეთის ღვთისმშობლის ეკლესია. იგი ხისაა და მოქმედა. საშტატო ეკლესიიდან 7 ვერსზეა. ახლომდებარე საშტატო ეკლესიებია: დუნთის მთავარანგელოზის და ს. ნინოს სამების ეკლესია, რომლებიც სხვიტორის ეკლესიიდან 1 ვერსზე მდებარეობენ.

ეკლესიას თანხა არ გააჩნია, სანთლის ფულის - 10 მან. გარდა.

მრევლი ცხოვრობს ს. სხვიტორსა და კვერეთში. სხვიტორში 70 კომლია და კვერეთში - 5 კომლი.

სხვიტორის მრევლს მიმოსვლაში დაბრკოლება არა აქვს. კვერეთის მრევლს რთული და გრძელი გზა აქვს გასავლელი, რადგან 7 ვერსის მოშორებითაა.

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	6	19	2
2/ აზნაურები	7	18	10
3/ თავადები	4	15	17
4/ გლეხები	58	285	227
სულ	75	337	275

1910 წ. N 4979 8-64/47

სხვიტორში 116 კომლია, კვერეთში /რომლის ეკლესია შიგნით და გარედან შეღებილია/ 11 კომლი ცხოვრობს.

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	7	23	22
2/ აზნაურები	6	13	9
3/ თავადები	7	17	12
4/ გლეხები	107	318	284
სულ	127	371	338

ს. სხვიტორის ამაღლების ეკლესიის კრებული:  
მღვ. ი. იაკობაშვილი  
მედავითნე დ. იაკობაშვილი



1910 წ. N 4980 8-64/48

მღვდელი იოსებ იაკობაშვილი, მღვდლის შვილი, დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი, 1888-1894 წ.წ. სხვიტორის ეკლესიაში მასწავლებლობდა. 1895 წ. ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად განაწესეს სხვიტორის მაცხოვრის ეკლესიაში.

1909 წ. დააჯილდოვეს ენქერით. აქვს სამღვდლო სიგელი. მის მშობლებს აქვთ სახნავი მიწა და ვენახები.  
წინამძღვარი, მღ. ვლ. აბრამიშვილი.

1896 წ. უწყება ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 35X22სმ; N 5003 8-64/71

ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ქვის ეკლესია ერთტრაპეზიანია, სამრეკლოს გარეშე. როდის და ვის მიერ აიგო, უცნობია.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები ვარგისია და გამოიყენება.

სოფ. ბერეთისაში ეკლესიას ერთი ნაკვეთი მიწა აქვს, სახელწოდებით „დუმალას პირი“, რომელიც 8 მან. 60 კაპ. წლიური საიჯარო თანხით გაცემულია იჯარით. ნაკვეთი 1893 წ. 4 წლის ვადით გაიცა.

ღამის დარაჯებისათვის ეკლესიას მარჯვნივ მცირე ნაგებობა აქვს მიშენებული.

მღვდელსა და მედავითნეებს საკუთარი სახლი და მამული აქვთ.

მღვ. დიმიტრი აბდუშელიშვილი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 70 მან. იღებს. პირველი მედავითნე, საჩინო ეზიაშვილი – 24 მან. დიაკვანი იასონ ყაველაშვილი ხაზინიდან არაფერს არ იღებს. მღვდელი მრევლიდან წლიურად 150 მან. იღებს, მედავითნეები, თითოეული 40 მან.

ზედმიწერილია ორი ეკლესია: ერთი იმავე სოფელში წმ. გიორგის სახელობისა, მეორე — ღვთისმშობლისა სოფ. კალვათაში ორივე ეკლესიას საჭირო საეკლესიო კუთვნილებანი გააჩნია: ორი თოეული მათგანი ქორეთის საშტატო ეკლესიიდან 1 1/2 ვერსის დაშორებით მდებარეობს.

ახლომდებარე ეკლესიებია; საირხის წმ. ნიკოლოზისა და ითხ-ვისის იოანე ნათლისმცემლისა. პირველი 1 1/2 ვერსით და მეორე 3 ვერსითაა დაშორებული.

მეტრიკის ასლები 1828 წლიდან არის, აღსარებისა — 1842 წლიდან. ეკლესიას აქვს სარევიზიო წიგნი, შემოსავალ-გასავალის წიგნი, ეკლესიის ქონების აღწერა, სადაც ჩაწერილია ეკლესიის მთელი ქონება.

პრეველი ცხოვრობს სოფ. ქორეთსა და კალვათაში

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	6	20	16
2/ აზნაურები	5	27	30
3/ გლეხები	220	728	646
სულ	231	775	692

ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიის კრებული:

მღვდელი დიმიტრი აბდუშელიშვილი

მედავითნე საჩინო ეზიაშვილი

დიაკვანი იასონ ყაველაშვილი

1896 წ. N 5004 8-64/72

მღვდელი დიმიტრი აბდუშელიშვილი /63 წლის/, აზნაური, ქუთაისის სასულიერო სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ ვანის მონასტერში შეისწავლა გალობა, საეკლესიო წესდება და დამწერლობა ქართულ ენაზე.

1864 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმით სავანის წმ. გიორგის ეკლესიაში დიაკვნად, 1865 წლიდან ცხამის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლად განაწესეს.

1874 წლიდან ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში.

1883 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა ენქერით დააჯილდოვა.

1895 წ. იმერეთის დროებითმა ეპისკოპოსმა ბესარიონმა დააჯილდოვა დელმა არახჩინით დააჯილდოვა. აქვს მღვდლის სიგელი.

1903 წ. უწყება ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 5018 8-64/85

... ზედმიწერილი ორი ეკლესიიდან ერთი იმავე სოფელშია – წმ. გიორგისა, აგებულია 1850 წ. მეორე – სოფ. კალვათას ღვთისმშობლისა ხელახლა ააგეს და 1901 წ. აკურთხეს. ორივე ეკლესია მოქმედია. ისინი საშტატო ეკლესიიდან 1 1/2 ვერსითაა დამორებული.

მრეველი ცხოვრობს სოფ. ქორეთსა და კალვათაში. სამიმოსვლო გზები მოხერხებულია. სულ 252 კომლია. აქედან 798 მამაკაცია, 711 – ქალი.

მღვ. პარმენ ყიფშიძე

1903 წ. ნამსახურობისა ნუსხა სოფ. ქორეთის მაცხოვრის ეკლესიის კრებულისა. N 5017 8-64/85


მღვდელი პ. ყიფშიძე, 32 წლის, მღვდლის შვილი, 1896 წ. კიევის სასულიერო სემინარიის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში სახალხო მასწავლებლად.

1902 წ. ეპისკოპოს ლეონიდეს ხელდასხმით ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად განაწესეს ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში. აქვს სათანადო სიგელი.

მეღავითნე ი. მოსიაშვილი /45 წლის/, მღვდლის შვილიშვილი. საეკლესიო წერა-კითხვა, გალობა, წესდება შეისწავლა ჯრუჭის მონასტერში.

1896 წ. ეპისკოპოსმა ბესარიონმა კობოულის ღვთისმშობლის ეკლესიაში მეღავითნედ განაწესა. 1900 წლიდან ეპისკოპოსმა ლე-

ონიღემ ქორეთის მაცხოვრის ეკლესიაში გადაიყვანა. 1902 წლიდან პირველი მედავიტონეა.



1894 წ. უწყება ს. ჩიხას წმ. სამების ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35X22 სმ; N 4996 8-64/64

1/ ჩიხას წმ. სამების ეკლესია, ქვის, ერთტრაპეზიანი, სამრეკლოს გარეშე, ვინ და როდის ააშენეს ეკლესია, უცნობია.

2/ კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და ღვთისმსახურების წიგნები არის და გამოიყენება.

3/ ეკლესიას მიწები საკუთრებაში არ გააჩნია.

4/ კრებულისათვის შენობა არ არის, მხოლოდ ღამის დარაჯებისათვის ხის პატარა ნაგებობაა.

5/ მღვდელი ვ. კაპანაძე, მედავიტონეები: გარსევან და ზაქარია იაკობაშვილები.

6/ მღვდელი და მედავიტონეები საკუთარ სახლში და მამულში ცხოვრობენ.

7/ მღვდელი ხაზინიდან წლიურად 80 მან. იღებს, მედავიტონე გ. იაკობაშვილი 24 მან. მეორე მედავიტონე ხელფასს არ იღებს. ამ წელს მრევლისაგან არაფერი არ მიუღიათ.

8/ აღნიშნულ შტატთან ეკლესიას იმავე სოფელში აქვს ზედმიწერილი ღვთისმშობლის ქვის ძველი ეკლესია, რომელიც ნახევარი ვერსის დაშორებით მდებარეობს.

9/ ახლომდებარე ეკლესიებია სხვიტორის მაცხოვრისა და ორღულის წმ. გიორგის ეკლესია. სხვიტორის 2 1/2 ვერსითაა დაშორებული, ორღულისა — 4 1/2 ვერსით.

10/ მეტრიკის ასლები 1831 წლიდან ინახება, აღსარების წიგნები — 1844 წლიდან, ზოგიერთი წლების გამოკლებით.

11/ არის სარევიზიო წიგნი.

12/ არის ქონების აღწერის წიგნი.

13/ არის შემოსავალ — გასავლის წიგნები.

14/ ეკლესიას ქუთაისის სახელმწიფო ბანკში 70 მან. აქვს.

მრევლი სოფელ ჩიხაში ცხოვრობს, ეკლესიიდან 1/2 — ვერსის მანძილზე.

	„დვორი“	მამკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	13	42	35
აზნაურები	3	12	16
გლეხები	157	562	491
სახლის მოსამსახურე	1	„ --- „	
<b>სულ</b>	<b>173</b>	<b>617</b>	<b>542</b>

1/ მღვდელი ვ. კაპანაძე, არა აზნაურთაგანი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის სრული კურსი II თანრიგით.

1893 წლიდან ეპისკოპოსმა გაბრიელმა ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად აკურთხა და განაწესა ს. ჩიხას წმ. სამების ეკლესიაში.

1894 წ. მარტიდან იმერეთის ეპარქიის სასწავლო საბჭოს მიერ იგი სვერის საწინამძღვრო ოლქის საეკლესიო-სამრევლო სკოლების მეთვალყურედ დაინიშნა. იმავე წლის აგვისტოდან აღნიშნულმა საბჭომ ჩიხას ორკლასიანი საეკლესიო-სამრევლო სკოლის გამგის მოადგილედ დანიშნა.

აქვს სამღვდლო ხელდასხმის სიგელი.

2/ მედავითნე გ. იაკობაშვილი, დიაკვნის შვილი, წერაკითხვა, გალობა, საეკლესიო წესდება ჯრუჭის მონასტერში შეისწავლა. 1868 წ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა იგი ჩიხას სამების ეკლესიაში მეფსალმუნედ განაწესა.

1/ ქართული კომლის ნაცვლად ნაჩვენებია რუსული „დვორი“, რომელიც სულალობით კომლზე უფრო ნაკლებია.

1907 წ. უწყება ს. ჩიხას წმ. სამების ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 4552 22-63/18

მღვდელი ხაზინიდან წლიურად 300 მან. იღებს, მედავითნე 100 მან. გარდა ამისა, მრევლისაგან დრამის სახით მღვდელი 150 მან.-დე იღებს, მედავითნე – 50 მან.

## სოფ. ჩიხა

	„დვორი“	მამაკაცი
1/ სასულიერო წოდება	18	59
2/ აზნაურები	4	15
3/ გლეხები	194	636



კრებული: მღვდელი ა. იაკობაშვილი  
მელავითნე ზ. იაკობაშვილი

1910 წ. ს. ჩიხას წმ. სამების ეკლესიის კრებულის ნამსახურობის  
ნუსხა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 5029 8-64/97

საჩხერის წინამძღვრის მოადგილე 1907 წლიდან, მღ. ა. იაკობაშვილი დაბადებული 1869 წ. ს. ჩიხაში, მღვდლის შვილი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია II თანრიგით. 1893 წ. ეპისკოპოსმა გაბრიელმა ითხვისის ნათლისმცემლის ეკლესიაში მღვდლად განაწესა. 1896 წლიდან ჩიხას სამრევლოშია. 1899-1908 წ.წ. იგი ყრილობის დეპუტატად აირჩიეს საჩხერეს საწინამძღვრო ოლქიდან. 1901 წლიდან საღვთო სჯულს ასწავლის ჩიხას სკოლაში და საჩხერეს ქალთა სკოლაში.

1904 წ. ეპ. ლეონიდემ ენქერით დააჯილდოვა.

1908 წ. არახჩინით დააჯილდოვეს.

აქვს სიგელები. ჰყავს მეუღლე და 8 შვილი. აქვს მცირეოდენი სახნავი მიწა და ვენახი.

წინამძღვარი ვლ. აბრამიშვილი.

1907 წ. უწყება ს. ცხამის წმ. გიორგის ეკლესიისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 4500 20-63/23

ქვის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, სამრევლოს გარეშე, როდის აშენდა უცნობია, აღდგენილია 1862 წ. და 1903 წ.

კანკელი, სალარო, ჭურჭელი, წმინდა და საეკლესიო ღვთისმსახურების წიგნები ვარგისია და გამოიყენება.

ეკლესიას აქვს მიწის ნაკვეთი, სახელწოდებით „სათემო“.



მღვდელია ლ. წერეთელი, მედავითნე - დ. მოდებაძე მღვდელი ხაზინიდან წლიურად 300 მან. იღებს, მედავითნე - 40 მან.

ზედმიწერილია ორი ეკლესია: ეთოს წმ. გიორგის და ეკლესიის ღვთისმშობლის. პირველი არის ხის ეკლესია და იქ მღვდლისაა ურება ტარდება. მეორე ეკლესია ძველია, კედლების ნგრევის გამო იგი უმოქმედოა.

მისი აშენების თარიღი უცნობია.

მეზობელი სოფლის დურევის ეკლესია 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

მეტრიკის ასლები 1828 წ. არის, აღსარების წიგნები - 1844 წლიდან.

ქუთაისის შემნახველ სალაროში ეკლესიას აქვს 25 მან. 48 კაპ. ნაღდი ფული - 59 მან. 53 კაპ.

მრევლი ს. ცხამში ცხოვრობს, ეკლესიიდან 1/2 ვერსის დაშორებით. მიმოსვლაში დაბრკოლება არ არის.

	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ სასულიერო წოდება	12	42	47
2/ გლეხები	74	281	233

სოფ. ეთო	კომლი	მამაკაცი	ქალი
1/ გლეხები	36	114	90
სოფ. ეხვევი			
1/ გლეხები	32	92	81

---

სულ 154 529 451

მღვ. ლ. წერეთელი, მედავითნე დ. მოდებაძე

1910 წ. - ნამსახურობის ნუსხა ცხამის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 35, 5X23 სმ; N 5033 8-64/101

მღვდელი ლავრენტი გრიგოლის ძე წერეთელი. აზნაურთაგანი (59 წლის). ქართულ ენაზე ისწავლა საღმრთო სჯული, საეკლესიო წესდება, წერა და გალობა.

1872 წ. 30 ნოემბერს გაბრიელ ეპისკოპოსმა განაწესა ცხრუკმა  
თის წმ. გიორგის ეკლესიაში მედავითნედ.

იმერეთის ეპისკოპოსმა დიაკვნად განაწესა სვერის წმ. იოანე  
- ნათლისმცემლის ეკლესიაში 1873 წ. იანვარში, იქვე მღვდელად  
აკურთხეს. 1887 წ. გადავიდა სხვიტორის მაცხოვრის ეკლესიაში.  
1898 წ. ღუნთის მთავარანგელოზის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1906  
წ. 8 დეკემბერს ეპისკოპოსმა ბესარიონმა გულმოდგინე სამსახური-  
სათვის ენქერით დააჯილდოვა.

პირადი თხოვნის საფუძველზე გადაიყვანეს ცხამის წმ. გიორ-  
გის ეკლესიაში.

მედავითნე დავით მოღებამე.

1907 წ. უწყება სოფ. ჭალის წმ. გიორგის ეკლესიისა. დედანი,  
რუსულ ენაზე, ზომა: 36X23 სმ; N 4532 4-63/24

ხის ეკლესია, ერთტრაპეზიანი, სამრეკლოთი, ააგეს 1900 წ.  
კანკელი, საღარო, ჭურჭელი, საეკლესიო-ღვთისმსახურების  
წიგნები არის.

მღვდელსა და მედავითნეს მცირე სიდიდის მამული და სახლი  
აქვთ.

მღვდელი სახელმწიფო ხაზინიდან წლიურად 300 მან. იღებს,  
მედავითნე - 100 მან. მღვდელი მრევლისაგან 40 მან. იღებს,  
მედავითნე - 20 მან.

ჭალის სამტატო ეკლესიაზე ზედმიწერილია დრბოს წმ. გიორ-  
გის ხის ეკლესია. აშენების დრო ცნობილი არ არის. დაშორებულია  
1 1/2 ვერსით. არის ქვის მეორე ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება  
1904 წლამდე მიმდინარეობდა. ახლომდებარე ღონას ეკლესია 2  
ვერსზე მდებარეობს.

მეტრიკის ასლები 1832 წლიდან არის, აღსარებისა - 1844  
წლიდან. ზოგიერთი წლების გამოკლებით.

მრევლი ჭალის წმ. გიორგის ეკლესიიდან 1 1/2 ვერსზე ცხ-  
ოვრობს. მიმოსვლაში დაბრკოლება არ არის.

	„დკორ“-ი	მამაკაცი	ქალი
სასულიერო წოდება	2	3	4
აზნაურები	70	266	215
გლეხები	40	166	
<b>სულ</b>	<b>112</b>	<b>395</b>	<b>338</b>



სოფ. ჭალის ეკლესიის კრებული:  
 მღ. ალექსაი კურცხალია  
 მედავითნე ზაქარია აბაშიძე  
**შენიშვნა:** 1/ 1910 წ. N 5030 8-64/98. 1907 წლის მონაცემები  
 მეორდება მრევლში მცირე ცვლილებებით.

**1908 წ. ნამსახურობის ნუსხა – სოფ. ჭალის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისა N 4951 8-64/19**

1/ მღვდელი ალექსი კურცხალია /68 წლის/, აზნაური, კითხვა, საეკლესიო წესდება, წერა და გალობა ქართულ ენაზე გელათის მონასტერში შეისწავლა.

1861 წ. ოსეთის კომისიაში, ჯავის საწინამძღვრო ოლქის ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესიაში განაწესეს.

1965 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძანებით კუდარის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიყვანეს.

1868 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ხელდასხმით ჯერ დიაკვნად, შემდეგ მღვდლად განაწესეს ძეგლევის წმ. გიორგის ეკლესიაში.

1871 წ. ლაჩთის წმ. გიორგის ეკლესიაში მოღვაწეობდა.

1876 წ. მისივე თხოვნით გაბრიელ ეპისკოპოსმა ონის საწინამძღვრო ოლქიდან საჩხერეს საწინამძღვრო ოლქში გადაიყვანა და ჭალის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდლად განაწესა.

1898 წ. ეპისკოპოსმა ბესარიონმა ენქერით დააჯილდოვა.

1907 წ. ეპისკოპოსმა ლეონიდემ არახჩინით დააჯილდოვა. აქვს სამღვდლო სიგელი.

2/ მედავითნე ზ. აბაშიძე /58 წლის/, მღვდლის შვილი, აზნ-

აურთავანი, განათლება მღვდლის სახლში მიიღო.

1877 წ. გაბრიელ ეპისკოპოსმა ჭალის ეკლესიაში მედავითნედ /  
დაამტკიცა.

წინამძღვარი, მღვ. ვლ. აბრამიშვილი.



1907 წ. საჩხერეს საწინამძღვრო ოლქის თექვსმეტი სოფლის ეკლესიებში შემავალი მრევლის საერთო რაოდენობა. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა:35X22 სმ; N 3129 36-62/307.

თექვსმეტი სოფლის /არგვეთი, გორისა, ჭალა, სპეთი, სხვიტორი, საირხე, ჩიხა, ქორეთი, მერჯვევი, სავანე, დურევი, საჩხერე, ცხამი, დარყი და სარქველთუბანი/ ეკლესიათა მრევლის რაოდენობა შეადგენს – 2722 კომლს. მამაკაცთა რაოდენობა – 9009 სული; ქალთა – 8173 სული. მთლიანად – 17182 სული

უთარილო. უწყებანი. საჩხერეს საწინამძღვრო კომლთა რაოდენობა. ასლი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22 სმ; N 3131 36-62/309.

საჩხერეს საწინამძღვროში ითვლება	2996 კომლი;
მათგან: სასულიერო წოდება	565 სული
სამხედროები	1625
აზნაურები	114
გლეხები	14532

---

სულ 16836 სული

1909 წ. სია ეკლესიებისა, რომელთაც მიწის ნაკვეთი გააჩნიათ, შედგენილი მღვდელ ვლ. აბრამიშვილის მიერ /საჩხერეს ოლქის წინამძღვარი/.

შავად ნაწერი, რუსულ ენაზე. ზომა:22X17, 5 სმ; N 5085 8-64/153

1/ სავანე – მიწა სოფ. ბერეთისაში, სახელწოდებით „ღუძობას პირი“, დაახლ. 12 ქცევა...

2/ ქორეთი – მიწები მდებარეობს სოფ. ბერეთისაში, ზღობით, 12 ქცევა...

3/ მერჯევი – „წყაროს მიწა“ – წერეთლისეული დაახლ. 1/5 ქცევა.

4/ ცხამი – მიწის ნაკვეთი, სახელწოდებით „სათემო“, დაახლ 1/5 ქც.

უთარილო – სია ეკლესიებისა, რომელიც საჩხერეს საწინამძღვრო ოლქში შედის. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 35X22 სმ; N 4052 15-63/7

1/ შუქრუეთის წმ. მარინეს ეკლესია

2/ სავანეს წმ. გიორგის „

3/ არგვეთის წმ. გიორგის

4/ გორისის წმ. გიორგის

5/ დურევის მაცხოვრის

6/ ცხამის წმ. გიორგის

7/ სპეთის მაცხოვრის

8/ დარყის მთავარანგელოზის

9/ ჭალის წმ. გიორგის

10/ ორლულის წმ. გიორგის

11/ ჩიხას სამების

12/ სხვიტორის მაცხოვრის

13/ ღუნთის მთავარანგელოზის

14/ სარეკის ღვთისმშობლის

15/ მოხვის წმ. გიორგის

16/ ბაჯითის სამების

17/ ზედუბნის კოსმა და დამიანესი

18/ ზეკვეთის ღვთისმშობლის

19/ ზოდის წმ. გიორგის

20/ წირქვალის წმ. იოანე ნათლისმცემლის

21/ დარკვეთის წმ. გიორგის

- 22/ მღვიმის წმ. ბარბაღეს
- 23/ ქორეთის მაცხოვრის
- 24/ საირხის წმ. ნიკოლოზის
- 25/ ჭორვილის მაცხოვრის
- 26/ მერჯევის სამების
- 27/ ვანის ფერისცვალების
- 28/ საჩხერეს ღვთისმშობლის
- 29/ სარქველთუბნის მთავარანგელოზის  
წინამძღვარი მღვდ. აბ. ჩაჩანიძე

1901 წ. 3 ოქტომბერი. აღწერა სოფელ ძიროვანის წმ. გიორგის ეკლესიისა. დედანი, ზომა:35,5X21, 5 სმ; N 4196 16-63/111

სია ძიროვნის წ-ის გიორგის დავანებული ეკლესიისა შედგენილის სამს ოქტომბერს 1901 წელსა

ტრაპეზი ამა ეკლესიის არის ქვისა და დამყარებული საშვალ საკურთხეველისა.

კანკელი არის გაკეთებული ნიგვზის ხისაგან, რომელზედაც არის დახატული რვა ხატი:

- 1/ მაცხოვრის ხატი
- 2/ ღვთის მშობლის ხატი
- 3/ ნათლის ღების ხატი
- 4/ აღდგომის ხატი
- 5/ სერობის ხატი
- 6/ ფერის ცვალების ხატი
- 7/ შობის ხატი
- 8/ გარდამოხსნის ხატი
- 9/ ჩრდილოეთის კარზედ წ-ა გიორგის ხატი
- 10/ სამხრეთის კარებზედ მთავარ ანგელოზის მიხაილის ხატი

აღსავლის კარები ოქროთი მოვარაყებული ექვსის ხატით, ტილოზედ დახატულის და ოქროთი მოვარაყებული ოთხის მანარობლით:

11 მათესი

12/ მარკოსისი

13/ ლუკასი

14/ იოანესი

15/ მთავარ ანგელოსი გაბრიელის

16/ ღვთის მშობლის ხატი

აღსავლის კარები და მასზედ გამოხატული ხატები ღირებული თორმეტ თუმნად და თვითეული ზემო აღწერილნი ხატნი ღირებული სამ სამ თუმნად.

საშვალ ეკლესიაში იმექონებიან შემდეგი ხატი:

17/ მაცხოვრის ხატი, მინაში და ჩარჩოებში ჩაჯენილი.

18/ ღვთის მშობლის ხატი, საშვალის ტანის, მინაში და ჩარჩოებში ჩაჯენილი.

19/ წ-ის გიორგის ხატი, სიმაღლით რვა ვერშოკი და სიგანით ექვსი ვერშოკი, ვერცხლის და ოქროთი დაფერილი, ორის თვლით და ხის ჩარჩოში ჩაჯენილი.

20/ წ-ის გიორგის ხატი, ქალაღღზედ დახატული, ჩარჩოებში ჩაჯენილი.

21/ მაცხოვრის ხატი, ფიცარზედ დახატული, დიდის ტანისა, ძველის ხელოვნებისა.

22/ მთავარანგელოზის ხატი, ფიცარზედ დახატული.

23/ წ. ნინოს ხატი, ქალაღღზედ დახატული მინაში და ჩარჩოებში ჩაჯენილი.

24/ ღვთის მშობლის ხატი, საშვალის ტანისა, ფიცარზედ დახატული.

25/ ღვთის მშობლის მიძინების ხატი, ფიცარზედ დახატული, საშვალის ტანისა.

ტრაპეზში იმექონებიან შემდეგი ხატები

26/ მთავარ ანგელოზის ხატი, დიდის ტანისა, ფიცარზედ დახატული და შემოწირული ვასილ ქათამაძისაგან.

ტრაპეზში იმექონებიან შემდეგი ხატები:

27/ მაცხოვრის ხატი, პატარა ტანისა, მინაში და ჩარჩოში ჩაჯენილი.

- 28/ ღვთის მშობლის ხატი, საშვალის ტანისა, მინაში და ჩარჩოებში ჩაჯენილი.
- 29/ წ-ის გიორგის ხატი, ფიცარზედ დახატული.
- 30/ ღვთის მშობლის ხატი, ხეზედ დახატული.
- 31/ მაცხოვრის ხატი, პატარა ტანისა.
- 32/ ღვთის მშობლის ხატი, პატარა ტანისა.
- 33/ კანდელი დიდი თანაქისა, თექვსმეტ ღეროვანი
- 34/ კანდელი დიდი თანაქისა, თექვსმეტ ღეროვანი, შემოწირ-  
ული ორნივე გიორგი და მარკოზ ფორჩხიძეებისაგან და ღირებული  
ოცდახუთ მანეთად /25/
- 35/ კანდელი საშვალო ტანისა, თანაქისა, ხუთ ღერო.
- 36/ კანდელი თანაქისა, ხუთ ღეროვანი, შემოსწირა ორნივე  
ნიკიფორე ქათამაძემ და ღირს რვა მანათი.
- 37/ კანდელი საშვალო ტანისა, თანაქის ხუთ ღეროვანი, ღი-  
რებული სამ მანეთად.
- 38/ კანდელი საშვალ ეკლესიაში დასაკიდებელი, შემოწირული  
ნიკიფორე ქათამაძისაგან და ღირებული 12 მან.
- შესწორება: 33 ნომრიდან – 38-დე სწერია შეცდომით კანდელი.  
უნდა ეწეროს სასანთლე.  
მღ. სამსონ აბხაიძე







**სამრევლო ეკლესიები და სოფლები, მონასტრები, მუზეუმები, მემკვიდრეობა-აღდგენა და მუნიციპალიტეტები**

1866 წ. 8 მაისი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა აზნაურ ალ. ახვლედიანისადმი. დედანი, ზომა: 22X18 სმ; N 8984 102-66/36.

აზნაურო ალ. ახვლედიანი!

ფერსათის მრევლი აშენებს ეკლესიას და მცხოვრებნი თხოულბენ რომ თქუენ მიიღოთ თაობა ამ საქმეში და აგრეთვე ბერძენი უსტა თხოულბოს ამასვე. ამისთვის მოგანდობ თქუენ ითაოთ ამ ეკლესიის აშენება. შეაგონოთ, გააღვიძოთ და აიძულოთ ხალხი, რომ ბერძენი არ იყოს მოცთენილი, არამედ თავის დროზე, კონტრახტისა თანახმად მიეცეს მას ფული. აგრეთვე გზა არავინ დაუკაოს იქ მცხოვრებმა, მასალის მისატანი. იმედი მაქვს, რომ ვითარცა მუნ მცხოვრები და გამოცთილი, ამ საქმეს კარგათ აასრულებთ და მით მოიპოვებთ მცხოვრებთაგან მადლობას და ღვთისაგან მადლობას.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

3 მაისს, ჩყ ვ -ს

1873 წ. 28 სექტემბერი. მიწერილობა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღვარ იოანე აბაშიძისადმი ჭალის წმ. გიორგის ეკლესიის სიძველისა და უვარგისობის შესახებ.

დედანი. ზომა: 22X18 სმ; N 3237 36-62/415

ბლალაჩინს, მღვდელს იოანე აბაშიძეს

რაპორტზედა თქვენსა, 19-ის განვლილის აგვისტოდამ N 95, შესახებ ჭალის წმ. გიორგის ეკლესიის უვარგისობისა და სიძველისა, მოგიწერ თქვენ მოიქცეთ თანახმად თქვენის აზრისა, მოსხენებულისა ზემო განცხადებულის ხსენებულის რაპორტსა შინა და მერმე მომახსენოთ შემდგომისთვის.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

28 სექტემბერი, 1873 წ.

1878 წ. 22 თებერვალი. პირობის ხელწერილი ეკლესიის აშენების შესახებ დადებული ახნაურ ზურაბ წერეთელსა და ალექსი სარიდან, ივანე და ლუარსაბ ცუცქირიძეებს შორის.

ასლი. ზომა: 35X21, 5 სმ; N 921 26-59/119

პატივცემულნი ალექსი როსტომის ძე, სარიდან გრიგოლას ძე, ივანე მამუკას ძე, ლუარსაბ სიმონის ძე ცუცქირიძეებო და მახარა ღვალაძე.

თქვენ მიერ უწყებულ არს, რომელ ჩვენ უნდა აღვაშენოთ ახალი ეკლესია ქვითკირისა, რომელზედაც ჩვენ ყველანი ერთათ შეურიგდით ფოდრიაჩიკებს – ახნაურთ ჯიბო და გიორგი წერეთლებს ორი ათას მანეთ ფულათ, სამას კოკა ღვინოთ, სამას კოდ სიმიდათ, ექვსას ქათმათ, სამოცდათუთხმეტ ბათიან ლობიოთ, სამოცდათუთხმეტ ჩარექ მარილათ და მათ მიერ ნაშოვნი და დამზადებული მასალის მოტანით. ვინაითგან ჩვენ ყველასა ერთათ სიარული არა შესაძლო არს, ამისათვის თქვენ, ზემოთ ხსენებულნი პირნი აღვირჩიეთ ვეჭილათ, მას ზედა, რომელ თქვენ შეეკროდეთ კანტრახტით ზემოთ ხსენებულ ფოდრიაჩიკებს და მით ითხოვდეთ ჩვენსგან მათ დასაკმაყოფილებლად ყოველთა სამჭირნოებათა თავთავის დროზედ ფულით, მუშით და ჭირნახულით და როგორც თქვენ ამაზედ იმოქმედებთ, ჩვენ ვიქნებით სრული თანახმა და უკეთუ ხვედრს მოსაცემს თავის დროზედ არ მოგცემთ, მაშინ ნება გექნებათ მიიღოთ ძალით, რომ ამაზე ჩვენ დავასა და საჩივარსა ვერ განვაცხადებთ. მას შინა ხელს ვაწერთ ახნაური ზურაბ წერეთელი ... და გლეხნი ... ცუცქირიძეები. /64 კაცი/.

ჩყო... წელსა, თებერვლის ოცდაროსა რიცხვსა გამოწმებთ ჩხიროულიის საზოგადოების სუდიები ამა ვეჭილობის ქაღალდსა. სუდია ფიდონა მელაძე, სუდია მოსე ჩხეიძე. სუდია ბესო ჩინჩალაძე...

1879 წ. 9 ოქტომბერი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა დეკანოზ ი. აბაშიძისადმი სავანის ეკლესიის გადახურვის შესახებ. დედანი. ზომა: 22X17, 5 სმ; N 3174 36-62/352

ბლალოჩინს, დეკანოზს იოანე აბაშიძეს!

ძალისა გამო მოხსენებისა თქვენისა 15 განვლილის ივლისიდან,

N 54, შესახებ სავანის ეკლესიის გადახურვისა, მოგიწერ თქვენ, რომ თუ ეკლესიას აქვს ფული, მოხმარდეს სასყიდლად სახურავისა და თუ არა, დახშოთ ერთ ხანს, მინემ მრევლი გადახურავდეს. იმ  
გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა 9 ოკტომბერს, 1879 წელსა.

1891 წ. 21 დეკემბერი. მიმართვა ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღ-  
ვარ, დეკანოზ იოანე აბაშიძისადმი ნესტორ წერეთლის კარის ეკლესიის  
შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 22X17 სმ; N 3351 36-62/529  
მიღებულია 23 იანვარს, 1822 წ.

წინამძღვარს, დეკანოზს იოანე აბაშიძეს!

გაცნობებთ თქვენ, რათა შემატყობინოთ თუ რა მდგომარეობა-  
შია განსვენებულ თავად, ნესტორ წერეთლის კარის ეკლესიისა  
და მთელი მისი კუთვნილი ქონების ახლადმშენებარე საჩხერეს  
ეკლესიისათვის საკუთრებაში გადაცემის საკითხი.

იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი  
21 დეკემბერი, 1891 წ.

1892 წ. 26 მარტი. მიმართვა მღვ. ა. ჩაჩანიძისა სოფ. ჭალის  
ეკლესიის მღვდელ ა. კურცხალიასადმი

დედანი. ზომა: 22X18 სმ; N 3822 11-63/225

ჭალის ეკლესიის მღვდელს ალექსი კურცხალიას!

წინა დაგიდებთ თქვენ, რათა ამაზედვე წარწერით მაცნობოთ მე,  
თუ რომელ წელიწადში და ვისი განკარგულებით აშენდა თქვენდა  
რწმუნებულის ჭალის ეკლესიაზედ ზედმიწერილის სოფლის დრბოს  
ეკლესია.

ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი მღ. ა. ჩაჩანიძე  
1892 წ. 26 მარტი

ა. კურცხალიას მიმართვა, გამოსმაურება ს. დრბოს ეკლესიის  
შესახებ.

ოტზივი

კითხვასა ზედა თქვენი მაღალ კურთხევისა შესახებ რწმუ-  
ნებულს ჩემს პრიხოდში სოფლის დრბოს ეკლესიის აღშენებისა,

მაქვს პატივი ვაუწყო, რომელ აღნიშნული სოფლის ეკლესია იყო ჩემ შემოსვლამდე გაკეთებული, მაგრამ ძლიერ ჰატარა და უარგისი, რომელშიდაც საძნელო იყო ღვთის მსახურების შესრულება. ამისთვის მე, როგორც მღვდელმა ჩავაგონე იმ ეკლესიას მემკვიდრე ვალს მრევლს და შევაკეთეთ ტრაპების შეურყევლად ხის შენობა, ბლალოჩინის დეკანოზის იოვანე აბაშიძის ნებართვით 1886 წელში და როგორც მახსოვს მოახსენა მის ყ-დ უსამღვდელოესობას დეკანოზმა და მის მეუფების ბრძანებით აკურთხა დეკანოზმა იოვანე აბაშიძემ აღნიშნული ეკლესია.

სოფლის ჭაღის წ-და გიორგის ეკლესიის მღვდელი  
ალექსი კურცხალია  
1892 წ. მარტის 27.

1892 წ. 23 ივლისი. თხოვნა ა. წერეთლისა წინამძღვარ მღ. ა. ჩაჩანიძისადმი გარდაცვლილი მეუღლის გასვენებისათვის სათანადო მღვდელ-მოქმედების ჩატარების ნებართვის შესახებ.

დედანი, ზომა:35X22 სმ; N 3303 36-62/481

მის მალალ კურთხევას, ბლალოჩინის მღ. აბესალომ ჩაჩანიძეს დაბა საჩხერის მცხოვრების თავადის ალექსანდრე, იგივე შამშუ ქაიხოსროს ძის წერეთლისაგან თხოვნა

მე გარდამეცვალა ჩემი მეუღლე, ანასტასია 23 ივლისს და მსურს გავასვენო როგორც შეესაბამება ქრისტიან ადამიანს, მაგრამ ადგილობითი მღუდელი არ მისრულებს საჭირო მღუდელ-მოქმედებას ძალისა გამო მოწერილებისა მათის ყ-დ უსამღვდელოესობისა იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ვინაითგან აკრძალული აქვსთ თავადთ წერეთლებს მღუდელმოქმედება შესახებ ეკლესიის აღუშენებლობისა. ამისათვის ვსთხოვ თქვენ მალალ კურთხევას გვიშუამდგომლოს ყ-დ სამღვდელოსთან, რათა მან მოგვცეს ნება ქრისტიანულის წესით განსვენების ჩემის მეუღლისა.

თ. ალექსანდრე, იგივე შამშუ ქაიხოსროს ძე წერეთელი

1892-ს წელსა, ივლისის 23-ს დღესა

/მინაწერი/ 1892 წ. 24 ივლისი. ბლალოჩინმა მამა მღვდელმა ჩაჩანიძემ სთხოვოს მთხოვნელს აჩვენოს მაგალითი, ისარგებლოს

ამ შემთხვევით, მისი მეუღლის სახელისათვის შესწიროს ეკლესიის აშენებისათვის, რაც დაედება. თუ არ დათანხმდა, ტირილზე და დამარხვაზე დაესწროს სამღვდლოებანი და წირვები აუსრულონ მხოლოდ დამარხვის დღეს. მე არ შემძღვრავ აწმინდა სიციხეებში ჩამოსვლა.

გაბრიელ ეპ. იმერეთისა

1893 წ. 28 აპრილი. მოხსენება სპეთის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლის გ. მიქაძისა ბლალოჩინ ა. ჩაჩანიძისადმი ეკლესიის კურთხევის შესახებ. დედანი, ზომა:35X22 სმ; N 3325 36-62/503

მის მაღალ კურთხევას ბლალოჩინს მღვდელს ა. ჩაჩანიძეს სპეთის მაცხოვრის ეკლესიის მღვდლის გ. მიქაძისაგან

### რაპორტი

რწმუნებულს ჩემდამი სპეთის მაცხოვრის ეკლესია იქვნა შეკეთებულ მრევლთაგან, ნება დართვით მისს ყ-დ უსამღვდლოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ, იშუამდგომლოთ მისს მეუფებასთან, რადგანაც ამჟამათ ეკლესია მზად არის და ამავე მრევლმა იცის დღესასწაული ამაღლებისა და თხოულობენ თვით იმ დღესასწაულს, რომ კეთილ ინებოს მისმა მეუფებამ კურთხევა ზემოხსენებულის ეკლესიისა.

მღუდელი გიორგი მიქაძე

1893 წელსა, აპრილის 28 რიცხვსა.

1893 წ. 17 მაისი. თხოვნა სოფ. ჭალის ეკლესიის მღვდლის ა. კურცხალიასი წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი ეკლესიის შეკეთების შესახებ. დედანი. ზომა:35X22 სმ; N 3321 36-62/499

მისს მაღალ კურთხევას ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს

სოფლის ჭალის წ-ის გიორგის ეკლესიის მღვდლის ალექსი კურცხალიასაგან

## რაპორტი



არა უცნობილ არს თქვენი მაღალკურთხევისადმი ჩემს პრიხოდში არის ერთი გაუქმებული ...ეკლესია, სადაც მიღინძმლოცველები კვირაობით და მიაქვთ შესაწირი, რომელით ამ მდგომარე წელიწადშიც გემოვიდა ცხრა მანეთამდი. დღეს ხსენებულს ეკლესიას აღარ აქვს სახურავი სიძველისა გამო. ამისთვის გთხოვთ მოგვცეთ ნება, რომ გადავხუროთ იმ ფულით აღნიშნული ეკლესია, რადგან მასზედ შემაგალი ხალხიც თხოვილობს მის დახურვას და ჩემის ფიქრით საუმჯობესოდაც იქნება მისთვის, რომ მლოცველებიც უმფრო ბევრი მოვა და მით გამრავლდება შემოსავალიც.

მღვდელი ალექსი კურცხალია

1893 წელსა, მაისის 17-ს

1893 წ. 26 მაისი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი, რათა წერეთლები შეუდგნენ ეკლესიის აშენებას. დედანი, ზომა: 22X17 სმ; N 3259 36-62/437

ბლალოჩინ, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს

გადმოგცემ რა ამასთანავე პირს საქართველო-იმერეთის სინოდალურის კანტორის უქაზისას, 22 მაისიდან ამა წლისა, N 44573, წინადაგიდებთ რათა გამოუცხადოთ პირათ თქვენ თავად წერეთლებს მისი შინაარსი და მასთან აუხსნათ და გადასცეთ მათ ჩემ მაგიერათ ის, თუ რა დიდი ცოდვა არის და მასთან არ ეკადრებათ თავად წერეთლებს ღვთის სახლის აგების გამო ჟინიანობა და ქიშპობა. მღვთით იგინი არ არიან ღარიბნი. თითოეულს მათგანს კარგათ-ადვილათ შეუძლია ააშენოს ეკლესია. თუ კი კაცი ცდილობს და არ ზოგავს საშუალებას და შრომას, რომ კარგი და ვრცელი სახლები ააშენოს, ნუ თუ უმეტესად არ უნდა იზრუნვოს და ეცადოს მღვთის სახლის აშენებას და გამშვენებას, თუ იგი ნამდვილი ქრისტიანი კაცია, ჭეშმარიტად მეტად მაწუხებს და მაცოცებს თავად წერეთლების მოქმედება, მით უმეტეს რომ ეკლესია კიდევაც არის დაწყებული, ბლავერი აყვანილი. დიდი ცოდვა არის ეხლა მისი გაუთავლობა და კანონითაც აკრძალულია. უკანასკნელად ვსთხოვ

თავად წერეთლებს შეუდგენ ეკლესიის აშენების საქმეს და მით დაასრულონ, მღვთის სასიამოვნო, მათთვის სასარგებლო და ჩუქთვის გასახარელი საქმე.



გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა  
26 მაისი 1893 წელსა.

1893 წ. 28 ივნისი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა მღვდელ აბ. ჩაჩანიძისადმი, რათა მან ეპისკოპოსს აცნობოს სარქველთუბნის ეკლესიის მშენებლობის ვითარების შესახებ. დედანი, ზომა: 22X17, 5 სმ; N 3768 11-63/171

1893 წ. 19 თებერვალი. მიმართვა დ. აბდუშელიშვილისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი ს. ქორეთის ეკლესიის მშენებლობის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17, 5 სმ; N 3760 11-63/169

1892 წ. 24 მაისი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი, რათა მან აცნობოს სოფელ დრბოს მცხოვრებთ, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ სოფ. ჭალის ეკლესიის მშენებლობაში, რომლის მრევლიც ისინი არიან.

დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17, 5 სმ; N 3830 11-63/233

1894 წ. 10 დეკემბერი. მოხსენება მღვდელ ირაკლი აბაშიძისა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისადმი მიხეილ მთავარანგელოზის დაზიანებული ხატის განახლების შესახებ.

დედანი, ზომა: 35X22 სმ; N 3296 36-62/474

მისს ყ-დ უსამღუდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს და კავალეროსანს გაბრიელს

მოძღუართ მოძღუარის, მღუდლის ირაკლის აბაშიძისაგან

## რაპორტი



რწმუნებულისა ჩემდამო პრიხოდის, სოფლის ორღულის წინააღმდეგ გიორგის ეკლესიასა ზედა მიწერილის ღონის მიხაილ მთავარ ანგელოზის ეკლესიასა შინა არის ერთი ხატი, რომელსაც წინა პირზე ქონია მხატვრობა. რაიმე შემთხვევით წინა მოადგილისა ჩემისა, უკვე გარდაცვალებულის მღუდლის, იოვანე ჩაბრაძის მღუდლობის დროს დასწვია, რომელსაც მხატვრობა სრულიად აღარ ეტყობა. მხოლოდ არის ოთხკუთხიანი ფიცარი ცეცხლისაგან შელანჯული და გარშემო თანაქით შემოჭედილი. ეს ყოფილა ტაძრის მიხაილ მთავარ ანგელოზის ხატი, რომელზედაც ქონებიან მრევლს ძველიდგან დიდი სასოება. მე, თუმცა ჩემის შესვლისთანავე იმ პრიხოდში მოვიპოვე ძალიან კარგი ხატი მიხაილ მთავარ ანგელოზისა, მშვენიერის ხელობით მოჭედილი, გარნა მრევლნი ისევ იმ ძველს ხატს უფრო სასოებენ ვიდრემდის ახალს და კარგის ხელობით მოჭედილს ხატს, რომლის მიზეზისა გამო ვითხოვ უმორჩილესად თქუენის ყ-დ უსამღუდლოესობისადმი მომეცეს ნება იმ ძველის ხატის განახლებისა.

მოდღვართ მოძღვარი ირაკლი აბაშიძე

1894 წელი, დეკემბრის 10.

ეს ხატი გადააკეთონ, კარგად დახატონ და აკურთხონ წესისამებრ.

/გაბრიელ ეპისკოპოსის ხელით მინაწერი/.

1895 წ. 15 ნოემბერი. მიმართვა ეპისკოპოს ბესარიონ ალავერდელისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი ეკლესიის მშენებლობის შესახებ. დედანი, ზომა: 22X17 სმ; N 3260 36-62/438

ბლალჩინის, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს!

მცხოვრებნი სოფელს ჩიხას, აზნაურნი მაჭავარიანები და გლეხები ცუხიშვილები და ჭილაძეები თხოულობენ, რათა ვქნა ჯეროვანი განკარგულება ახალი ეკლესიის აშენებისა, ანუ ძველი ეკლესიის გადაკეთებისა, ანუ დაკეტისა წირვალოცვისათვის ზედ მიწერილი ეკლესიისა. ამისათვის წინადაგიდებთ თქვენ, მომახ-



სენოთ საქმის გარემოება თანახმად გაბრიელ ეპისკოპოსის მოწერილობისა 1 ივლისაიდან 1893 წ. N 1898 და აგრეთვე რომელ ეკლესიაში, ზედმიწერილში თუ შტატში უფრო სამართლებრივად წირვა ღოცვა იყოს და რომელი მათგანი უფრო შესაფერისად დანიშნულებისათვის.

დროებით მმართველი იმერეთის ეპარქიისა ბესარიონ ეპისკოპოსი ალავერდისა.

15 ნოემბერს, 1895 წ.

1895 წ. 15 დეკემბერი. მიმართვა ს. ჩიხას წმ. სამების ეკლესიის მღვდლისა წინამძღვარ აბ. ჩაჩანიძისადმი ეკლესიის მშენებლობის შესახებ, რომელიც შეჩერებულია. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა 22X17, 5 სმ. N 3258 36-62/436

საბუთში აღნიშნულია: „ჯერ კიდევ 1893 წ. გაბრიელ ეპისკოპოსის ბრძანებით ჩიხას ეკლესიის მშენებლობისთვის შეარჩიეს ადგილი, სახელწოდებით „ვაკე-ტყე“.

1896 წ. მიმართვა საჩხერეს ოლქის მღვდლის აბ. ჩაჩანიძისა ალავერდის ეპისკოპოსისადმი, იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველისადმი. ასლი, რუსულ ენაზე, N 2845 36-62/23

საჩხერედან 8-9 ვერსზე, კვერეთის ხის ძველი ეკლესია დაძველდა. მინდოდა ახლის აშენება, მაგრამ მცხოვრებათ /20-30 კომლი/ სიღარიბის გამო ვერ შეეძელი.

საჩხერელმა აზნაურმა, ილარიონ ოტიას ძე გამყრელიძემ თავის ხარჯით კვერეთში ხის ეკლესია ააშენა, რომელიც თქვენი უწმინდესობის მიერ იქნა ნაკურთხი 1895 წელს. 16 ოქტომბერს. იგი ქვის საძირკველზე დგას და ხის საუკეთესო მასალისგანაა აგებული. ეს ეკლესია შედარებით მშვენიერია და ძალიან კარგი გუმბათი აქვს. იგი ზეთის საღებავით ორ ფერშია შეღებილი. სიგანე – 3 ვერშინი, სიმაღლე 16 აშინი, სიგრძე 10 ვერშინი. მოწყობილია ჩინებული კანკელი და შეძენილია ხატები, სამოსი და სხვადასხვა საეკლესიო ჭურჭელი. ყველაფერი ეს ღირს არანაკლებ სამი ათასი მანეთისა. გარდა ამისა 1894 წ. გამყრელიძემ საჩხერეს ორკლასიან სკოლას

მიმდებარე 100 კვ. საენი მიწის ნაკვეთი აჩუქა, არანაკლებ 200 ათას მან. ღირებულებისა, ითხვისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიას 50 მან. აჩუქა.

ასეთი კარგი საქმეებით იგი მიბაძვის ღირსია და მისივე დააჯილდოვოთ წმინდა ანას მესამე ხარისხის ჯილდოთი.

1896 წ. 7 აგვისტო. მიმართვა ეპისკოპოს ბესარიონისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი, რათა საჩხერლები შეუდგნენ ეკლესიის აშენებას, როგორც ამის შესახებ მათ 1893 წლის 26 მაისს აცნობეს. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:22X17, 5 სმ. N 3257 36-62/435.

1897 წ. 5 სექტემბერი. ხელშეკრულება ეკლესიის შეკეთების შესახებ. დედანი, ზომა:14X21, 5 სმ; N 3246 36-62/424

კანტახტი ზედუბნის ეკლესიის არქიტექტორის ვერცინსკის პლანისამებრ შეკეთებისა, ოსტატ საჩინო ყაველაშვილისაგან, დამტკიცებული ყ-დ სამღვდელო გაბრიელისაგან, მივიღე კომიტეტის ზედამხედველმა, მღვდელმა მოსე ყაველაშვილმა.

1897-ს წელსა, სექტემბრის 5-ს.

1899 წ. 12 იანვარი. იმერეთის ეპისკ. ბესარიონის მიმართვა მღვდელ გ. ტყემალაძისადმი სოფ. დარეის ეკლესიის მშენებლობის ბრძანების შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა:3253 36-62/431.

1899 წ. 26 ივლისი. ეპისკოპოს ბესარიონის ბრძანება სოფ. ირთავაზის ეკლესიის მშენებლობის შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა:22X17, 5 სმ, N 3252 36-62/430

1899 წ. 23 სექტემბერი. მოხსენება სავანის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის, სევასტი ქავთარაძისა იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონისადმი, ეკლესიის შეღესვის შესახებ.

დედანი, ზომა:35X22 სმ; N 2040 17-62/12

მის ყ-დ უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს და კავალ-  
ერს ბესარიონს!

სავანის წ-ის გიორგის ეკლესიის მღვდლის სევასტიანე <sup>სევასტიანე</sup>  
ისაგან

### რაპორტი

თანახმად თქვენის მეუფების სიტყვიერის ბრძანებისა. ჩემზედ, დროსა რევიზიისა წასულს წელში, მე ბევრი ვიმეცადინე რამე-ნაირათ ესაშვალებინა ხალხს ჩემ მრევლთაგანებს და გაეკეთებინა ყოველივე ნაკლუვანება რწმუნებულის ჩემდამო ეკლესიისა. გარნა ჩემმა მეცადინეობამ და თხოვნამ მათზე არ იმოქმედა სიღარიბისა გამო მათისა და ეკლესია რჩება ისევე შეუღლესავი. დღეს, ვინაით-გან ვერასფერ ღონეს გავზდი შემესრულებინა თქვენი ბრძანება, ამისათვის მე განვიძრახე ისევე თქვენი მეუფების შეწუხება და უმორჩილესად გთხოვ, მეუფეო, მიბოძოთ კონდაკი კეთილმნებე-ლობითი ფულის შთასაწერათ, რომელსაც კი შემოწირავს ყოველი ქველმოქმედი კეთილი კაცი და რადგან მე მყავს ძრიელ მარჯვე სტაროსტა, რაჟღენ საღუნიშვილი, თუ თქვენი მეუფებაც არ შეხე-დავს ამას უკანონოდ, ვითხოვ მიენდოს მას კონდაკის ტარება საზოგადოებაში.

*მღვდელი სევასტი ქავთარაძე*

*23 სექტემბერს, 1899 წელსა*

მინაწერი რუსულ ენაზე: „ამ ეკლესიის მრევლი არც თუ ისე ღარიბია და ამას გარდა მამასახლისი საღუნიშვილი ამაზე თანახმა არ არის.

*მღვდელი აბესალომ ტყემალაძე*

*30 სექტემბერი, 1899 წ.*

1900 წ. 13, 15 თებერვალი. წინამძღვრისა და მღვდლის მოხსენებანი, აგრეთვე გლეხების თხოვნა იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონისადმი სოფელ ირთავაზში ახალი ხის ეკლესიის მშენებლობის ნებართვის შესახებ.

მისს ყ-დ უსამღუდელოსობას, იმერეთის ეპისკოპოსს ბესარი-  
ონს ბლალოჩინის, მღვდლის აბესალომ ტყემალაძისაგან



## რაპორტი

დურევის ეკლესიაზედ ზედ მიწერილის სოფლის ირთავაზის მცხოვრებთ გლეხთა რიცხვით 50 კომლს, თქვენის მეუფებისაგან აქვთ გადაწვეტილი და ნება მიცემული 1899 წლის, ივლისის 26 რიცხვით ახალი ეკლესიის აშენებისა, ვინაიდგან ძველი ეკლესია დიდი ხნიდან დამგვრეული აქვთ და წირვალოცვა მასშიდ აღკრძალულია და შეუძლებელიც არის. ახალი ეკლესიის მოთავების ვადა აქვთს ოსტატებს კანტრახტის ძალით მომავალი ღვინობის თვე და რადგან ესრეთი მოკლე ვადა არის, სოფელიც და ოსტატებიც მონდომილი არიან საქმეს ხელი მოკიდონ მუყაითად და დაუჩქარონ, მაგრამ ძველი საეკლესიო ადგილი ძრეელ პატარა არის და არც შეიძლება მასზე ახალი ეკლესიის მოთავსება და სხვა საეკლესიო ადგილი იმ სოფელშიდ არ იშოვება და მერმე ქოც რომ იშოვებოდეს, მცხოვრებლებს არ შეუძლიათ მოპოვება, რადგან ცოტანი არიან და მერმე ღარიბებიც. ამისთვის მთხოვეს მე თქვენის მეუფების წინაშე შუამდგომლობა ნება უბოძოთ ახალ ეკლესია ვენახიან ადგილში ააშენონ, რომელიც ეკუთნის ამ ხსენებულ ეკლესიას... ამასთანავე წარმოვადგენ რაპორტს ადგილობრივი მღვდლისას და თხოვნას მცხოვრებლებისას ამავე საგანზედ შემოტანილს თქვენის მეუფებისაგან განსახილველად.

ბლალოჩინი, მღვდელი აბესალომ ტყემალაძე  
15 თებერვალს, 1900 წ.

მისს მაღალ კურთხევას, ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ  
ტყემალაძეს  
მღვდლის ალექსი ხახიშვილისაგან



## რაპორტი

არა უცნობელ არს თქვენის მაღალკურთხევისაგან რომელ, რწმუნებულის ჩემდამი ზედმიწერილის სოფლის ირტავაზის მთავარანგელოზის ეკლესიის დასადგმელი ადგილი, ხის ახალი ეკლესიის აღშენება მოხერხებულიყო ისევ ძველის ეკლესიის გალავანში, უკეთუ მოხერხდებოდა. გარნა ეს ადგილი, ოსტატებისაგან ცნობის შეკრებისა, არ მოხერხდება მაზედ დადგმა ეკლესიისა, რადგან ზომით არის მცირე, ესე იგი საჟენი არის სიგრძე, ხოლო განით არის ექვსი საჟენი. მაზედ მოთავსება შენობისა მოუხერხებელი არის, რადგან მღებარეობითაც გორაკი ადგილი არის. ამის გამო ეს ადგილი უვარგისად დარჩა. რადგან სხვა საშვალება და მოპოება ადგილისა სამძიმოთ რჩებათ სიმცირისა გამო მრევლისა და მასთან მცხოვრებნიც სიღარიბეშიდ არიან. გარდა ამისა თქვენც ცნობილი გაქვსთ მახლობლად ამავე ეკლესიისა იმექონების საეკლესიო ვენახიანი ადგილი, ზომით ერთი ქცევა, რომლის მოსავლიდგან აქვს ამავე ეკლესიას შემოსავალი, წლობით ოთხი მანეთიდან ათ მანეთამდის. აქვთს სახეშიდ მთელ სოფელს ამ ვენახიან ადგილზედ მიეცესთ ნება ეკლესიის აღშენების სასულიერო მთავრობისაგან, უკეთუ შესაძლო იქნება. ვინაიდგან სხვა ადგილის შოვნა და მოპოვების ღონე მცხოვრებელთაგან ყ-დ უსაშუალოდ სჩანს, უკეთუ მაზედ არ მიეცათ ნება ეკლესიის აღშენებისა, რომელსაც უმორჩილესად მოვახსენებ თქვენს მაღალ კურთხევას.

*მღვდელი ალექსი ხახიშვილი  
თებერვლის 13-ს, 1900 წელსა.*

მისს მაღალ კურთხევას, ბლადოჩინს, მღვდელს აბესალომ  
ტყემალაძეს  
ზედმიწერილს სოფელსა ირტავაზას მცხოვრებთ ეპროტოპოსსა  
გლახთაგან



### თხოვნა

ცნობილი აქვს თქვენს მაღალ კურთხევას რომელ, ჩვენ გვაქვს გარდაწვევტილი იმერეთის ეპისკოპოზის ბესარიონისაგან წასრულს 1899-ს წელსა შინა თანახმად ჩვენი სურვილისა, აღშენდეს ხის ახალი ეკლესია ჩვენსავე სოფელს ირტავაზში, რომლის აღშენებისათვის მასალის მზადებაც გვაქვს და დაწყებული ოსტატებისაგან მუშაობაც ხის მასალისა. გარნა სადაც გვსურდა ადგილობ აღშენება ეკლესიისა, გამოგვადგა უვარგისად, რომ მასზედ აღარ გვიხერხდება აღშენება ახალი ეკლესიისა. მიმდინარებს ოთხი წელიწადი ძველი ეკლესია ჩვენი გაუქმებულია და ვართ მწუხარებაშიდ წირვალოცვას მოკლებული და ეხლა ვითხოვთ თქვენის მაღალკურთხევისაგან იშუამდგომლოთ სადაც ჯერ არს სასულიერო მთავრობასთან, მოგვეცეს ნება აქ დასახლებულს ადგილზედ ახალი ეკლესიის აღშენებისა, მახლობლად ძველი ეკლესიისა, ისევე ამავე ეკლესიის ვენახიანს ადგილშიდ, სადაც შესაძლო არს მოთავსება და მოხერხდება ეკლესიის აღშენება, რომელიც ეს ვენახიანი ადგილი შეადგენს ერთ ქცევას და მდებარეობაც მოსახდენი ადგილიც არის. უკეთუ ნებას მოგვეცემს სასულიერო მთავრობა, მოვახსენოთ ამ გარემობას თქვენს მაღალკურთხევას. უკეთუ დავრჩით და ნება არ მოგვეცა მართებლობისაგან თქვენის შუამდგომლობით ამ ვენახიანს ადგილზედ ეკლესიის აღშენებისა, იმ შემთხვევაშიც ყოველი ღონისძიება და საშუალება ერთად ეკლესიის აღშენება და მეორედ ადგილის მოპოება შეუძლებელი იქნება, ჯერ სიმცირისა გამო მრევლისა და მეორედ სიღარიბისა გამო ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც ამა ეკლესიაზე შემაგალი შევადგენთ მხოლოდ ორმოცდაათი მეკომპურნი გლახნი. გვაქვს იმედი თხოვნა ესე შეწყნარებულ იქმნეს და არ დარჩეს უყურადღებოთ სასულიერო მთავრობისაგან, რადგან

სხვა საშუალება ჩვენ არსად ამ სოფელში აღვნიშნავთ ეკლესიის დასადგმელი ადგილი ვაჩვენებთ.

მთხოვნელი ხელს ვაწერთ /ხელმოწერილია 1900 წლის 13 დღის მიერ/.

რომელ ნამდვილ თხოვნა ესე ხელმოწერილ არს ზემო მოხსენებულთ ირტავაზას მცხოვრებთ გლეხებთაგან, მათის წერის უცოდინარობის გამო, მათის თხოვნით ხელმოწერილ არს გიორგი იაკობაშვილის და გარსია ტყემალაძისაგან. მას შინ ვამოწმებ სახელმწიფო დერბის დასახმით 1900 წელსა, თებერვლის 13 დღესა.

არგვეთის საზ. სტარშინის პომოშნიკი საჩინო ძინძიბაძე.

1900 წ. 28 აპრილი. მოხსენება სოფ. საირხის ნიკოლოზის ეკლესიის მღვდლის, ანთიმოზ მესხისა, ჭიათურის ოლქის წინამძღვარ ლ. დევიძისადმი.

დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:22,5X18 სმ; N 3193 36-62/370

მღვ. ა. მესხი თხოულობს დახმარებას, რათა სოფ. საირხის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას გალავანი გაუკეთდეს, რაც სოფლის ხარჯით უნდა მოხდეს.

1900 წ. 4 მაისი. ჭიათურის საწინამძღვრო ოლქის წინამძღვარ ლ. დევიძისა წინამძღვრის მოადგილე ვლ. აბრამიშვილისადმი. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:22X18 სმ; N 2397 36-62/66

დილის 10 ს-ზე გთხოვთ მობრძანდეთ, ამა წლის 6 მაისს, სოფელ ჭორვილში, ახლად მშენებარე ეკლესიის გალავანთან და გაეცნოთ რა მდგომარეობაშია ამ ეკლესიის მშენებლობა. კომიტეტის მხრივ ხელოსნებს რაიმე დაბრკოლება ხომ არ ხვდებათ და თავად ხელოსნები საქმეს როგორ ეკიდებიან და ამის შესახებ მაცნობეთ. გთხოვთ, აგრეთვე ჩახვიდეთ სოფ. ქორეთში და იქაურ მრევლს შეასმინოთ, რათა ახალი ეკლესია ააშენონ.

ბრძანება ახალი ეკლესიის მშენებლობის შესახებ გადაეცით მედავითნეს საჩინო ელიაშვილს, რომლისგანაც თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ, თუ ამის საჭიროება იქნება.

წინამძღვარი, მღვ. ლ. დევიძე

1897 წ. 16 ოქტომბერი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონისა /  
მღვ. ა. ჩაჩანიძისადმი, სხვიტორის ეკლესიის დახურვის შესახებ. დედანი  
რუსულ ენაზე, ზომა:22X18 სმ; N 2898 36-62/76

მინაწერი /1897 წ. 9 ოქტომბერი. დაიკეტოს ეკლესია მის  
გადახურვამდე, თუ დაკეტილი არ არის.

1900 წ. 9 ივნისი. თხოვნა გლეხ ე. ფხალაძისა მღვდელ ვ. აბრა-  
მიშვილისადმი სოფელ ჭორვილის ეკლესიის შეკეთების შესახებ. დედანი,  
ზომა:35X22 სმ; N 3041 36-62/219

მისს კურთხევას, ბლალოჩინის თანაშემწევს მღვდელს ვლადიმერ  
აბრამიშვილს

მცხოვრების ს. კონდორს, გლეხის ექვთიმე სვიმონის ძის ფხ-  
ალაძისაგან

### თხოვნა

როგორც თქვენი კურთხევა უწყის, მე მაქვს აღებული კონ-  
ტრაქტით გასაკეთებლათ ს. ჭორვილის ეკლესია, მაგრამ მე რად-  
გან აღმორჩეულის კომიტეტებიდან მეძლევა დიდი დაბრკოლება  
სხვადასხვა მასალის მოუტანლობით, ამისათვის ვაცნობებ რა  
თქვენს კურთხევას, უმორჩილესად გთხოვთ ინებოთ ჯეროვანი  
განკარგულება, რათა არ მომეცეს მე დაბრკოლება კომიტეტებიდან  
მასალის მოუტანლობით.

ექვთიმე ფხალაძე  
19 ივნისი, 1900 წ.

1901 წ. 13 აპრილი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიისა  
წინამძღვარ ა. ტყემალაძისადმი, სამშენებლო კომიტეტის წევრის –  
ლომიძის თხოვნის მიხედვით სიძველის გამო ქორეთის შტატიანი ეკლე-  
სიის დახურვისა და ახლის აშენების შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე,  
ზომა:22X17 სმ; N 3038 36-62/216



1901 წ. 27 ნოემბერი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოსის ლეონიდეს კანცელარიის წინამძღვარ ა. ტყემალაძისადმი პერევის ზედმიწერილი ეკლესიის მშენებლობის თაობაზე. ეპისკოპოსის მიერ გაცემული თანხმობის შესახებ. ამავე დროს ეპისკოპოსი დამატებითი საბუთების გადმოგზავნას ითხოვს.

ასლი, მანქანაზე ნაბეჭდი, რუსულ ენაზე. ზომა:22X17 სმ. N 3047 36-62/225

1906 წ. 22 ოქტომბერი. ქვითარი, გაცემული ხელოსნის მიერ ეკლესიის შეკეთებისათვის ფულის მიღების შესახებ. ასლი, ზომა:22X17 სმ; N 4440 18-63/189

### ქვითარი

1906 წ. 22 ოქტომბერს მე, ქვემოთე ამის ხელის მომწერი, ქვისმთლელი ხარლამპი ივანეს ძე მივიღე ძიროვნის ეკლესიის სარემონტო სამუშაოების მეთვალყურე კომიტეტის წევრებისაგან, აღნიშნული ეკლესიის რემონტისათვის, 250 მან., რასაც საკუთარ ხელს ვაწერ.

1908 წ. 2 თებერვალი. მიმართვა წინამძღვარ, მღვ. ვლ. აბრამიშვილისა იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოს ლეონიდესადმი სოფ. დარყის ხის ახალი ეკლესიის კურთხევის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა:22X17,5 სმ; N 5086 8-64/154

მაქვს პატივი უმორჩილესად მოვახსენო თქვენს უწმინდესობას, რომ დარყის მთავარანგელოზის ეკლესიასთან დაამთავრეს ხის ახალი ეკლესიის მშენებლობა. იგი ყოველმხრივ სრულიად მოამზადეს კურთხევისათვის და ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ თქვენს უწმინდესობას მომცეს ნებართვა აღნიშნული ეკლესიის კურთხევისა.

1908 წ. 2 თებერვალი.

1908 წ. 14 მარტი. მოხსენება მღვ. ვლ. აბრამიშვილისა იმერეთის  
ეპისკოპოს გიორგისადმი, სოფ. სპეთის მაცხოვრის ეკლესიის შეკეთების  
შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 22X17,5 სმ; N5089 8-64/157

მის უწმინდესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის!

წინამძღვარ, მღვ. ვლ. აბრამიშვილის

### მოხსენება

ამით უმორჩილესად წარმოვადგენ დასამტკიცებლად თქვენი  
უწმინდესობის წინაშე სპეთის მაცხოვრის ეკლესიის მრევლის მიერ  
შედგენილ განაჩენს, აღნიშნული ეკლესიის იატაკის, კანკელის  
მოწყობის, სამრეკლოს სახურავისა და ხატების შეძენის შესახებ.

14 მარტი, 1908 წ. 10 მაისი, თხოვნა ტრაპეზის გამკეთებელი  
ოსტატებისა იოსებ და ბესარიონ კუბლაშვილებისა იმერეთის ეპისკო-  
პოსისადმი, მათ მიერ ჩატარებული სამუშაოების ანაზღაურების შესახებ.  
დედანი, ზომა: 35X22 სმ; N 3226 36-52/504.

მისს ყ-დ უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გიორ-  
გის

იკონოსტასის მაკეთებელ ოსტატების იოსებ გაბრიელის ძის  
და ბესარიონ მერაბის ძის კუბლაშვილებისაგან

### თხოვნა

1907 წელშიდ ჩვენ მოგვცეს შორაპნის მაზრის სოფლის  
თაბაგრების მრევლის მიერ აღრჩეულმა კომიტეტების წევრებმა,  
გასაკეთებლათ იკონოსტასი და ხატები გასაკეთებლათ, რომელიც  
შევასრულეთ უმეტნაკლებოთ. ხატები გავაკეთებთ მხატვარს და  
ჩავაბარეთ პირობისამებრ, მაგრამ ისინი პირობას არ გვისრულე-  
ბენ და ფულს სრულათ არ გვაძლევენ. გვაკლია მოსაცემი ორას  
მანეთამდის. ახალი ეკკლესია ყოვლიფრათ მზად გახლავს ჩვენის

ხელოვნებით, მაგრამ მათ აქვს ძველი ეკლესია, წირვალთქვაც განუწყვეტლივ სრულდება შიგ. ახლის ეკლესიის კურთხევეზე და ჩვენი ნამუშევარის ფულების მოცემაზე არას ზრუნავენ და არც ფიქრობენ. ჩვენ, მეუფეთყოფილი ეპისკოპოსების: გაბრიელის, ბესარიონის და ლეონიდეს დროს მრავალი იკონოსტასი გაგვიკეთებია პატიოსნათ და სინდისიერათ შეგვისრულებია და არც საჩივარი არა ვისთან არ შეგვძთხვევია და არც ეხლა გვინდა სუდში საჩივარი და შტრაფების გარდახთევენება. მოვახსენებთ ჩვენ საცოდავები, მუშაკი ოსტატები თქვენს მეუფებას ზემორე აღწერილს გარემობას და გთხოვთ მოგვიწეროთ მაზრისს უფროსს გამოეცხადოსთ მათ დაგვაკმაყოფილონ ჩვენი ხვედრის ფულით, მასთან თუ ექნებათ მათ ნება ეკლესიის კურთხევის. თუმც შესაძლებელი იყოს ქუთაისის კასაშიდ აქვს ხსენებულს ეკლესიას რამოდენიმე ფული და ის ფული მოგვისაჯოს ჩვენ და ნუ ვიქმნებით აღნიშნულის კომიტეტის წევრებისაგან უკანონოთ დატანჯული და გვიხსნათ საწყალი, გაჭირვებული ოსტატები და გვიხსნათ უბრალო და უსინდისო საჩივრებისაგან, რაზედაც დაჩვეული არ გახლავართ მოწყალეო მეუფეო.

იოსებ კუბლაშვილი, ბესარიონ კუბლაშვილი  
10 მაისს 1908 წ.

1908 წ. 13 მაისი. მოხსენება წინამძღვარ, მღვდელ ელ. აბრამიშვილისა იმერეთის ეპისკოპოს გიორგისადმი სოფ. სპეთის მაცხოვრის ეკლესიის შესაკეთებელი სამუშაოების შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 22 X 17,5 სმ; N 5090 8-64/158

მის უწმინდესობას იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის!  
წინამძღვარი, მღვდ. ვლ. აბრამიშვილი



## მოხსენება

მაქვს პატივი თქვენს უწმინდესობას წარმოუდგინო შეთანხმების პირობები, რომელიც დაიდო ერთის მხრივ ამირან ჩხოტუნიძეს, საჩინო კაპანაძესა და მეორეს მხრივ ხელოსან მ. ფიცხალაიას შორის სპეთის მაცხოვრის ეკლესიის კანკელის მოსაწყობად და სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად.

13 მაისი 1908 წ.

1909 წ. თხოვნა სოფელ სარქველუთბნის მაცხოვრებლებისა წინამძღვარ ვ. აბრამიშვილისადმი ეკლესიის სახურავის შეღებვის შესახებ.  
დღიანი, ზომა: 35 X 22 სმ; N 3158 36-62/336

მის მაღალ კურთხევას ბლალოჩინს ვლადიმერ აბრამიშვილს, მცხოვრები სოფელსა სარქველუთბანს სტაროსტის სვიმონ როსტომის ძის, ალფეზა ლევანის ძის და ივანე ბეჟანის ძის კენჭოშვილებისაგან და ზაქარია გრიგოლის ძის ჯიქიძისაგან

ვინაიდან მცირე კომლმა აღვაშენეთ ხსენებულ სოფელში ეკლესია, რომელიც თქვენ თვითონ გინახავსთ, რომლის აღშენებისათვის ხალხი მცირედი კომლით ძლიერ შევიწროვებულია. ეხლა ეკლესიამ ისაჭიროვა სახურავის შეღებვა, რომელიც უკვე შეიღება, რომლის შეღებვის ფასათ ჩვენ, მრევლმა უნდა გადავიხადოთ ასათი მანეთი, რომლის გადახდა მრევლს სრულიად არ შეუძლია, ამისათვის უმორჩილესად ვთხოვთ, ზემოთ მოხსენებული პირნი, რათა ინებოთ დახმარება ორმოცი მანეთისა, რომელიც აქვს ჩვენს ეკლესიას და ჩვენ, ქვემოთ ამისა ხელის მომწერნი ვალდებულნი ვხდებით თქვენს წინაშე და აგრეთვე ხსენებულის ეკლესიის კრებულის წინაშე პირველ მოთხოვნის დროს მიუზღვოთ ჩვენსავე ეკლესიას ჩვენსგან ნასესხები ორმოცი მანეთი ფული, რომლის

დახმარებისათვის გვაქვს იმედი უარს არ ქვეყნოთ, ვინაიდან ჩვენ, ოთხნი პირნი ვხდებით ვალდებულნი უზღოთ ისევე ეკლესიას ორმოცი მანეთი ფული ერთი მეორის თავდებობით, რასა შინა ჩვენს საკუთარ ხელს ვაწერთ სტაროსტა სვიმონ როსტომის ძე კენჭოშვილი. უწერილობისა გამო მისი სამის მაგიერ ხელს ვაწერ ივლიანე კენჭოშვილი...

მას ვამოწმებ ჩემგანაც, ხელს ვაწერ რგანის საზოგადოების მამასახლისის პომოშნიკი, 8 იანვარს, 1909 წელსა, ივანე კენჭოშვილი.

1912 წ. 13 აპრილი. პირობის ხელწერილი ეკლესიის შეკეთების შესახებ.

ასლი, ზომა: 35 X 22 სმ; N 3796 11-63/199

1912 წელსა, 13 აპრილს დღესა, ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერნი არგვეთის საზოგადოების, სოფელს ეხვევში მცხოვრები გლეხები 1/ ივანე გივილას ძე გიორგაძე, 2/ გიორგი ხახოს ძე ბოჭოიძე, 3/ იოსებ უფლისას ძე დავაძე, 4/ საკოზიაში მცხოვრები სოლიკო გარსევანის ძე გიორგაძე, რომელნიც აგვირჩიეს ეს ოთხი კაცი ჩვენმა სოფელმა კომიტეტებათ გაძლევთ ამა ხელწერილს და პირობას შენ, გორისაში მცხოვრებს, გიორგი ბეროს ძე დონაძეს მას ზედა, რომელიც უნდა გაგვიკეთო ჩვენ ეს ეკლესია დოუმგრევლათ და ჩვენ უნდა მოგცეთ თქვენი საოსტატო ასათი თუმანი, ეს ასათი თუმანი უნდა გაიყოს ოთხ მტრედათ... ეს ფულები უნდა მოგცეთ პირველი მტრედი ოცდაშვიდი თუმანი და ხუთი მანათი უნდა მოგცეთ მაისის პირველს. მეორე მტრედი, როდესაც მაღლიდან დეიხურება, კარნიზი შემოეველება, გვერდები შელამაზდება, მესამე მტრედი – როცა შიგნით პოლს გარდა, გაკეთდება გარეთ. მეოთხე მტრედი – როდესაც გაკეთებულს ჩაგაბარებთ. მხოლოდ ჩვენ, კომიტეტი გაძლევთ ამ პირობას შენ, გიორგი ბეროს ძე დონაძეს. მას ზედა რომელიც ამ ჩვენსგან მოცემულ პირობაში არის დაწერილი და განცხადებული. თუ ეს პირობა ვერ შეგისრულეთ შენ, დონაძეს,

გაგაწვალთ ან საჩიველელათ გაგიხადოთ, მაშინ ვალდებული ვიქნეთ ჩვენ, კომიტეტები, რომ ორმოცდაათი თუმანი შტრაფათ გედგინადლოთ შენ, დონადის სასარგებლოთ და ეს პირობაც თავის მხარეში დარჩეს, რასა შინა ჩვენ საკუთარს ხელს ვაწერთ.

1913 წ. 2 მარტი. პირობის ხელწერილი, დადებული ს. არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის შესაკეთებლად მრევლის მიერ არჩეულ კომიტეტსა და ეკლესიის შემკეთებელ ხელოსნებს შორის.

შავად ნაწერი. რუსულ ენაზე. ზომა: 35,5 X 22 სმ; N 3203 36-62/381.

1913 წ. 17 მაისი. მიმართვა იმერეთის საეპარქიო კანცელარიისა ვლ. აბრამიშვილისადმი, რომ 8 მაისს ეპისკოპოსმა გიორგიმ ახლად აგებული ჩინას ეკლესია აკურთხა.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 22 X 17,5 სმ; N 2944 36-62/122.

უთარილო. განცხადება სოფ. ჩინას სამების ეკლესიის სამშენებლო კომიტეტის წევრებისა ეპ. გიორგისადმი, ეკლესიის მშენებლობისათვის მღვ. აბ. იაკობაშვილის მიერ დახარჯული თანხის რაოდენობის შესახებ.

ასლი, რუსულ ენაზე. ზომა: 35,5 X 22 სმ; N 2941 36-62/119.

1913 წ. ცირკულარი-მიმართვა იმერეთის საეპარქიო კანცელარიისა წინამძღვარ ვლ. აბრამიშვილისადმი ეკლესიებისა და სამრევლო სკოლების მშენებლობის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 18 X 22 სმ; N 2886 36-62/18.

## წინამძღვარ აბრამიშვილს



იმერეთის საეპარქიო კანცელარიას აქვს პატივი შევუხვენი  
ნოთ ცნობისათვის და ვისაც საჭიროა გამოუცხადოთ იმის შესახებ, რომ ქუთაისის გუბერნატორის 1911 წლის 13 აპრილის პოლიციას დაექვემდებარა ეკლესიებისა და სამრევლო სკოლების მშენებლობები, მათზე მეთვალყურეობა. ქართულ ენაზე შედგენილი ყველა დადგენილება, განაჩენი რუსულად უნდა ითარგმნოს და ისე უნდა წარედგინოს საეპარქიო ხელმძღვანელობას, რის შემდეგაც დასამტკიცებლად გუბერნატორთან გაიგზავნება...

1914 წ. 28 თებერვალი. მიმართვა ეპისკოპოს გიორგისა წინამძღვარ, მღვდელ ვლ. აბრამიშვილისადმი ეკლესიის აღსადგენი შემოწირულების შეკრების შესახებ.

ასლი, რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი. ზომა: 18 X 22 სმ; N 2877 36-62/55.

ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი, ქართული არქიტექტურის უძველესი ნიმუში – სამების მონასტერი /სოფელ ხაშმთან ახლოს/ დღეს სავალალო მდგომარეობაშია. იწყებენ მის აღდგენას, რისთვისაც დიდი თანხებია საჭირო. თითოეული ქართველის ვალია ამ წმინდა საქმეს შემოწირულებებით დაეხმაროს.

გთხოვთ თქვენდამი რწმუნებულ ოლქში შეძლოთ წარმატებით შეკრიბოთ შემოწირულებანი აღნიშნული მონასტრისათვის და გადაგზავნოთ არქიმანდრიტთან თბილისში და ამის შესახებ მომახსენოთ.

*იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი.*



დღეს, ამ საათიდან ამ ტაძარში მღვდელმთავრის მიერ ანანაშ-  
წირველებით შესრულდება წირვა უუდიდესი და უპირველესი შვიდ  
საიდუმლოებაში — საიდუმლო. წირვა დადგენილი სოფლად თვით  
მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესაგან და ჩვენ ამ ტაძარში პირვე-  
ლად კეზიარებით პურისა და ღვინის სახით უხრწნელსა ხორცსა  
და სისხლსა მაცხოვარისა ჩვენისასა.

გამოვითხოვ რა ნების მოცემას და კურთხევას მღვდელმთავრი-  
სას, მოვილოცავ თქვენ, პატიოსანნო მსმენელნო ორნაირ დღესას-  
წაულს: ყ-დ წმიდა მღვთის მშობლის ტაძრათ მიყვანების დღეს და  
კურთხევა-განათლებას ამა ეკკლესიისა.

პირველათ შევიტყოთ როგორ იქმნა ღვთის მშობლის ტაძრათ  
მიყვანება და მეორეთ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა საკუთარ თქვენ  
დღესასწაულზე ამ ეკკლესიის კურთხევაზე.

როდესაც ყ-დ წმიდა ღვთის მშობელი სამი წლის შესრულდა,  
მშობლებმან მისმან იოაკკიმე და ანანაშ, როგორც აღთქმა ქონდათ  
მიცემული ღვთისადმი, ის მიიყვანეს ტაძარში და დააყენეს კიბის  
პირველ საფეხურზე. თან მისდევდნენ მას სხვა ყმაწვილი ქალებიც  
ანთებული ლამპრებით. კიბეს ზევით იდგა მღვდელმთავარი, რომელ-  
იც ტაძრის კარებში მიიღებდა და ლოცვიდა იმათ, ვისაც ღმერთს  
შესწირავდნენ. თვით ტაძარში კი, გარდა სამღვდლოთა, შესვლა  
არავის შეეძლო, მაგრამ მარიამს კი შეემთხვა გასაკვირვალი გა-  
რემოება. იმან თითონ ააბიჯა კიბეზე რამოდენიმე საფეხური და  
მივიდა პირდაპირ მღვდელმთავართან. მაშინ მღვდელმთავარმა ღვთის  
შეგონებით შეიყვანა ის წმიდა წმიდათაში, იმ ტაძრის უმთავრეს  
ნაწილში, სადაც თვით იმას ქონდა ნება შესვლისა წელიწადში  
მხოლოდ ერთხელ. მარიამი დარჩა იქ, ტაძრის ახლო, რაოდენიმე  
ხანი აღზრდისა და სწავლისათვის. იქ მადლმა ღვთისამა დაიცვა  
გული მარიამისა ყოვლის ბიწიერებისაგან. ამ შემთხვევას ვდღესას-  
წაულობთ ჩვენ ყოველნი.

საკუთარი, საჩხერეში მცხოვრებთა მართლმადიდებელთა



ქრისტიანებთა დღესასწაული კი არის კურთხევა ამა ეკკლესიისა. ჭეშმარიტად ამ დიდებული ეკკლესიის კურთხევა თქვენთვის მოსალოცავია. რაოდენიმე ათი წელიწადი ჩვენ ვხედავდით ამ ადგილზე ერთი საყენი სიმაღლეზე აშენებულ ეკკლესიის ქვით-კირს, რომლის მიმატებას ვითომც და აღარავინ ფიქრობდა. ეს არ აიხსნებოდა არც თქვენი დაუდევრობით და არც შეუძლებლობით. უმთავრესი ეკკლესიის შენების შეჩერების მიზეზი იყო ის, რომ საჩხერეში ღირსად პატივცემულ თავადებს გქონდათ და დღესაც გაქვთ საკუთარი სასახლის ეკკლესიები, მასთან ამ ეკკლესიების კრებულთაც თქვენის ხარჯით ინახავდით. აქ მცხოვრებთ ბ. წერეთლების მონასტრებიც კი თქვენის ხარჯით გაქვთ შენახული. მამათა მონასტერში თქვენ სასაფლაოცა გაქვთ. თავადებს გარდა, მკვიდნი მცხოვრებნი აქაურნი, მართლმადიდებელნი ქრისტიანები ძალიან ცოტანი ბრძანდებით, ხოლო შემოსულნი სხვადასხვა სოფლებიდან დღესაც იმ სოფლების მრევლათ ირიცხებით, საიდანაც წამოსულხართ და აქაურ ეკკლესიის შენებაში მონაწილეობის მიღება თქვენთვის დღემდის ძალიან დიდ საჭიროებათ ჩასათვლელი არ იყო. ბოლოს ეს მიზეზები ცოტაოდენმა ამ ეკკლესიის შემომავალმა მრევლმა დასძლიეთ. გადაწყდა ესრეთი ძვირფასი გეგმის ეკკლესიის აღშენება. მიიღეს მხურვალე მონაწილეობა, ხელუხვი გამოიღეთ შეწირულება და აღშენდა ეკკლესია მისთანა, რომელიც, მგონი არ ვსცდები, ქუთაისის საკათედრო ეკკლესიის შემდეგ პირველი უნდა იყოს ეპარქიაში თავისის ძვირფასობით და რომლის თანასწორი არის ესრეთწოდებული არქიელის გორაზე — ქუთაისში წმიდა გიორგის ეკკლესია. როგორც ეს ხსენებული ეკკლესია შეადგენს მშვენიერებას მთელი ქუთაისის ქალაქისას, უმეტეს ეს ჩვენი ეკკლესია შეადგენს მშვენიერებას მთელი დაბისას. აქამდის ყოველნაირათ ბუნებით დაჯილდოებულ საჩხერეს და მის მიდამოებს ამშვენებდნენ მაღლიდან გადმომდგარი ციხე და ძვირფასი თავადების სასახლეები. დღეს ამათ ერთი ასად სიმშვენიერეს და შეხედულებას უმატებს ეს ძვირფასი ეკკლესია — სახლი ღვთისა. ამისი შემხედვარე ხარობს მღვდელმთავარი, მაკურთხეველი ამა ტაძრისა. იხაროს ფილიპე მგალობლიშვილმა, რომელმაც რამდენიმე წლის განმავლობაში არ

დაზოგა თავისი ძალა, შეძლება და ერთგულება ტაძრის ამ რიგზე მოყვანისათვის. იხარეთ თავადნო, რომელთაც ათასობით დასდევით ამ ეკკლესიის აშენებაზე. იხარეთ აქაურნო მოვაჭრენო და აზნაურნო, რომლებმაც გულმხურვალე მონაწილეობა და ხარჯები მიიღეთ ამავე საქმისათვის.

იხარონ ყველა ახლომახლო სოფლებში მცხოვრებმან, რომელთაც მიუხედავთ არჩეული დროისა, როგორი დროც შეხვდა თავსავე ეკკლესიის შენებას, თავისი შრომით ამ კეთილ საქმეს შემწეობა აღმოუჩინეს.

„გარნა ის ყოველთვის უნდა კი გვახსოვდეს, რომელ წმიდა ეკკლესია მხოლოდ მათ არგებს, განანათლებს და აცხოვნებს, რომელნი ისმენენ ხმასა ეკკლესიისასა, ხშირათ დადიან ეკკლესიაში, გულისხმიერათ ისმენენ წირვა-ლოცვასა და სწავლასა და მერმე თავის სახლში და სოფელში კარგათ იქცევიან“. ჩვენც ესრეთ მოვიქცეთ თუ გვსურს რომ ეკკლესია იყოს ჩვენთვის სასარგებლო. რადგანაც ესოდენი შრომა მივიღეთ და აღვაშენეთ ახალი ეკკლესია, მასაც უნდა ვეცადნეთ, რომ ჩვენი სული და გული განახლდეს და აღშენდეს ღვთისთვის. ესრედ რომელ, ვითარცა ამ ეკკლესიაში იქმნება ამიერიდგან მადლი და სიწმიდე, ეგრედვე ჩვენს გულშიაც განახლდეს და განმტკიცდეს იგივე მადლი და სიწმიდე.

ამინ!

## სამრევლო სკოლები



1881 წ. 15 სექტემბერი. მიმართვა დეკანოზ ი. აბაშიძისა მღვდლების ს. აბრამიშვილისა და მ. ხარშილაძისადმი სასოფლო სკოლის გახსნის შესახებ. დედანი. ზომა: 18 X 11 სმ; N 3604 11-63/7.

მღვდელს სპირიდონ აბრამიშვილს და მაქსიმე ხარშილაძეს!

რამოდენიმე გზით გაქვთ გამოცხადებული უმაღლესი მმართველობის უქაზი, რომ ყოველი პრიხოდის მღუდელი არის ვალდებული გახსნას სასოფლო სკოლა თავისის საკუთარის საშუალებით და მით აღმოუჩინოს ნაყოფი თავის მრევლს და რადგან თქვენ თვითონ არ გაქვთ საშუალება რომ ასწავლოთ, ამისათვის ეს ილარიონ წიქვაძე გამოცხადდა ყ-დ სამღვდელოს ბრძანებით, რომ სადმე სკოლა გახსნას. ამან განმიცხადა, რომ გახსნის თქვენს ეკლესიაზედ სკოლას, თუ თქვენს შემწეობას აღმოუჩენთ და რასაკვირველია, ვალდებულიცა ხართ ამ შემთხვევაშიდ აღმოუჩინოთ შემწეობა. ეს მად უცხო კაცი არის. ეხლა ამას გწერთ მისთვის, რომ დღეს ნაშუადღევს გამოცხადდეთ ჩემთან სამ საათზედ მაინც და ყოველივე ამ საგნის გარემოება გამომიცხადოთ რა ზომის მიღება იქნება, თქვენის მხარით, შესაძლო ამ საგნისამებრ...

1881 წ. სექტემბრის 15-ს დღესა  
ბლალოჩინი, დეკანოზი ი. აბაშიძე

1885 წ. 12 ნოემბერი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა დეკანოზ ი. აბაშიძისადმი, სოფელ არგვეთში სკოლის გახსნისა და მღვდლად გ. წიქვაძის კურთხევის შესახებ.

დედანი. ზომა: 22 X 18 სმ; N 3338 36-62/516

ბლალოჩინს, დეკანოზს იოვანე აბაშიძეს

რაპორტისა გამო თქვენისა, 3 ამა ნოემბრიდგან, N III, შესახებ მისა, რომ ღვდლის გიორგი წიქვაძის შვილმა, ილლარიონ წიქვაძემ

გახსნა შკოლა სოფელს არგვეთში, გაცნობებ თქვენ, რომ თუ ამ სოფელში გაიხსნა სასოფლო შკოლა, მაშინ წიქვაძის სკოლა აღარ იქნება შესაძლო და არც საჭირო, ამასთან წინდაგეგმ თქვენ მომახსენოთ: მღვდელი გიორგი წიქვაძე მორჩა თუ კიდევ ავად არის და როდის იქნება მზათ ის, ილლარიონ წიქვაძე ღვლლად ხელდასასხმელათ.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა  
12 ნოემბრის, 1885 წელსა

უთარილო. ცნობა სკოლების შესახებ, შედგენილი წინამძღვარ ვლ. აბრამიშვილის მიერ. შავად ნაწერი, რუსულ ენაზე.  
ზომა: 35 X 22 სმ; N 3186 36-62/364.

1888 წ. სექტემბერში მერჯევის სამრევლო სკოლა გაიხსნა სოფლის მასწავლებლის, მღვდელ ილრიონ წიქვაძის მიერ, გაბრიელ ეპისკოპოსის ნებართვით.

1884 წ. 29 ოქტომბერი. სია ვანის სამრევლო სკოლის მოსწავლეებისა. ასლი რუსულ ენაზე. ზომა: 35 X 22 სმ; N 3802 11-63/205

სიაში 27 მოსწავლეა 7-დან — 17 წლამდე, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა. მათგან ორი აზნაურია, 5 — სასულიერო პირის ოჯახიდან, დანარჩენი — 15 გლეხთა ოჯახიდანაა.

1890 წ. მასწავლებლის რვეული. სოფ. მერჯევის იოანე ნათლისმცემლის საეკლესიო სამრევლო სკოლა. რუსული ენის სასწავლო პროგრამა.

სკოლის ამ მოწაფიდან ორი გოგონაა.

ღედანი, რვეული, ხელნაწერი რუსულ ენაზე, ზომა: 22 X 17 სმ; N 2911 36-62/89.

1892 წ. 14 თებერვალი. მიმართვა იმერეთის სასკოლო საბჭოს მიერ საეკლესიო სამრევლო სკოლების მეთვალყურე ვლ. აბრამიშვილისადმი.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 22 X 17 სმ; N 3189 36-62/367.

სასკოლო საბჭო ვლ. აბრამიშვილისაგან თხოულობს; რათა მისადმი დაქვემდებარებული საეკლესიო-სამრევლო სკოლაში მასწავლებლებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ბავშვების მიერ რუსული ენის შესწავლას და მათემატიკის ტერმინების რუსულ ენაზე დაუფლებას.

1892 წ. 28 აპრილი. ოქმი სხდომისა საჩხერის ორკლასიან სამრევლო სკოლაში გალობის სწავლებისათვის თანხის შეგროვების შესახებ.

დედანი. ზომა: 35 X 21,5 სმ; N 3375 36-62/523.

1892 წელსა, აპრილის 28 დღესა

ჩვენ, საჩხერის ოკრულის საბლალოჩინოს სამღვდელო პირებმა და პრიჩეტნიკებმა თან დასწრებით ადგილობითი ბალოჩინის თანამდებობის აღმასრულებლის მღ. აბესალომ ჩაჩანიძის, მოვისმინეთ წინადადება საჩხერის ორკლასიანი პრიხოდის შკოლის მზრუნველისა უ. დიმიტრი ივანიჩის აბაშიძისა: „ვინაიდან ჩვენ ოკრულში გალობის საქმე ცუდათ არის დაყენებული, ამისათვის ძრიელ სასარგებლო იქნებოდა, რომ საჩხერის ორკლასიან პრიხოდის შკოლისათვის იყოს დაქირავებული ქართული გალობის, გურიული კილოსი მცოდნე პირი, რომელმაც უნდა ასწავლოს ბოვშევებს შკოლაში ქართული გალობა; ამასთანავე პრიჩეტნიკებიც ვალდებული იყონ, რათა თავისუფალ დროს შეისწავლონ ქართული გალობა. ამა ჩემის აზრის განსახორციელებლათ ვსწირავ ერთ დროს სამას მანეთს ფულს“.

დიმიტრი აბაშიძე.

მოვისმინეთ რა ეს წინადადება ჩვენ, საჩხერის ოკრულის საბლალოჩინო სამღვდელოებმა ერთდროებით შეძლებისდაგვარათ ვსწირავთ:

1. ბლალოჩინის თანამდებობის აღმსრულებელმა მღ. აბესალომ ჩასანიძემ შევსწირე ერთდროებით თუთხმეტი მანეთი, 15 მანეთი

2. მლ. აბ. ტყემალაძე თუთხმეტი მანეთი /15/


შენიშვნა: 48 სასულიერო პირის სია, თანხის მითითებით, გრ-  
ძელდება, მათ მიერ შემოწირული თანხა 200 მანეთამდეა.



1873 წ. 11 ოქტომბერი. პირობის ხელწერილი საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის შენობის შეკეთების შესახებ.

დედანი. ზომა: 35 X 21 სმ; N 3382 36-62/560

1873 წელსა, ოკტომბრის 11-სა დღესა, ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერნი, დაბა საჩხერეს მცხოვრებნი, მეორე გილდიის ვაჭარი ელიზბარ გრიგოლის ძე ქებაძე ერთის მხრით და მეორეს მხრივ მღვდელი ანტონ ნადირაძე, ანთიმოზ მესხი და პრიჩეტნიკები სპირიდონ კუსიანი და სპირიდონ ბერძენიშვილი ვსდებთ ურთიერთ შორის პირობას შემდეგში: ელიზბარ ქებაძემ ავიღე შესაკეთებლათ თქვენ, მღვდლების ნადირაძის, მესხის და პრიჩეტნიკების კუსიანის და ბერძენიშვილისაგან შესაკეთებლად საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის შენობა. შეკეთება იქნება მასში, რომ მე, ელიზბარ ქებაძემ მრთელი შენობა უნდა დავხურო პირველი ხარისხის ჟესტიით, როგორც რიგია. ჟესტის დახურვის დროს ფურცლები უნდა იქნეს ერთმანეთზედ გადაკეცილი რიგზედ, რომ შენობაში წვიმა არ ჩაუშვას. გადანაკეც პირებშიდ ზამასკა არ ექნეს წასმული. დახურული უნდა იქნეს მაგრათ, რომ ძლიერმა ქარმა ვერ გადახადოს. გარშემო ამ სახურავს უნდა ექნეს გადაყვანილი ჟემტისაგან ღარი და ოთხივე კუთხეზედ ამ ღარებიდგან წყლის სადენათ უნდა იქნეს გაკეთებული ჟემტის ტრუბები. ეს ტრუბები დაკავებული იქნება კედელზედ რკინებით ისე მაგრათ, რომ მიზეზი არაფერი ექნეს. სახურავი უნდუ შევლებო პირველი ხარისხის ზეთით მწვანეთ. ესრეთივე სადებავით იქნება შეღებული ღარები და ტრუბები. ამ ჟემტის დახურვისათვის, რაც საჭირო იქნება, ლარტყები შიგადაშიგ ჩაუმატო. სახურავი იმ სიგანის ზომაზედ გაუკეთო შენობას, რა სიმაღლეზედაც ახლა ამ შენობას ომუხები და გადასაკიდები აქვს მოწყობილი. გარდა ამისა სამს დიდ ოთახებშიდ, რომელიც



არის აღმოსავლეთით და სამხრეთით, უნდა გამოვცვალო ყველა ქილიშები და გაუკეთო ახალი. ამ ქილიშების ზომა იქნება: სისქე – სამ ვერშოკნახევარი სიფართე – ხუთი ვერშოკი. ამ ოთახებშივე უნდა ჩამოღებულ იქნეს ლამფები და შემდეგ ქილიშების გაკეთებისა, მიეკრას არჩეული მთელი ლამფა კედროთ, ერთმანეთზედ დაშორებული არ იქნეს. რაც დააკლდება ამ ლამფას, ისიც მე უნდა მიუმატო და ავაკრა შავი პოლი, რაც ახლა აქვს უხეიროთ დაყრილი, კარგათ მჭიდროთ უნდა მიუშვა და რაც აკლია აგეთი პოლი მე უნდა მიუმატო ჩემის საშუალებით. ყველა ოთახებშიდ კარნიზები უნდა შამოვავლო. რიგიანი ტიხარი, რომელიც აქვს ოთახებს აღმოსავლეთ, უნდა ავშალო და გავაკეთო მის სწორა, რომელიც არის ტიხარი სხვა პატარა ოთახები შეტკეჩ... გარშემო უნდა ავაკრა ლამფა გადასაკიდების თავების დასაფარავად და ეს ლამფა უნდა შეიღებოს თეთრათ. ეგრეთვე აკოშკები, რომელიც არ იკეტება, გავაკეთო აღვილათ მისახურავათ. ბალკონი უნდა ავსწიო და პატარა ხის სვეტების მაგიერათ გაუკეთო დიდი ქვები. სახურავი უნდა იქნეს მაგრათ გაკეთებული. ზევით, რაც საჭირო იქნება სიმაგრისათვის, დაეწყოს თავხები, რომ სახურავიდან შენობას არ ექნეს რაიმე მიზეზი. შეკეთების დროს შენობას თუ რაიმე მიზეზი მიეცეს, მე შევაკეთო. ვადა ზემოხსენებულის შენობის შეკეთებისა იქნება ამ რიცხვიდამ ოცდაოთხს ამა წლის დეკემბრის თვემდის. ჩვენ ანტონ ნადირაძემ, ანთიმოზ მესხმა, პრიჩუტნიკებმა სპირიდონ კუსიანმა, სპირიდონ ბერძენიშვილმა აღნიშნულის სამუშევრისათვის უნდა მოგცეთ ის კრამიტი, რაც ამ შენობას ახურავს და ამას გარდა ორმოცდარვა თუმანი ფული, რომლის ანგარიშში ოც თუმანს ამთავით გაძლევთ. თოთხმეტი თუმანი უნდა მოგცეთ თუთხმეტს ნოემბრამდის და დანარჩენი თოთხმეტი თუმანი ყოველივე სამუშევრის ვადის გათავების დროს. მე, ელიზბარ ქებაძემ ჩემ მიერ აღებული სამუშევარი გავაკეთო საფუძვლიანად და შემოწმების დროს თუ რაიმე მიზეზი დასდევს, მევე შევასწორო. ეს პირობა ორივე მხარემ უნდა შევასრულოთ უცვალებლათ და თუ რომელიმე მხარემ უნდა შევასრულოთ უცვალებლათ და თუ რომელიმე მხარემ უნდა უცვალალოს, ამ პირობაში ის იხდის მართლის მხრით სასარგებლოთ სამას მანეთს.

მას შინა ხელს ვაწერთ მღვდელი ანტონ ნადირაძე, მღვდელი ანთიმოზ მესხი, პრინციპი სპირიდონ ბერძენიშვილი, პრინციპი სპირიდონ კუსიანი, მეორე გილდიის ვაჭარი ელიზბარ გრუგლიძე ქებაძე.

/დამოწმებულია საჩხერეს მომრიგებელი უბნის უფროსის ხელმოწერითა და ბეჭდით/.

1892 წ. 28 აპრილი. ოქმი სხდომისა საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის შეკეთების შესახებ. დღიანი. ზომა: 22 X 17,5 სმ; N 3343 36-62/521

### პროტოკოლი

1892 წელს, აპრილის 28 დღესა საჩხერის საბლალოჩინო სამღვდლოების თანდასწრებით დრ. ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებლის მღ. აბ. ჩაჩანიძის, საჩხერის ორკლასიან პრიზოდის სკოლის მზრუნველის უ. დიმიტრი ივანიჩის აბაშიძისა და ამავე სკოლის მმართველის მღ. აბ. ტყემალაძის, გვექნდათ სხდომა ხსენებულ სკოლის შენობაში, შესახებ სკოლის შენობისა და ურთიერთმანეთში მოლაპარაკებით შემდეგი დავადგინეთ: ვსთხოვთ ადგილობით დრ. ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებელს მღ. აბ. ჩაჩანიძეს, რათა მან 30 ამა აპრილს, დღეთ ხუთშაბათს, დილის ათ საათზე გამოიწვიოს მოკანტრახტები საჩხერის ორკლასიანი სკოლის აშენებისა და მათ შეამოწმონ კანტრახტისამებრ სკოლის შენობა და რავარ მდგომარეობაში — ვარგის თუ უვარგის ნახონ, ისე გვაჩვენონ ჩვენ. ამასთანავე გამოიწვიოს შენობის შემამოწმებელის კომისიის პირებიც, სახელდობრ ბლალოჩინი ი. წერეთელი, მღ. ირაკლი აბაშიძე, მღ. ილარიონ წიქვაძე და ვინაიდგან დეკანოზი იოვანე აბაშიძე ამ ჟამათ ავთმყოფია, რომელიც თავმჯდომარე იყო კომისიის, მის მაგიერობა მიენდოს მღ. ლავრენტი დევიძეს.

/ხელს 19 კაცი აწერს/.



1892 წ. 30 აპრილი. აქტი საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის შენობის შემოწმების შესახებ. დედანი. ზომა:35X22 სმ; N 3344 36-62/522

1892 წელსა, აპრილის 30 დღესა ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერნი საჩხერის და სვერის საბლალოჩინო მღუდლებთა და მედავითნეებან აღრჩეულნი პირნი შევიკრიბენით დღეის რიცხვს საჩხერის ორ კლასიან სამაგალითო საეკლესიო სამრევლო სასწავლებლის შენობაში თან დასწრებით ხსენებულის სასწავლებლის მზრუნველისა, ადგილობითი ბლალოჩინისა და სასწავლებლის მმართველისა ხსენებულის სასწავლებლის შენობის შესამოწმებლად კანტრახტისამებრ შედგენილის 1890 წლის აპრილის 26 რიცხვით, მღუდლებთ და ოსტატს შორის, რომლის შემოწმების შემდეგ დავადგინეთ: შენობაშიდ თუმცა რამოდენიმე წვლილწვლილი ნაკლუვანებანი აღმოჩნდა, მაგრამ ვინაიდგან მათი გასწორება დღესდღეობით შეუძლებელია, ამისათვის დავსტოვეთ უყურადღებოთ. მხოლოდ ვარგისი არის სახურავი კრამიტი, შავი პოლი, აგრეთვე ყოველი მასალა შენობისა ყოფილა ნედლი, რომლის მიზეზით პოლის ფიცრები და ბალკონისა ერთი ერთმანეთზედ შესამჩნევად დასცილებია.

ბლალ. მღ. ი. წერეთელი, დეკანოზის მაგიერათ აღრჩეული პირი მღ. ლ. დევიძე, მღ. ი. წიქვაძე, ი. აბაშიძე.

ამა აქტის შესრულებაზე დავესწარი დ. ბლალოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი მღ. ა. ჩაჩანიძე, მმართველი შკოლისა აბესალომ ტყემალაძე.

1892 წ. 2 ივლისი. ოქმი კრებისა საჩხერეს სკოლის შეკეთების შესახებ. დედანი, ზომა:35X22 სმ; N 3404 36-62/582

1892 წელს, ივლისის სამს დღესა ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერელნი, საჩხერის და სვერის ოკრულის საბლალოჩინოს სამღუდლოთა და საეკლესიო მსახურთა, გვქონდა დღევანდელს რიცხვს კრება საჩხერის ორკლასიანი შკოლის შენობაშიდ, თავმჯდომარეობითა ადგილობითის ბლალოჩინის მღუდლის, აბესალომ ჩაჩანიძისათა.

დავადგინეთ: ვინაითგან ზემოხსენებული შკოლა არის დაარსებული ზემოთხსენებულისავე ოკრულების სამლუდელო და საეკლესიო მსახურთა და სასულიეროს წოდების პირთაგან, გარნა რამოდენიმეს მათგანს არ აქვს შემოტანილი ის ფულის რაოდენობა, რაც იყო განწერილი თითოეულის მათგანზე. ამისათვის მიენდოს თავმჯდომარეს, ბლალოჩინს მლუდელს მამა აბესალომ ჩაჩანიძეს, მიიღოს დღეისავე რიცხვს ამ ფულის შემკრებლობის კომიტეტებისაგან შედგენილი სია. მოსთხოვოს იმ პირებს დანარჩენი ფული, რომლებსაც რა აქლია დღეიდან... და შეკრიბოს დღეიდან ორი თვის განმავლობაში და უკეთუ რომელიმე მათგანი არ წარმოადგენს მაზედ დანაშთენ ფულს, იმ შემთხვევაშიდ ის პირი გამოირიცხოს განცხადებულის შკოლის წევრობიდან, ანუ მონაწილეობისაგან მხოლოდ სასულიერო წოდების პირნი. ხოლო მლუდელები და მედავითნეები ვისაც რა გვაკლია, უკეთუ არ წარმოვადგენთ სურვილით, იმ შემთხვევაშიდ გამოგვერიცხოს ჯამაგირიდან, ანუ დრამის ფულიდან. და შეივსოს ჩვენზედ შემოწირული ფულის რაოდენობა...

*/ხელს აწერს ერთი წინამძღვარი და რვა მღვდელი/*

1892 წ. 24 აგვისტო. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარიისა წინამძღვარ, მღვდელ ა. ჩაჩანიძისადმი, საჩხერის სკოლის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17,5 სმ. N 2044 17-62/16.

იმერეთის ეპისკოპოსის კანცელარია. 24 აგვისტო, 1892 წ. ქ. ქუთაისი

წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძისადმი.

იმერეთის საეპარქიო კანცელარიას აქვს პატივი აცნობოს თქვენს მაღალკურთხევას, რათა აცნობოთ და გამოუცხადოთ ვისაც საჭიროა, რომ მისმა უსამღვდელოესობამ გაბრიელ ეპისკოპოსმა იმერეთისა 1892 წ. 17 აგვისტოს N 119 მოხსენებაზე, საჩხერეს საეკლესიო-სამრევლო სკოლასთან კიდევ ერთი განყოფილების გახსნისა და მასწავლებლის დანიშვნის და სხვა შესახებ ინება დააწესოს შემდეგი რეზოლუცია: 1892 წ. 22 აგვისტო. იმის გამო, რომ საჩხერეს ოლქის მოსახლეობა მრავალრიცხოვანია და სურვილი აქვთ თავის შვილებს განათლება მისცენ, სკოლები კი ამ

ადგილზე ძალიან მცირეა, მე ნებას ვრთავ და ვუბოძებ საჩხერეს საეკლესიო-სამრევლო ორკლასიან სკოლასთან, სკოლის ვაჟებისა და სამზრუნველოს მოსაზრებებისა და გეგმის თანახმად, განსხვავებული ერთი მოსამზადებელი კლასი. ამ სკოლის მასწავლებლად ვნიშნავ ამავე სემინარიის კურსდამთავრებულს, თუთბერიძეს. რეზოლუცია შესრულდეს და შემდეგ სასწავლებლის საბჭოს გადაეცეს.

1892 წ. 26 ნოემბერი. მიმართვა იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო საბჭოს მიერ წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძისადმი გ. წერეთლის მასწავლებლად მიღების შესახებ, დედანი. რუსულ-ქართული ტექსტი, ზომა: 22X17,5 სმ; N 2041 17-62/13

იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭო.

26 ნოემბერი, 1892 წ.

წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძეს.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რაც თქვენს განკარგულებაზეა დამოკიდებული, რომ ამა წლის 19 ნოემბერს მერჯევის სამრევლო სკოლის მასწავლებლისა და მღვდლის თხოვნაზე, რათა სკოლაში მის მოადგილედ განაწესონ ქუთაისის სასწავლებლის კურსდამთავრებული გრ. წერეთელი, ამას იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის რეზოლუცია მოყვა: „იქმნეს თანაშემწედ უჩიტლობაში სამრევლო სკოლაში მთხოვნელისა“.

საბჭოს თავმჯდომარე, დეკანოზი ცაგარეიშვილი.

მღვდელ ილარიონ წაქვაძეს!

როგორც სჩანს იმერეთის ეპარქიის სამოსწავლო გამგეობის ოტნოშენიიდან 26 ნოემბრიდან 1892 წ. N 54 თანახმად თქვენის თხოვნის, ყ-დ უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს უნებებია განცხადება თქვენ თანაშემწედ მერჯევის პრიხოდის სკოლაში მასწავლებლად გრიგორ წერეთელი, რომელსაც დამთავრებული აქვს სწავლა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში.

ბლალოჩინი ჩაჩანიძე

N 6.

18 იანვარს 1893 წ.

1893 წ. 9 აგვისტო. განაჩენი საჩხერის ოლქის საწინამძღვროს დაბა  
საჩხერეში ორკლასიანი სკოლისათვის ადგილის შერჩევისა და სკოლის  
მშენებლობისათვის სახსრების მოძიების შესახებ. დედანი, ზომა: 35x22  
სმ; N 3275 36-62/453

### პრიგაორი

1893 წელსა, აგვისტოს 9-ს დღესა, ჩვენ, ქვემოთე ამის ხე-  
ლის მომწერთ, სამლუდელო და საეკლესიო მსახურთა საჩხერის  
ოკრულის საბლადოჩინოსამ, მოვისმინეთ განცხადებანი რამოდენ-  
იმე სამლუდელთა და სასულიერო პირთა მასზედ, რომელ მათ  
მოსაპოებლად დაბა საჩხერეშიდ ადგილისა და აღსაშენებლად  
მასზედ სახლისა საჩხერის პრიზოდის ორკლასიანი სკოლებისათ-  
ვის თანასწორ სხვათა სამლუდელთა და სასულიერო წოდების  
პირთა შემოიტანეს ფული. გარნა სხვადასხვა გარემოებათა გამო  
ნასყიდობაშიდ მოხსანებულნი არ არიან. ამისათვის ითხოვენ  
ნაცნობნი იქმნენ მონაწილეთ როგორც ადგილში, ისრე შენობაში.  
მოვისმინეთ რა ზემო მოხსენებული განცხადება, დავადგინეთ  
ვინაიდგან... შემოიტანეს ზემო განცხადებულმა პირებმა<sup>1</sup> საჭირო  
ფულები მოსაპოებლად დაბა საჩხერეში სასწავლებლისათვის  
ადგილისა და აღსაშენებლად სახლისა, ამისათვის ვსცნობთ  
ზემო განცხადებულთ პირთ მონაწილეთ მდებარეს დაბა საჩხერეს  
ადგილსა საზღვრებთა შორის: აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით  
ვენახი და სახნავი ილარიონ გამყრელიძისა... სამხრეთით – მიხ-  
ეილ ლაშხისა, დათია აბრამიშვილის და სამსონ აბრამიშვილის  
ადგილი, ... ხოლო დასავლეთით გზა, ვიწრო ადგილი ჩვენ გვაქვს  
დამტკიცებული უფროსის ნოტარიუსისაგანა 18 სექტენბერს 1890  
წელსა N 69. ამ ადგილებში და აგრეთვე მასზედ აღშენებულთ  
შენობაში განცხადებულთ ზემოთ მლუდლებთ ეკუთვნისთ იმდენი  
თითქოს რამდენიც ეკუთვნის მღვდელს ნასყიდობაში მოხსენ-  
ებულს, მასთანავე მემკვიდრეთ დეკანოზის ივანე აბაშიძისას,  
მღვდლების გრიგოლ ჩაჩანიძისას და დავით კაპანაძისას. თითო

1 ჩამოთვლილია 76 პირი

მლუდელის მეშვეობით იმდენი, რამდენიც მლუდელს, ხოლო დან-  
არჩენი შეეძქვს მისი, რამოდენიც ერგება მლუდელს. პრეტორი  
ესე ჩვენ მიერ ხელმოწერილი წარედგინოს ბლალონის საბუ-  
ალებით მისს ყ-დ უსამლუდელსობას, იმერეთის ეპისკოპოსს  
გაბრიელს, რის შინა ხელს ვაწერთ: ბლალონი ი. წერეთელი,  
მლუდლები: თ. ტყემალაძე, ა. ტყემალაძე, ეპ. აბრამიშვილი, ვლ.  
აბრამიშვილი, მ. ხარშილაძე, გ. მაჭავარიანი, ა. ნადირაძე, ი.  
წიქვაძე, ა. ჯაფარიძე, ი. ქავთარაძე, გ. ჭიჭინაძე, ი. აბაშიძე,  
ა. საბაშვილი, ტ. ბაქრაძე, ა. იაკობაშვილი, ი. იაკობაშვილი, ი.  
ყაველაშვილი, გ. მიქაძე.

1893 წ. 10 აგვისტო. განცხადება სკოლის მმართველის, მღვდელ ვლ.  
აბრამიშვილისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი საჩხერის სამრევლო სკოლის  
შეკეთების შესახებ. დედანი. ზომა: 35X22 სმ; N 3370 36-62/548

მისს მაღალ კურთხევას ბლალონის აბესალომ ჩაჩანიძეს  
საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის მმართველის ვლადიმერ  
აბრამიშვილისაგან

### განცხადება

თანახმად თქვენი მოწერილებისა 10 აგვისტოდან ამა 1893 წ.  
შესახებ რწმუნებულის ჩემდამო სამრევლო სკოლის სახურავის  
შეკეთებისა, მე დავნიშნე 17 რიცხვი აგვისტოს თვისა, რა დღესაც  
სახურავის შეკეთება უნდა გაცემულიყო ვაჭრობით /ამის შესახებ  
მიწერილება იყო მამასახლისებთან/, მაგრამ დანიშნულ დღეს არა-  
ვინ გამოცხადებულა. ამის შემდეგ მოვიხმე გამოცდილი ოსტატი  
დათია აბრამიშვილი, რომელმაც შემდეგ სკოლის დათვალაიერე-  
ბისა სთქვა, რომ გარდა სახურავის შეკეთებისა სკოლის შენობას  
ეჭირვება ზევით ქილიშების გამოცვლა და თავხედების გაღება,  
რადგანაც სახურავს სიმძიმისა გამო ძალიან ძირს დაუტანია ქი-  
ლიშები და კიდევ დაუზიანებიაო. რაიცა შეეხება სახურავს, იმავე  
ოსტატმა სთქვა რომ ჯერ თუ ფიცრით გადაიხურა შენობა და  
მერმე ისევე კრამიტი მოეწყო, წვიმა არ ჩამოვაო. ამაზე თვითონ  
აპირებს პირობის მოცემას, მაგრამ მარტო ფიცრით გადახურვაში

და ზედ ამავე შენობაზე რაც კრამიტი აწყვია, იმის მოლაგებაში თხოვილობს ჩვიდმეტ თუმანს. ჩემის აზრით სჯობია, რადგანაც სახურავი უნდა შეკეთდეს, კოჭებიც და სხვა რაც საჭირო იქნება სახურავის სიმაგრისათვის ამ თავსავე გავაკეთოთ და ვინაიდან სამღვდელობა ახლა ამ შკოლაშია შეკრებილი, დაადგინონ ზემო ხსენებული საქმის შესახებ ყოველივე გარჩევით და გარდაწყვეტილი სახით. ის ფულები, რაც მე მაქვს თქვენგან გადმოცემული, თუ მიუცილებლად სახურავს უნდა მოხმარდეს, მაინც საკმარისი არ იქნება, რადგანაც ქილიშები გამოსაცვლელია.

განვიცხადებთ რა ამაზედ, პატივი მაქვს ეგრეთვე გთხოვოთ, სამღვდელობას თითონ აარჩევით თავიანთ შორის პირნი, რომლებთაც მიენდოს ზემო ხსენებული საქმის წარმოება, ვინაიდან მე შკოლიდან მოცალეა არ მექნება.

ამასთანავე მოგახსენებ: მღვდელს, აბესალომ ტყემალაძეს ჩემგან აქვს წაღებული სამი თუმანი ფული, როგორი რაოდენობითაც მას შკოლაში მმართველობის დროს გარდაუცია აბჟანდაძისათვის, რომელმაც ჩვენი შკოლა ააგო... გთხოვთ ეს სამი თუმანი გამაწერიოთ წიგნის გასავალში და ასრეთივე რაოდენობა გამორიცხოთ იმ ფულებიდან, რომელიც მე თქვენგან მქონდა გარდმოცემული და რომელიც სამღვდელობის დადგენილებისამებრ სახურავს უნდა მოხმარდეს.

მმართველი შკოლისა მღვდელი ვლადიმერ აბრამიშვილი  
13 სექტემბერს, 1893 წ.

1893-ს წელსა, სექტემბრის 13-ს დღესა, ჩვენ, ქვემოთე ამისა ხელის მომწერელთა, საჩხერის ოკრუდის საბლალოჩინოს სამღვდელლო და საეკლესიო მსახურთა მოვისმინეთ შინაარსი დღევანდელს რიცხვს შემოტანილის განცხადებისა. დავადგინეთ: შესახებ საჩხერის პრიხოდის ორკლასიანი შკოლის საფუძვლიანად დახურვის და კოჭების გამაგრების ზომის მიღებისა. ვინაიდან ყოველ საჭიროების, მრთელი საბლალოჩინოს სამღვდელლო და საეკლესიო კრებულის შეგროვება და საქმის წარმოება სამიმო იქნება, ამისათვის ვნიშნავთ ამა საგნის საწარმოებლად მღუდლებთ: ანტონ ნადირაძეს და ანთიმოზ მესხს და მედავითნებთ სპირიდონ კუსიანს და სპირიდონ

მემანიშვილს, რომლებმაც უნდა ივაჭრონ ტორგით ოსტატებთან, შეუკრან კანტრახტი, ჩამოართვან მტკიცე პირობა საფუძვლიანად შკოლის დახურვის და კოჭების გამაგრებისა და დამაგრების ოსტატი იმ ფულის რაოდენობით, რომელიც აქვს სამღუდელოებისაგან გარდაცემული შკოლის მმართველს, მღუდელს ვლადიმერ აბრამიშვილს, გარდა იმ სამი თუმნისა, რომელიც უნდა გაიწეროს გასავლის წიგნში, თანახმად შკოლის მმართველის განცხადებისა, სახელდობრ ორას ოცდაათოხმეტი მანეთი და ოთხმოცდახუთი კაპეიკა. და თუ ვერ დაფარავს ამ შკოლის დახურვის ხარჯს განცხადებული ფული და კოჭების საფუძვლიანად გამაგრებას, იმ შემთხვევაში მოვალე ვიქნებით ყველა დამაარსებელი ამა შკოლისა შევავსოთ ამ საგნის შესახებ მოთხოვნილი ხარჯი და უკეთუ უსაფუძვლო იქმნება გაკეთებული ზემო ხსენებული სამუშეგარი, იმ შემთხვევაშიდ მოვალენი იქმნებიან ჩვენ მიერ აღრჩეულნი პირნი გვიზღონ ისევ საღუდელოებას ის ფული, რაცა იქმნება მათ მიერ ამ საქმისათვის გახარჯული.

/საბუთს ხელს აწერს 33 პირი/.

**1893 წ. 20 სექტემბერი. მიმართვა კომიტეტის წევრებისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი საჩხერის ორკლასიანი სკოლის შენობის შეკეთების შესახებ. დედანი. ზომა:21X17 სმ; N 3750 11-63/153**

მისს მაღალკურთხევას, ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს!

ჩვენ გვქონდა ვაჭრობა დანიშნული საჩხერის ორკლასიანი სამრევლო სკოლის შენობის შეხურვისათვის და შეკეთებისათვის ამა თვის ოცსა რიცხვსა. იყვნენ მოწოდებულნი მოხელენი პირნი და იქმნა განხილული ნაკლუვანება შენობისა, როგორც მათგან, ისე ჩვენგნით და შემდეგ იყო ვაჭრობა, მაგრამ არავინ არ იდგა თავს ამ სკოლის შეკეთებისა თვისი მასალით არა ნაკლებ ექვსასი მანეთისა და ვერ შეურიგდით. ვაჭრობა გადაიდგა ამა თვეს ოცდასამსა რიცხვსა. ამისათვის გთხოვთ თქვენ, როგორც ადგილობრითი ჯერეთ ბლალოჩინს და მერე ყურადმღებელს სკოლისას, დაგვეწეროთ. ამ დანიშნულს ვადაზედ ჯამაგირი მღვდლებს არ

გადასცეთ, მინამ ოსტატებს ჩვენ არ გაურიგდეთ, თორემ შკოლა  
დარჩების შეუკეთებელი.

კომიტეტნი: მღვდელი ანტონ ნადირაძე და მღვდელი ანთიმოზ  
მესხი.

20 დემბერი, 1893 წ.

1894 წ. 7 იანვარი. მიმართვა მღვდელ ა. ნადირაძისა წინამძღვარ  
ა. ჩაჩანიძისადმი საჩხერის შეკეთებული სკოლის შემოწმების შესახებ.  
დელანი. ზომა:22X17 სმ; N 3374 36-62/552

მისს მაღალკურთხევას, ბლალოჩინს მღვდელს ა. ჩაჩანიძეს  
კომიტეტის ჩლენის, მღვ. ან ნადირაძისაგან

### რაპორტი

მისს ყ-დ უსამღვდელოესობამ, იმერეთის ეპისკოპოსმა და  
კავალერმა გაბრიელმა ბრძანა რა საჩხერის ორკლასიანი შკოლის  
ჟესტით დახურვა, ამაზედ თქვენმა მაღალკურთხევამ მოუწოდა  
საჩხერის ოკრულის საბლალოჩინოს სამღვდელ და საეკლესიო  
მსახურთა და დაადგინეს პრიგავორი შესახებ ზემოთქმულის შკო-  
ლის დახურვის და სხვადასხვა სუსტი ხის მასალების გამოცვლისა.  
მამანდვეს მე და ერთათ ჩემთან მღ. ანთიმოზ მესხს და მედავითნეთ  
სპირიდონ კუსიანს და სპირიდონ მემარნიშვილთ ესრეთის დახ-  
ურვა. ჩვენ მოვახდინეთ ამაზედ ვაჭრობა, მოუწოდეთ ოსტატებთ  
და სხვა პირებთაც. ვაჭრობით აიღო შეხურვა და ყოველი სუსტი  
მასალების გამოცვლა დაბა საჩხრეს მცხოვრებმა, მეორე გილდიის  
ვაჭარმა ელისბარ გრიგოლის ძემ ქებაძემ. დავახურვინეთ ჟეშტით,  
შევაღებინეთ წამლით ჟეშტი და ყოველი სუსტი ხის მასალა მაღ-  
ალკურთხევას და უმდაბლესად გთხოვთ მიბრძანდეთ ადგილობრივ  
შკოლაში და დაისწრეთ თქვენთან ზედამხედველის შკოლისა მღ.  
ვლადიმერ აბრაძიშვილი და შკოლის მზრუნველი დიმიტრი იოანეს  
ძე აბაშიძე და განიხილოთ ყოველივე ... და უკეთუ რაიმე მიზ-  
ეზი იპოვოთ, ან ჟეშტის, ან ხის მასალებშიდ, ანუ გაკეთებაშიდ,  
შეამოწმეთ. დაგვიბრუნეთ ქალაღი უკეთუ რაიმე მიზეზით იპოვოთ



დიდიოვან ვიდრე მცირემდე, რომ ჩვენ მოკანტრახტეს შევასწორობინოთ ყოველი ნაკლოვანება თანახმდ თქვენის ბრძანებისა კომიტეტის ჩლენი, მღუდელი ანტონ ნადირაძე 1894 წელსა, იანვარს 7-ს.

1894 წ. 8 დეკემბერი მოხსენება მღვდლების ა. ნადირაძისა და ა. მესხისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი საჩხერის ორკლასიანი სკოლის შეკეთების შესახებ. დედანი. ზომა:22X17 სმ; N 3381 36-62/559

მისს მაღალკაურთხევას ბლალოჩინს, მღუდელს აბესალომ ჩაჩანიძეს

სოფლის ჭორვილის მაცხოვრის ეკლესიის მღუდლის ანტონ ნადირაძისაგან და სოფლის საირხის წ-ს ნიკოლოზის ეკლესიის მღუდლის ანთიმოზ მესხისაგან

რაპორტი

საჩხერის ოკრულის საბლალოჩინო, სამღუდლო და საეკლესიო მსახურთა და სასულიერო წოდების პირთა თქვენის მაღალის კურთხევის თანდასწრებით აღგვარჩიეს ჩვენ კომიტეტებათ საჩხერის ორკლასიანი სკოლის შეკეთებისა და დახურვის თაობაზედ, რაზედაც მოვანდინეთ ვაჭრობა. მოუწოდეთ ოსტატებთ და სხვა პირებთაც და ივაჭრეს. ვაჭრობით დარჩა ზემო მოხსენებულის სკოლის შეკეთება და გადახურვა დაბა საჩხერეს მცხოვრებელს, მეორე ვილდიის ვაჭარს, ელისბარ გრიგოლის ძეს ქებაძეს. შევაკეთებინეთ კარგათ, საფუძვლიანათ და მაგრათ დავახურვინეთ ჟეშტით. ამ საგანზედ დაწერილ კანტრახტის პირობისამებრ შევასრულებინეთ მოიჯარადრეს და შთავიბარეთ. ამასთანავე წარმოუდგენთ კანტრახტს თქვენს მაღალკურთხევას შემდგომის თქვენის განკარგულებისათვის და გთხოვთ უმდაბლესად წარადგინოთ კანტრახტი ესე სადაცა ჯერ არს.

მღუდელი ანტონ ნადირაძე

მღუდელი ანთიმოზ მესხი

1894 წელსა, დეკემბრის 8-ს

1895 წ. 1 ივნისი. თხოვნა ა. ქავთარაძისა წინამძღვარ ა. ჩაჩანიძისადმი საჩხერის სასწავლებლის ასაშენებლად შექმნილი დამფუძნებელი

კრების მიერ მისი წევრად მიღების შესახებ. დედანი, ზომა: 35 X 22 სმ;  
N 3765 11-63/168

მისს მაღალ კურთხევას, ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ  
ჩაჩანიძეს

სოფელს იმაწმინდას მცხოვრების, აზნაურის ანტონ იოსების  
ძის ქავთარაძისაგან

### თხოვნა

მამა მამისა ჩემისა, მაქსიმე ქავთარაძე, იყო მღვდელი. მაშასა-  
დამე, მე ვსწარმოებ სასულიერო წოდებიდგან, გარნა თანამდებობა  
სასულიერო წოდებაში კი არ მიკავია. საჩხერის ოკრულის სამ-  
ღვდელეობამ და სასულიერო წოდების პირთ, წინათ ამისა განიზ-  
რახეს კეთილი აზრი, აღეშენებოსთ დაბა საჩხერეში ორკლასიანი  
სასწავლებელი და ეს სურვილი კიდევაც მოიყვანეს სისრულეში.  
გარნა სამწუხაროდ ჩემდა ვერ მივიღე მონაწილეობა. ამისათვის  
უმორჩილესად ვთხოვთ, თქვენო მაღალ კურთხევა წინდაუდვით  
სამღვდელოების კრებას მიძიდონ მეც წევრათ დამფუძნებლათ  
განცხადებული შკოლისა, რომ რაც თითო წევრს სასულიერო  
წოდებისთაგან პირს შემოუტანია, მეც შემოვიტან ერთ ჟამიერათ.

ანტონ ქავთარაძე

1895 წელსა, ივნისის 1 დღესა.

1895 წ. 5 ივნისი. სამრევლო სკოლის სასწავლო საგანთა პრო-  
გრამა.

დედანი, ზომა: 35 X 22 სმ; N 4571 23-63/5

ქართული ენიდან მეოთხე განყოფილებას აქვს შესწავლილი  
გეოგრაფიული განყოფილება გოგებაშვილის ბუნების კარიდგან.

სამშობლოს შესწავლა

1/ შესავალი: საქართველოს სიმშვენიერე ბუნების მხრით,  
აქაური ხალხის სილამაზე და ნიჭი.

2/ საზღვრები, მცხოვრებთა რიცხვი, შედარება ნაწილებისა:  
აზიის რომელ მხარეს სძევს საქართველო ოთხივე კუთხეების

საზღვრები საქართველოსი. ნაწილები საქართველოსი. რამდენი მცხოვრები ითვლება საქართველოში? საქართველოს ზომიერება? რა მთა ჰყოფს საქართველოს ორ დიდ ნაწილად — იმერეთსა და ამერეთად. ჰავა იმერეთისა და ქართლ-კახეთისა. რითი აიხსნება იმერეთის ჰავის სინოტივე და ქართლის სიხმელე, იმერეთის ჰავის შედარებით ზომიერი სითბო-სიცივე, ქართლის შედარებით ზაფხულის მეტი სითბო და ზამთრის მეტი სიცივე? რა განსხვავება არის იქითა და აქეთა საქართველოს ხალხთ შორის ხასიათის შედარებით, როგორ ხარისხზედ სდგანან იმერნი და ამერნი ზნეობით? სიცქვიტე და საქმეში გაბედულება იმერლებისა. სწავლა-განათლების სურვილი რომელ მხარეში უფროა ფეხმოკიდებული-

3/ საქართველოს მთები, გორები, მდინარეები, მცენარეები, ცხოველები და ნიადაგი.

აღმოსავლეთის ქარის თვისება. ამ ქარს იმერეთში რატომ ეძახიან ზენას და ქართლში ქვენას? ქვენა ქარი როგორი თვისებისაა? კავკასიონის მთების სიმაღლეები. იალბუჯი და ყაზბეგი. მნიშვნელობა კავკასიონის მთების საქართველოს ჰავაზე. რომელ მთაში აქვს რიონს სათავე, რომელი მდინარეები ერთვიან რიონს? რომელ მთაში აქვს ცხენისწყალს სათავე? მდ. მტკვარი მისი სათავე და მომდინარეობის მიმართულება. გორთან რომელი მდინარე ერთვის? მცხეთასთან რომელი მდინარე ერთვის? რითი იყო შესანიშნავი მტკვარი და ახლა რითია? იქითა საქართველო მდიდარია მცენარეულობით თუ აქეთა. რა და რა ხეხილნი და უბრალო ხეები იზრდება საქართველოში? რა და რა ნადირები ბუდობენ საქართველოს ტყეებში. სად უფრო ნოყიერია ნიადაგი, აქეთა საქართველოში თუ იქითაში? საქართველო — (ლექსი).

4/ ქართველთა სიღარიბე და ამის მიზეზი. სიკვდილის სიხშირე. დაუღვერობა, მცირე ზომით ხენა-თესვა ქართველებისა. დაუზოგაობა მოყვანილი ჭირნახულისა, უცოდინარობა მუშაობისა. მამაკაპური გუთანნი. ხენა-თესვის წესი საქართველოში, ნახევარი მიწის დატყევა

დაუძუშავებლად. ბალოსნობა და ღვინის მოყვანა. მჟავე ღვინოს გავლენა ტანის სიმრთელეზე, უსუფთაობა, ქართველების სადგომების უვარგისობა, დასავლეთ ევროპაში როგორი სადგომები აქვთ გლეხებს? ათასზე რამდენი სული კვდება საქართველოში?

5/ განათლების მდგომარეობა საქართველოში. გაუნათლებლობის მიზნით ცრუმორწმუნეობა, ავადმყოფობის დროს ქართველი უმეცრების გამო რა საშუალებას ძებნის? კითხვარები: უსწავლელობის გამო როგორ მიდის ბავშვების აღზრდა საქართველოში, სხვა განათლებულ ქვეყნებში როგორ მიდის ბავშვების აღზრდა? სხვა განათლებულ ქვეყნებში როგორ წერტილზე სდგას სწავლა-განათლება, საიმედო არის თუ არა, რომ საქართველოს /სწავლა-განათლება/ ცოდნა მოეფინება?

6/ კახეთი. საზღვრები კახეთისა და განხილვა შიგნით კახეთისა. ცივ გომბორის მთა, რომელიც ალაზნისა და იორს შუა არის გაგრძელებული, რამდენ ნაწილად ჰყოფს კახეთს. შიგნივ კახეთს რა მდინარე რწყავს და გარეთ კახეთს რა? ალაზნის სათავე? ალაზნის ნაპირების ჭალები. იორი რომელ მთიდგან გამოდის. ნაპირები იორისა როგორი მოსავლისაა. მოკლე აღწერა ცივგომბორის მთისა. როგორი ჰავა არის ალაზნის ჭალებში, უქარობა. ღვინის და ეგრეთვე სხვა ჭირნახულის უხვი მოსავლიანობა კახეთში. როგორ სახლებში ცხოვრობენ კახელები? ტანისამოსი როგორი აცვიათ? სიღარიბე კახელებისა ვაზის ავადმყოფობის გაჩენის გამო. ხასიათი და სტუმართმოყვარეობა კახელისა. შიგნივ კახეთის ქალაქის — თელავის აღწერა.

7/ ქიზიყი. რა საქმეებს მისდევენ ქიზიყელები. ალაზნის ველის, საზოგადოთ, დამუშავება ქიზიყელებისაგან და სათივეები. ურწყაობა ალაზნის ველისა და გვალვიან წელიწადში მოუსავლობა. შინაური პირუტყვების ყოლა ქიზიყელებისა. მიზეზი ქიზიყელების სიმდიდრისა? სადგომები ქიზიყელებისა. ჩაცმა-დახურვა შეძლებული და შეუძლებელი ქიზიყელებისა. წყლის სიძვირე. სოფლების სისუფთავე

ქიზიყში. ყიზიყელების სიამაყე, სიღნაღი და მისი სიმაგრე. შესანიშნავი სოფლები: ბოდბისხევი /სადაც წმინდა ნინოს საფლავია/, ველისციხე, გურჯაანი, კარდანახი, დედოფლის წყარო და სხვა. სამშობლო ხევსურისა /ლექსი/.

8/ ქართლი. საზღვრები, მცხოვრებთა რიცხვი, შუა ქართლი. რამდენ ნაწილათ ჰყოფს თრიალეთის მთა ქართლს. შუა ქართლი. საზღვრები შუა ქართლისა. რომელი მხრიდან ქრის ქარი შუა ქართლში. აღმოსავლეთის ქარი, სიხმელე /მაზრების: გორის, დუშეთის, თფილისი/. მდინარეები შუა ქართლისა: ლიახვი, ქსანი და არაკვი. ამათი აღიდება გაზაფხულზე, ქართლის გარეგანი ჰავა. ვენახების ზამთრობით მიწაში დამარხვა. ბამბა და ბრინჯი არ ხეირობს ქართლში. ხევნა-თესვისთვის მშვენიერება ქართლის ბუნებისა. როგორი შესახედავია ქართლის ველი ზაფხულში? რაში მდგომარეობს სიმდიდრე? ხვნა-თესვა და სხვა საქმის ხელის მოუკიდებლობა ქართლელებისაგან, ქართლელების ფულის ვალათ აღება. რითი ისტუმრებენ ვალს? სოფლები ქართლში, მიწაში ჩადგმული სახლები, ნოტიობა და ამის მიზეზით ავადმყოფობა. მშვიდობიანი ხასიათი ქართლელებისა. რა არის მიზეზი ამისა. თფილისი, გორი და დუშეთი, მცხეთა, მუხრანი, დაბა სურამი, კარალეთი, ქარელი, წილკანი, ნიქოზი, ურბნისი, სამთავისი.

9/ ახალციხის მხარე და ჯავახეთი. შემოერთება ამ მხარისა 1829 წ. გრილი ჰავა ახალციხის მხარისა. სიცივის გამო რა და რა ხეხილი არ ხარობს ახალციხის მხარეში? მაჰმადის რჯული ახალციხეში, ქრისტიანობის მოსპობა ახალციხის მხარეში. მამული ბეგების ხელშია. ბალოსნობის მიმდევრობა, რა ხეხილები ხარობს კარგად? სიმდიდრე ახალციხელების რითი აიხსნება? მდგომარეობა, როგორი სახლები აქვთ ახალციხელებს? ქალაქი ახალციხე. სოფლები: აბასთუმანი, რუსთავი, ურაველი, აწყვერი შესანიშნავი ციხით, ასპინძა, ჯავახეთი, ხვნათესვა ჯავახელებისა. შინაური პირუტყვების მოშენება. უტყეობა ჯავახეთში ტბები ჯავახეთში. ქალაქი ახალქალაქი.

10/ კერძო განხილვა. იმერეთი. საზღვრები. ზემო იმერეთი როგორი ქვეყანაა? მაღლობი მდებარეობის გამო როგორი ჰავაა? ადგილების სივიწროვე ზემო იმერეთში და მცხოვრებლებს მუცტი ჯაფა და მუშაობა. რა და რა ჭირნახული მოყავსთ შხელო იმერელებს? პირუტყვების ყოლას ზემო იმერლები არ მისდევენ? ქვემო იმერეთს ვაკე ადგილი უჭირავს, თუ მაღლობი? როგორი მოსავალი იცის რიონის ჭალებმა. ხანდისხან რა ზარალი მოაქვს მდ. რიონს. სინოტივის გამო რა პურის მცენარეს უფრო სთესავენ ქვემო იმერეთში? ღომის აწერა, ბამბის თესვა იმერეთში. რატომ უყვართ ქვემო იმერლებს ნაკლები შრომა ზემო იმერლებზე? ვაზი რატომ მაღლარია ქვემო იმერეთში. ქალაქი ქუთაისი, ორპირი და ხონი. გელათი /სოფელი/, ბაღდადი, კულაში და სხვა. გელათი /ლექსი/.

11/ რაჭა. რატომ დარქმევია ამ ქვეყანას რაჭა? საზღვრები რაჭისა. ცივი ზამთარი რაჭისა და ჰაერის სისალე, სამკურნალო წყლები. რაჭის მიწის თვისება /მეწყერი/. შესანიშნავი შემთხვევა მეწყრით ადგილების დაძვრისა... რითი ჩნდება ეს მოვლენა? პური და ღვინო რომელ რაჭაში უკეთესი იცის? მიწის სივიწროვე რაჭაში და გლეხების სამუშაოდ სხვაგან წასვლა. სად უჯობდათ რაჭველებს გადასახლება? ქალების მუშაობა რაჭაში, რაჭველების ტანის აგებულება და განისამოსი, ქალების ტანისამოსი ზემო რაჭაში. საკუთარი ღირსების შეუმჩნეველობა რაჭველებისა. ონი /დაბა/. სოფლები: ურავი, ნიკორწმინდა, ზნავა და ხვანჭკარა.

12/ გურია. საზღვრები გურიისა. გურიის მაღლივი მდებარეობა. ნიგოთის ქედი. რითია შესანიშნავი მდინარე სუფსა. სინოყივრე გურიის მიწისა. ციებცხელება გურიაში, საოფლე და მუცელა. ნიადაგის ნამეტანი სინოყივრე გურიაში. თავი სარჩო გურულებისა. რითი მუშაობენ მიწას, მცირეოდენი ბამბის და ბრინჯის თესვა გურიაში, ვენახები როგორია გურიაში? ღვინის და აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობის გაჩენა გურიაში. სახლები გურულებისა. ტანისამოსი /ჭონა/, სიციკიტე და ნიჭი გურულებისა. ქალაქები: ოზურგეთი და ფოთი. სოფლები: ბახვი, შემოქმედი და სხვა.

13/ სამეგრელო. გვარტომობა მეგრელთა, საზღვრები, ბუნება, მეურნეობა.



მეგრული ენის ახლო ნათესაობა ქართულ ენასთან. საღმრთო მსახურების შესრულება ქართულ ენაზე. უქმი ცდა წირვის გადაღებისა მეგრულს ენაზედ. საზღვრები სამეგრელოსი. როგორი მდებარეობა აქვს სამეგრელოს. სინოტივე და ხშირი წვიმები სამეგრელოში. მდ. ცხენისწყალი და ენგური. ტეხურა და ხობი. ძლიერი ნაყოფიერება ნიადაგისა სამეგრელოში. რატომ არ მოჰყავსთ პური. რამდენჯერ სთოხნიან მეგრელები სიმინდს. მუმის შეწევა სიმინდის სათოხშიდ. სიმინდის გაყიდვა მეგრელებისაგან. მიწის სივიწროვე. ღვინის მოსავალი სამეგრელოში.

14/ აბრეშუმის კეთება სამეგრელოში. წვრილი ჯიშის საქონლის მოშენება. სასოფლო ბაზრობა. ვაჭრობაში მეგრელების შედარება ქართლებთან, კახელებთან. გაბედულება, კონტრაბანდის გამოტანა მეგრელებისაგან, საქმეების გადაჭრაში მეგრელებისაგან ძალის ხმარება, მცირედენ საქმეზე ჩხუბი, ქურდობა, ცრუმორწმუნეობა, მაგალითი ცრუმორწმუნეობის. შესანიშნავი ქალაქები.

15/ გვარტომობა სვანთა, საზღვრები, ბუნება, წარმოება მცხოვრებელთა.

ვის უფრო ჰგავს სვანი სახით. ქართველებთან სვანების ახლო ნათესაობა რით აიხსნება. საყდრები სვანეთში. ხატებზე ქართული წარწერები., ქართული საღმრთო წერილის წიგნები. საზღვრები სვანეთისა. გასაჭირი მოგზაურობა სვანეთში, მართებლობისაგან გზის გაყვანა. ენგურზე ხიდები. მოგზაურის შთაბეჭდილება ენგურის პირზედ. ზემო სვანეთი /თავისუფალი/. სვანეთის დიდი ზამთარი და რა მცენარე ხარობს სვანეთში. ჯანმრთელობა სვანეთში. რა გარჩევა აქვს ქვემო სვანეთს ზემო სვანეთისაგან, რა ხეხილი ხარობს ქვემო სვანეთში? რა საქმეს მისდევენ სვანები, რითი ირჩენენ თავს?

16/ სვანური სოფლები, სარწმუნოება სვანთა, დღესასწაულები და ჩვეულებანი.

რამდენი მეკვაძური შეადგენს სვანურ სოფელს. სიმრავლე სვანეთში. ეკლესიების სიხშირე და მათი სიძველე რას უძახიან მღვდლებს ზემო სვანეთში და ქვემოთაში. რა ენაზე სრულდება წირვალოცვა სვანეთში. რა მარხვას ინახავენ სვანები, რა დღესასწაულები აქვთ. მკვდრის დასაფლავება სვანეთში, მიცვალებულისათვის ცალკე კერძის დადგმა სვანებისაგან.

17/ სვანის თვისებანი. სამშობლოს სიყვარული. სიღარიბე სვანთა. ქალების ხოცვა სვანეთში და თავისუფლება გლეხებისა.

პირის სახით ვის ჰგავს სვანი, ტანისამოსი, როგორი აქვს მოყვანილობა. იარაღის სიყვარული სვანებისაგან. გამჭრიახი გონება სვანისა და მისი გაუნათლებლობა. მოსისხლე მტრობა სვანებისა. სიღარიბის მიზეზი რა არის სვანებში /ცუდაობა და ქეიფის ტარება სვანებისა/. ვისი მეცადინეობით ამოიკვეთა ქვემო სვანეთში ჩვილი ქალების ხოცვა.

18/ სამურზაყანო. საზღვრები სამურზაყანოსი. სიგრძე და სიგანე სამურზაყანოსი. რა ტანჯვაწვალება მიაყენა სამურზაყანოს სამეგრელოსა და აფხაზეთს შუა მდებარეობამ? წინა ხანებში ვის ეკუთვნოდა სამურზაყანო? რომელ წელში მიითვისეს ქვეყანა მურზაყან შერვაშიძემ? ვინ გაავრცელა ქრისტიანობა სამურზაყანოში. რა ამტკიცებს, რომ შუა საუკუნეებში სამურზაყანოში ქრისტიანობა გავრცელებული იყო? მე-15 საუკუნიდან რატომ იკარგება ქრისტიანობა სამურზაყანოში /თათრებისაგან კონსტანტინოპოლის აღება/. რა ამტკიცებს იმას, რომ სამურზაყანოში მაჰმადიანობა მტკიცედ არა ყოფილა. რა საქმეს უფრო მისდევენ სამურზაყანოელები. რითი აიხსნება შედარებითი სიმდიდრე სამურზაყანოელებისა /ტყის სიმდიდრე და ბატონყმობის გამოუცდელიობა/.



1/ **შენიშვნა:** შემდეგ არის კითხვარები რუსულ ენაზე: ბრით-  
მეტიკაში, რუსულ ენასა და სინტაქსში, რუსეთის ისტორიასა და  
გეოგრაფიაში/.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მოთხრობანი საქართველოს ისტორიიდან

1/ პირველი მეფე საქართველოსი ფარნაოზი. 2/ პირველი  
ქადაგება ქრისტიანობისა საქართველოში, წმინდა ნინო ქართველთ  
განმანათლებელი. ჯვარი ვაზისა. 3/ ვახტანგ გორგასლანი. აღზრდა  
და ოსეთზედ გალაშქრება. ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასთან. გამარ-  
ჯვება სპარსეთზედ და გალაშქრება ინდოეთზედ. შინაური წარმატება  
საქართველოსი. უკანასკნელი ბრძოლა სპარსეთთან და სიკვდილი  
ვახტანგისა. 4/ დავით აღმაშენებელი. ასვლა სამეფო ტახტზედ  
და განახლება საქართველოსი. კახეთის შემოერთება და გიორგი  
ჭყონდიდელი. ბრძოლა თურქებთან. გარეშე ქვეყნების დაპყრობა.  
სამუდამო ჯარის დაწესება და სიკვდილი დავითისა. 5/ თამარ მეფე.  
მნიშვნელობა თამარისა და ტახტზედ ასვლა. პირველი ქორწილი  
თამარისა და დამარცხება თურქებისა. მეორე ქორწინება თამარისა  
და ბრძოლა პირველ ქმართან. სულთან ნუქარდინის დამარცხება,  
ტრაპიზონის იმპერიის დაარსება. სიკვდილი დავით სოსლანისა.  
დასჯა სპარსეთისა. აყვავება სარწმუნოებისა, მეურნეობისა და  
განათლებისა. სიმრავლე ქალაქებისა და მცხოვრებლებისა. ხარჯის  
სიმცირე. დიდება თამარისა და სიკვდილი.

**შენიშვნა:** 1895 წლის 23 აგვისტოს წარმოდგენილი პროგრამის  
მიხედვით ჩატარებულ გამოცდებს იბარებდა იმერეთის ეპარქიის  
სამრევლო სკოლებში შორაპნის საგამოცდო კომისიის წევრები:  
წინამძღვარი ა. ჩაჩანიძე, სამრევლო-საეკლესიო სკოლების მეთვა-  
ლყურე მღვდელი ა. ტყეშელაძე, მზრუნველი დ. აბაშიძე, საჩხერეს  
სოფლის სკოლის მასწავლებელი კ. ჩხეიძე, საჩხერეს ორკლასიანი  
სამრევლო სკოლის მასწავლებელი დამბაშიძე/.

1916 წ. 22 ნოემბერი. მიმართვა საქართველო-იმერეთის სინოდის კანცელარიისა ვლ. აბრამიშვილისადმი სავანის სამრევლო სკოლის შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 24 X 19/5 სმ. N 2049 17-62/21  
დარჩენილია კონვერტი წარწერით.

ვნახე სავანის სამრევლო სკოლა, ამ სკოლის საქმიანობა. მასწავლებელმა ქავთარაძემ მეცადინეობა დაიწყო ამ თვის პირველი რიცხვიდან. მიიღეს ბევრი ბავშვები, სახეზე... იყო 60. სულ სამი განყოფილებაა. მასწავლებელს უჭირს თავი გაართვას ამ რაოდენობის ბავშვებს.

1918 წ. 28 სექტემბერი. მიმართვა განათლების სამინისტროსი ყვირილის ორკლასიანი ქალთა სასწავლებლის გამგისადმი.

დედანი, ზომა: 17 X 21 სმ; N 9048 33-67/1.

საქართველოს რესპუბლიკა, განათლების სამინისტრო, სატეხნიკო და საპროფესიო მასწავლებელთა მთავარგამგე

1918 წ. 28 სექტემბერი, ქ. ტფილისი

ყვირილის ორკლასიან ქალთა სასწავლებლის გამგეს

ამით გაუწყებთ, რომ განათლების სამინისტრომ ნება დართო რწმუნებული თქვენდამი ორკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდეს საპროფესიო სასწავლებლად. ამასთანავე გაცნობებთ, რომ წელს მთავრობა არაერთარ ხარჯს სასწავლებლის შენახვაში არ გაიღებს გარდა იმისა, რასაც დღემდე იღებდა ორკლასიანი სასწავლებლისადმი მხოლოდ მომავალ 1919 წ. 1 სექტემბრიდან იქნება ახალ ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი.

მთავარგამგე თაქთაქიშვილი

1857 წ. აპრილი. თხოვნა სპირიდონ აბრამიშვილისა იმერეთის ეპისკოპოსისადმი ს. არგვეთის ღვთისმშობლის ეკლესიაში მისი მღვდლად განწესების შესახებ. დედანი: ზომა: 22,5 X 17 სმ; N 3499 3-63/4

მისს ყ-დ უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს და კავალერს გერმანეს

ქუთაისის კათედრის სობოროს მედავითნის სპირიდონ აბრამიშვილისაგან

### თხოვნა

მორთმეულის ჩემ მიერ, თქუენის ყ-დ უსამღვდელოესობისადმი თხოვნისამებრ ხელდასხმისათვის ზოდის წ-ის გიორგის ეკლესიის სახელზედ შესდგა საქმე და გამოკვლევა, რომელთამებრ არავითარი დაბრკოლება დაკმაყოფილებისადმი იმა ჩემისა თხოვნის არ იხედებოდა. გარნა თქუენმა ყ-დ უსამღვდელოესობამ სათნოთ იჩინეთ ხელდასხმა მის მრევლზედ მღვდლად მღვდლის ძის ს. ქველადისა. ხოლო მე დავმთი აქამამდე უადგილოთ ვითმენ რა დიდსა იწროებასა სიძვირისა გამო საზრდელთა და ამით იძულებული განმეორებით ვბედავთ წყენას თქუენის ყ-დ უსამღვდელოებისა და უმორჩილესად ვითხოვ კეთილ ინებოთ ხელდასხმა ჩემი მეორე მღვდლათ სოფელს არგვეთის ღვთის მშობლის ეკლესიაზედ, სადაცა ყოველთვის მდგომარეობდნენ ორნი მღვდელნი სიმრავლისა გამო მრევლთა, რომელიცა შეიცავის ასოცდაორი კომლნი, ხოლო დღეს მდგომარეობს ერთი მხოლოდ მღვდელი და იგიცა ღრმა მოხუცებულობასა შინა...

ჩენზ-სა, აპრილის...

1867 წ. 27 მაისი. თხოვნა საეკლესიო ყმებისა გაბრიელ ეპისკოპოსისადმი პატარა ვანის ბოძების თაობაზე. დედანი, ზომა: 22 X 17 სმ. N 3391 36-62/569

მის მძალ უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს გა-  
ბრეილს!

არგუეთის უჩასტკის სოფელს რკვიას მცხოვრებთ საქმეცნობი  
ყმებთ დათია კიკოლას ძის ოტიაშვილისა, ეგნატა სვიტონის ძის  
ტაპატაძისა, გოგია პეტრეს ძის მანჯავიძისა, ლევანა პეტრეს ძის  
ხვედელიძისა, ზურაბა ეგნატეს ძის, დათია ზაქარის ძის, გოგილო  
და მამუკა ბერიკის ძეთ მოღებამებთაგან ყ-დ უმორჩილესად

## თხოვნა

ჩუენ ვართ საეკლესიონი ყმანი კაცხის მონასტრისანი შვიდი  
კომლნი კაცნი, მწირე და მოუცემელს ადგილზედა მყოფნი. ჯერ  
პირველიდგან არა იყო რა და მერმეთ ეხლა სულ აღარ მოდის რა  
თვინიერ მამულისა და რამდენი წელი არს, ისიც აღარ მოგვდის  
სენისა გამო მამულისა და შევიქენით მიდრეკილ ესრეთის ჩუენის  
სიღარიბით და ვსყიდულობთ საზრდოს ვალით ვითარცა ქალაქშიდა  
მცხოვრებნი; და ეხლა ველარა ვპოვეთ ვერავითარიმე ღონისძიე-  
ბით საშუალება; და მოვაწვევინებთ თქუენის მეუფებისადმი, რომელ  
გარდმოგვივლინო მოწყალებანი თქუენის მეუფებისანი და გვიბოძეთ  
ვანის მონასტერს პატარა ვანი, რომელიც დღეს გაუცემელი არის  
თქუენის მეუფებისაგან. ამას ზედა ყ-დ უმორჩილესად ვსთხოვთ და  
კვლავად ვსთხოვთ თქუენს მეუფებას, რომელ კეთილ ინებოთ და  
მიიღოთ ხვთაებრივი მოწყალებანი და გვიბოძოთ ზემოხსენებული  
პატარა ვანი და გამოგვიხსნა ესრეთის ჩუენის შეიწროებულის  
სიღარიბისგან მეუფეო.

არზა ესე დავსწერე შავათ და თეთრეთაც გარდავსწერე სი-  
ტყვითა მთხოვნელთაგან მურმან ნიორამემ ჩყზ წელსა, მაისის კზ  
დღესა.

1867 წ. 1 ოქტომბერი. მოწმობა, ქორწინებაზე ნებართვის შესახებ, გაცემული სოფ. ჭორვილას მაცხოვრის ეკლესიის მღვდელის მიერ. ლენინი. ზომა: 18 X 11 სმ; N 3641 11-63/44.

### მოწმობა

ესე მიეცა სულიერსა მოწაფესა ჩემსა, სოფელს ჭორვილას მცხოვრებელს, ყმას გიორგი პავლეს ძეს მჭედლიძეილს მას შინა, რომელ ესე გიორგი არის მართლმადიდებელი სარწმუნოების, აღსარებისა, ანბობს ყოველს წელს აღსარებას და ეზიარება წმიდათა საიდუმლოთა აღსარების მთქმელთა სიისამებრ. სჩანს კზ-ის წლისა. განმზადებულ არის შესვლისათვის სჯულიერსა ქორწინებასა შინა და ჩემის მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ აქვს.

ნებას ვაძლევ სულიერი მოძღვარი ამისი. ამას ვამტკიცებ საკუთარი ხელის მოწერითა და დასხმითა და საეკლესიოსა ღერბისათ სოფელ ჭორვილის მაცხოვრისის ეკლესიის მღვდელი ანტონ ნადირაძე.

ჩყზ-სა წელსა ოკტობრის ა-სა.

1868 წ. 20 ივნისი. გამოხმაურება პოლკოვნიკის ნესტორის, პორუჩიკის მიხეილის, პრაპორშჩიკის დავითის, პაპუნა, სიმონ და გიგო წერეთლებისა.

ასლი, რუსულ ენაზე, ზომა: 25 X 22 სმ; N 3360 36-62/538.

მომრიგებელი მოსამართლისადმი

სოლომონ II-ის სიგელის მიხედვით, შემდგომ დამტკიცებული 1824 წ. სენატის მიერ, ქუთაისის საგუბერნიო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე 1866 წ. სენატის მიერ დამტკიცდა, რომ მღვიმის მონასტერი, მასზე მიწერილი გლეხებიანად წერეთლების საკუთრებაა და დღევანდელი კანონით გლეხებმა მათ წინაშე თავიანთი მოვალეობანი უნდა შეასრულონ.

1868 წ.

1868 წ. 3 აგვისტო. მოწმობა, გაცემული ვლადიმერ აბრამიშვილის სახელზე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში შესვლაზე თანხმობის შესახებ.

დედანი. ზომა: 17 X 22 სმ; N 3603 11-63/5.

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

### მოწმობა

მეცა ესე სოფელსა არგვეთს მცხოვრებელთაგანს ვლადიმერ სპირიდონ მღვდლის ძეს აბრამიშვილს, მას შინა რომელ იგი, ვლადიმერ სწარმოებს სასულიეროსა წოდებისაგან და არს ძე მღვდლის სპირიდონ აბრამიშვილისა, რომელსაც არა აქვს დამაბრკოლებელი მიზეზი შესვლისათვის ქუთაისის სასულიეროსა სასწავლებელსა შინა ჩემის მხრივ. მას ვამოწმებ ხელის მოწერითა ჩემითა და სხვითა საეკლესიოს ღერბისათა

ჩყზ წელსა, აგვისტოს გ-ს დღესა ბლალოჩინი იოანე აბაშიძე

1869 წ. 23 ნოემბერი. მიმართვა წინამძღვარ იოანე აბაშიძისა არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისადმი, ა. შეყვლაშვილის დიაკვნად განწესების შესახებ და აძლიონ „მრევლთაგან ცამეტი კომლის სარგებლობა ანგარიშისამებრ ყოვლის შემოსავლისაგან“.

დედანი, ზომა: 18 X 11 სმ; N 3629 11-63/32.

კრებულს არგვეთის წმ. გიორგის ეკლესიისას!

განკარგულებით ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისათა განწესებულ არს მეორე პრიჩეტნიკად რწმუნებულს თქუენდამი არგვეთის წმინდის გიორგის ეკლესიასა ზედა ანტონ დიმიტრის ძე შეყვლაშვილი, რასა ზედა წინა დაგიდებთ თქვენ მიღებულ იქნეს იგი და აძლევდეთ მრევლთაგან ცამეტი კომლის ანგარიშისამებრ ყოვლის შემოსავლისაგან და იგი თანამდებ არს აღსრულებდეს თავისსა მოვალეობასა.

კვ-ს ნოენბერს, ჩყთ-ს წელსა

1873 წ. 13 აპრილი. ქვითარი დრამის მიღების შესახებ. დედანი.  
ზომა: 21X7სმ. №837 26-59/35.



### კვიტანცია

მიეცა ესე მერვეის საზოგადოების სტარშინის პომოშნიკს, ლუ-  
არსაბ ცუცქირიძეს მას შინა, რომელ ამა მდგომარე წლის ნახევარი  
წლის დრამა ჩემი პრიხოდის, სვერს მცხოვრებთაგან კომლობის  
ანგარიშისამებრ, ოცდაცხრამეტი მანეთი მივიღე, რომელსაც ვაძლეე  
ამა კვიტანციასა ხელის მოწერითა ჩემითა და დასხმითა საეკლესიო  
ღერბისათა.

*ბლალოჩინი გრიგოლ მღვდელი წერეთელი  
ჩყვ-ს წელს, აპრილის ივ-ს დღესა.*

1875 წ. ანგარიში — „შემოსულს, დახარჯულს და დანარჩენ ფულე-  
ბზე, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, შემოტანილს ეპარხიის  
სამღვდელოებიდან, ეკლესიებიდან, მონასტრებიდან და სხვა პირებიდან  
1875 წლისა“.

დედანი, დავთარი /8 ფურცელი/, ნაბეჭდი. ზომა: 34 X 21 სმ; N  
5072 8-64/140.

1876 წ. 3 აპრილი. პირადი წერილი ნესტორ წერეთლისა იმერეთის  
ეპისკოპოს გაბრიელისადმი.

დედანი, ზომა: 13 X 11; N 8996 102-66/48.

ყ-დ სამღვდლო ბატონო გაბრიელ!

დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენგან ნაწყალობელი ჯვრი-  
სათვის. ჩემი ნაქონიც რომ არ იყოს, მაინც რადგანაც თქუენი  
ნაბობები ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ანდერძით დავიბარებ, რომ  
თან ჩამატანონ, ვითარცა ძეგლი თქუენგან ბობებული. ჯვარს ან  
ამისთანას გავაკეთებინებ, ან სხვას ოქროსას მოგართმევ.

პელაგია დიდ მადლობას მოგახსენებს. ორივ ღმერთს ვსთხ-  
ომთ მრავალს დღესასწაულს მივებებოდეთ და ხვალინდელ დღეს

თქუენტვის მომელოცნოს არხიეპისკოპოსობა. ამასთანავე, გთხოვ  
ჩემგან მიიღოთ პატარა ბარომეტრი, რომელიც ძალიან კარგათ  
აჩვენებს. ვსასობე თქუენს მარჯვენეს და გთხოვ გახსოვდეს თქუენი  
მორჩილი მოსამსახურე.

ნესტორ წერეთელი  
3 აპრილი, 1876 წელი, ქუთაისი

1877 წ. 11 ნოემბერი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა  
დეკანოზ ი. აბაშიძისადმი პ. კუტალაძის არაღამაკმაყოფილებელი ცოდნის  
გამო მედავითნედ მის დანიშვნაზე უარის თქმის შესახებ.

დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22 X 17,5 სმ; N 2037 18-62/9

წინამძღვარ, დეკანოზ იოანე აბაშიძეს!

გაცნობებთ თქვენ, გლეხს პავლე კუტალაძეს გამოუცხადოთ,  
რომ სპეთის მაცხოვრის ეკლესიაში მედავითნის ადგილის თხოვნაზე  
ჩემგან უარი ეთქვას მისი არაღამაკმაყოფილებელი ცოდნის გამო.

გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა  
1877 წ. 17 ოქტომბერი

1877 წ. 15 ნოემბერი. მიმართვა ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღვარ  
იოსებ ვაწაძისადმი ახლად ნაკურთხი სემინარიელის მრევლში შეყვანისა  
და მისთვის შემწეობის აღმოჩენის შესახებ.

დედანი. ზომა: 22 X 17 სმ; N 9000 102-66/52.

მ. ბლალოჩინ იოსებ ვაწაძე!

ეს ახალი ნაკურთხი სემინარიელი თვით თქვენ პირად შეიყ-  
ვანეთ მრევლში. შეაგონეთ სკოლას, რომ პატივი სცენ, ისმინონ.  
თქვენი მხრით ყოველი შემწეობა მიეცით. ახლა მას ესაჭიროება  
ფული. მიეცით სესხი ერთი ტრეტის ჯამაგირი და მერმე გამოუ-  
რიცხეთ. მერმე შეაგონეთ მრევლს, რომ სკოლა გახსნას, ბავშვებს  
ასწავლის.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა  
1877 წ. 15 ნოემბერი



თუ შკოლას რამე დარჩა წიგნები, ან სხვა, ჩააბარეთ, თუ გერსამოს დარჩათ, გამოითხოვეთ.



1879 წ. 31 დეკემბერი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღვარ, დეკანოზ ი. აბაშიძისადმი.

დედანი. რუსულ ენაზე. ზომა: 22 X 17 სმ; N 3242 36-62/420

თქვენი საწირამძღვროს სოფ. ჭორვილას მცხოვრები, მღვდლის შვილი, ზაქარია წიქვაძე, თქვენი თხოვნის თანახმად, გამოცდის შემდეგ გავამწესე მერჯევის წმ. სამების ეკლესიის მედავითნედ, რის შესახებაც გაცნობებთ.

გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა  
13 დეკემბერი, 1879 წ.

1880 წ. 5 ოქტომბერი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღვარ, დეკანოზ იოანე აბაშიძისადმი, რათა მღვდელმა ა. კურცხალიამ ქუთაისის სასულიერო სემინარიის სასარგებლოდ სასწავლებლის მმართველობაში დროულად გადაიხადოს 15 მან.

დედანი, რუსულ ენაზე. ზომა: 18 X 22 სმ; N 4627 25-63/18.

1885 წ. 11 თებერვალი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღვარ, დეკანოზ იოანე აბაშიძისადმი.

ზომა: 22 X 18 სმ; N 3407 36-62/585

ბლალჩინს, დეკანოზს იოანე აბაშიძეს!

მღვდელმა, მერჯევის წმ. გიორგის ეკლესიისა გიორგი წიქვაძემ მომახსენა მე, რომ მას მოხუცებულობისა და თავისი სწეულების გამო, აღარ შოუძლია თვისი თანამდებობის აღსრულება და მთხოვა მე, მის ადგილზე ხელდამესხა მღვდლად მისი შვილი ილარიონი. გაცნობებ რა ამაზე, მოგიწერ გამოუცხადოთ მთხოვნელს მღვდელს წიქვაძეს, რომ მან შეაგონოს მის შვილს, მოიქცეს ისე, როგორც მე მას გამოუცხადე სიტყვიერად. ახლავე შევიდეს სასულიერო სამსახურში, გახსნას საეკლესიო შკოლა მამისავე მრევლში

და მე მასთან მედავითნედ დავნიშნავ, რაზედაც მან ხელახალი  
თხოვნა უნდა შამოიტანოს ჩემთან.

გაბრიელ ეპისკოპოსის იმერეთის  
11 თებერვლის 1885 წელს

1885 წ. 4 თებერვალი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა  
იოვანე აბაშიძისადმი ი. წერეთლის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.  
დღიანი. ზომა: 22 X 17 სმ; N 3409 36-62/567

ბლალოჩინს, დეკანოზს იოვანე აბაშიძეს!

ამით გაცნობებ თქვენდა საყურადღებოდ და ჯეროვნის თქვენის  
მხრით განკარგულებისათვის, რომ პრინციპი არგვეთის წ-ის  
გიორგის ეკლესიისა ილია წერეთელი მე დავითხოვე თავის თანა-  
მდებობიდან, რადგან მან, როგორც თვით გამოტყდა, დიდი ხანი  
დაჰყო ქ. ქუთაისში, გარეშე თვისის სამსახურისა. თქვენ კი ამა  
საგანზედ მოუხსნელობისათვის დაშტრაფული ხართ ათი მანეთით,  
რომელი ფულიც უნდა წარმოუდგინოთ სამზრუნველოს ხაზინადარს,  
დიაკონს ისიდორე ნადირაძეს.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა

1887 წ. 16 იანვარი. ხელწერილის მიღების დასტური დეკანოზ ი.  
აბაშიძისა საჩხერის საავადმყოფოსა და სკოლისათვის საჭირო ფულადი  
დახმარების გაწევის შესახებ.

დღიანი. ზომა: 11X18 სმ; N 3510 3-6/15

1887 წელსა, იანვრის 16-ს დღესა მივიღე მღვდელ სპირიდონ  
აბრამიშვილისაგან საჩხერის ლოშიტლის შესაწევნელი ფული და  
მასთან კლასის შესაწევნელი, მისდამ შესახვედრი 1886 წლის  
თუთხმეტი მანეთი და თორმეტი კაპიკ ნახევარიც, რომელიც სემი-  
ნარიის სასწავლებლის პრავლენისაგან გამოერიცხა ჯამაგირშიდ  
და მისგან კლასის ნელომკა მასზედ აღარ დარჩება წარსულის  
წლებისა 1887 წლის იანვრის პირველ რიცხვამდე.

ბლალოჩინი, დეკანოზი იოვანე აბაშიძე.

1887 წ. 29 აპრილი. ხელწერილი ვექილ გ. შარაშიძისა, იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისაგან წყლის გასაყვანად საჭირო შემოწირული ფულის მიღების შესახებ.

დედანი. ზომა:23X18 სმ; N 8982 102-66/34



1887 წელსა აპრილის 29 დღესა მივიღეთ ქვემოთ ამის ხელის მომწერლებმა ყ-დ საღვდელო იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელისაგან მის მიერ შემოწირული ექვსასი /600/ მანეთი, მდინარე ნატანების შტოს ბახვზედ გამოყვანისათვის, გარდასაცემად წყლის გამოყვანაზე არჩეული ვექილებისადმი.

ერთი ვექილთაგანი გაბრიელ შარაშიძე.

1890. 24 ოქტომბერი. მიმართვა წინამძღვარ, დეკანოზ იოანე აბაშიძისა თავის მოადგილის აბ. ტყემალაძისადმი მღვდლებს შორის ვალის დაბრუნების თაობაზე. დედანი; ზომა:22X17,5 სმ; N 5075 8-64/143

წერილებს მათის ყ-დ უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოსის და კავალეროსნის გაბრიელისას 15 ამა ოკლონბრის რიცხვით, N 3156 გარდავსცემ თანაშემწესა ჩემსა, მღვდელს აბესალომ ტყემალაძეს. ამასთანავე შიგ დებულს საჩხერის ოტდელის მიროვონის სუდის ისპოლნიტელნი ლისტსა N 3431, შესახებ გარდახდევინებისა მღვდლის იოსებ იაკობაშვილისაგან მართებულის მისდამი მღვდლის პავლე სხირტლაძის ოცის მანეთისა. წარუწერ მამა აბესალომ ტყემალაძეს, ისპოლნიტელნი ლისტი, რომელიც ამასთანავე ეგზავნების, მოიყვანოს სისრულეშიდ მით, რათამცა მეოთხედი ნაწილი შესახვედრი ხსენებული მღვდლის იაკობაშვილისადმი, დრამის ფულიდან გამოერიცხოს მეოთხედი ნაწილი და დააკმაყოფილოს მღვდელი სხირტლაძე... შემდგომ აღსრულებისა საქმე ესე მომიბრუნოს ზედ წარწერით.

ბლალოჩინი, დეკანოზი იოანე აბაშიძე  
1890 წ. ოკლონბრის 24სა დღესა.

1892 წ. 5 თებერვალი. მიმართვა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელისა წინამძღვარ, დეკანოზ ი. აბაშიძისადმი ნ წერეთლის სასახლის ეკლესიის შესახებ. დედანი. ზომა:22X17 სმ; N 3821 11-63/224



ბლალოჩინს, დეკანოზს იოანე აბაშიძეს

საჩივრისა გამო პარუჩიკის ნიკოლოზ ივანეს ძის ჩამადანოვის მეუღლის დარია ჩამადანოვისა მათი იმპერატორებითის სახელზე, მოგიწერ თქვენ დაუყოვნებლივ მომახსენოთ მე: 1/ გაყიდეთ თუ არა ნესტორ წერეთლის ხის ეკლესია. თუ არ გაგიყიდნიათ, შეაჩერეთ მისი გაყიდვა ახალ განკარგულებამდის. 2/ რა ზომისა არის ეს ეკლესია და ვარგა თუ არა ეხლა წირვა-ლოცვისთვის და სად ინახება ეხლა ამ ეკლესიის წიგნები. 3/ ხსენებულმა ჩამადანოვმა დაუთმო რამე ადგილი ახლად გახსნილ საჩხერეში ორკლასიან სასწავლებელს თუ არა. თუ დაუთმო უფასოდ, სად სახელდობრ და რამდენი სივრცით. 4/ გაყიდა თუ არა იმ ჩამადანოვმა რომელიმე ნაკვეთი მიწა იმა ნესტორ წერეთლის დარჩენი ადგილიდან, რომელიც მან, ჩამადანოვმა იყიდა. თუ გაყიდა, სად და რამდენი სივრცით. 5/ მართლა აპირებდა თუ არა ის ჩამადანოვი ხსენებული ეკლესიის და მისი წიგნების გაყიდვას თავის სასარგებლოდ და ვის ევაჭრებოდა ამაზე სახელდობრ და რაისათვის არ მოხდა გაყიდვა და ნ/ სად სცხოვრობს ეხლა ის ჩამადანოვი ოჯახობით, მად, ნესტორ წერეთლის სასახლეში თუ სამსახურს ადგილს თფილისში.

გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა  
5 თებერვალი, 1892 წელსა

უთარილო. მიმართვა წიგნთსაცავის მზრუნველი კომიტეტისა ქუთაისის საზოგადოებისადმი, ეპისკოპოს გაბრიელის პატივსაცემად დაარსებული სამკითხველოსათვის საჭირო შემოწირულებათა შეგროვების შესახებ. პირი, ზომა:35X22 სმ; N 9049 33-67/2

ქუთაისის საზოგადოებამ, ნიშნად ნეტარხსენებული იმერეთის ეპისკოპოზის გაბრიელის პატივისცემისა, დაარსა ქუთაისში წიგნსაცავ-სამკითხველო და აურჩია მას მზრუნველი კომიტეტი,

რომელმაც თავიდანვე განიზრახა ამ ძვირფასი და საზოგადოებრივ დაწესებულებისათვის სამუდამო ბინათ საკუთარი შენობა აეგო, რასაც სცნობდა ერთ აუცილებელ პირობათ საქმის წახალისებისათვის. ამ აზრით კომიტეტმა სთხოვა ქალაქის გამგეობას უსასყიდო-ლოთ ადგილის დათმობა. ქალაქის გამგეობამ სიამოვნებით მიიღო კომიტეტის თხოვნა და ფრანგების მოედანზე დაუთმო მას საჭირო ადგილი. კომიტეტმა დაამზადა შენობის პლანი, რომელიც აქვე დახატულია და შეუდგა მუშაობას იმ იმედით, რომ საზოგადოება არ დაიშურებს ამ კეთილი საქმისათვის შეწირულებას.

კომიტეტის მიზანია კარგად მოაწყოს წიგნსაცავ-სამკითხველო და მიაწოდოს საზოგადოებას გონებრივი საზრდო, ამავე დროს თვით შენობა ჰყოს ძეგლათ იმ დიდებული მამულიშვილისა, რომლის ხსენებაც ყველასათვის ძვირფასია და მომავალი თაობისათვის ანდერძით გადასაცემი. თანაც ლამაზი და კოხტათ აგებული შენობა შეემატოს ქალაქს, რაც იქნება მისი დამამშვენებელი. კომიტეტს იმედი აქვს, რომ ყოველი შეგნებული წევრი ჩვენი საზოგადოებისა თავირსი შეწირულებით მონაწილე გაუხდება ამ საშვილიშვილო საქმეს და თავის სახელს აღბეჭდავს მასში. ამ რწმენით აღჭურვილი კომიტეტი მიმართავს საზოგადოებას და სთხოვს თავის შეწირულობა შემდეგი მისამართით მოგვაწოდოს: ქ. ქუთაისში ელენე კონსტანტინეს ასულს ჯინოშვილისას. კოზაკოვის ქუჩა, სახლი ანანიაშვილისა.


კომიტეტის თავმჯდომარე ელენე კონსტანტინეს ას. ჯინოშვილისა. კომიტეტის წევრნი /ხელს აწერს 14 კაცი/.

**1892 წ. 4 ივნისი. მიმართვა ეპისკოპოს გაბრიელისა ა. ჩაჩანიძისადმი ორღულის ეკლესიის მღვდელისათვის პენსიის დანიშვნის შესახებ. დედანი, ზომა: 22X17,5 სმ; N 5113 8-64/181**

ორღულის ეკლესიის მღვდელს გრ. იაკობაშვილს

გაცნობებთ რა, რომ ყ-დ სამღვდლო იმერეთის ეპისკოპოსის მოწერილობით 1 ივნისიდან ამა 1892 წლის N თქვენ ლათხონილი ხარო შტატგარეთ 24 მაისიდან ამავე წლისა. მოგიწერთ რათა დაუყონებლივ წარადგინოთ იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში

ორი ოთხ აბაზიანი მარკა, წინამძღვე შემთხვევაში თხოვნა თქვენს პენსიის თაობაზე იქმნება დატოვებული უყურადღებო.

4 ივნისი 1892 წ.   
ბლალოჩინი, მღვდ. ზბ. ჩაჩანიძე.

1892 წ. 20 ივნისი. მოხსენება ს. ჭალის წმ. გიორგის ეკლესიის მღვდლის ა. კურცხალიასი, წინამძღვარ, მღვდელ ა. ჩაჩანიძისადმი, მე-დავითნე ზ. აბაშიძის მიერ თავის მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შესახებ. დედანი, N 5153 8-64/221

მისს მაღალკურთხევას ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს

ს. ჭალის წმ-ის გიორგის ეკლესიის მღვდლის ალექსი კურცხალიასი

### რაპორტი

კარგათ უწყის თქვენმა მაღალკურთხევამ, რომელ თანდათან მეტი მოთხოვნილებები ითხოება ეკლესიის მრეულთაგან, რომლისათვის დიდი საჭირო არის პრიჩეტნიკი ასრულებდეს თავის მოვალეობას რიგიანათ. გარნა პრიჩეტნიკი ჩემი, ზაქარია აბაშიძე, არათუ იქცევა თავის მოვალეობისამებრ, არამედ მამღვეს ბევრს დაბრკოლებას: პირველად მისთვის, რომ იგი არის მარტო სული კაცი და დაიარება თავის ოჯახის საჭიროებისათვის ნიადაგ და მე ვასრულებ მღვდელმოქმედებას უკრებულოდ, რომელზედაც დათხოვნილი ვართ უპრიჩეტნიკოთ შევასრულოთ მღვდელმოქმედება. მეორედ, როგორც თავის მოვალეობისად არის დაუდევნელი, ისე სწავლითაც არის ძლიერ სუსტი.

ესრეთი მისი დაუდევნელობა თუმცადა მე ბევრჯელ ვამხილე, მას და თქვენმა წინა მოადგილემაც უბრძანა ხოლმე, რომ რიგიანათ შეესრულებინა თავის მოვალეობა, მაგრამ არა ვითარმა შეგონებამ აი იმოქმედა მასზედ. ამას წინეთ თქვენც მოგახსენეთ სიტყვიერად მისი დაუდევნელობა. მოვაწვევინებ რა ამ გარემოებას

თქუენი მაღალკურთხევისადმი და ვითა რომ მორჩილად ნუ ვიქმნები მისგან ნიადავ დატანჯული, წარადგინოთ ვისდამიც ჯერ იყოს ან გაასწოროს თავისი შეცდომები და ან იქმნეს დათხოვნის ნებართვის თანამდებობისაგან, რომლის ადგილზედ იქმნეს ვინმე ვინმე და შეძლოს თავის მოვალეობის შესრულება რივიანათ.

სოფლის ჭაღის წ-ის გიორგის ეკკლესიის მღვდელი ალექსი კურცხალია

1892 წლის ივნისის 3

1892 წ. 6 აგვისტო — მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღვარ, მღვდელ აბესალომ ჩაჩანიძისადმი მღვდელ იაკობაშვილის შტატგარეშე დატოვების მიზეზის გამორკვევის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17,5 სმ; N 5081 8-64/149

წინამძღვარს, მღვდელ აბესალომ ჩაჩანიძეს.

როგორც დეკანოზ აბაშიძის დროინდელი, 1891 წლის სამრევლო უწყებიდან ჩანს, ორღულის ეკლესიის მღვდელი გრიგოლ იაკობაშვილი 1865 წ. 22 იანვარს შტატგარეშე იქნა დატოვებული, მაგრამ თუ რატომ, არ აუხსნიათ. ამიტომ რადგან ჩემს კანცელარიაში ამ საკითხის შესახებ არა მაქვს რა ნამდვილი ცნობა, თქვენ გატყობინებთ, რომ ზედმიწევნით გაეცნოთ თქვენი საწინამძღვროს 1865 წლის საქმეს და მოძებნოთ იქ ეს მიწერილობა. თუ რაიმე აღმოჩნდება, წარმოადგინეთ ასლი. თუ არა და სხენებულ იაკობაშვილს ჩამოართვით წერილობითი გამობმაურება, თუ 1865 წ. სახელდობრ იგი რატომ დატოვეს შტატგარეშე და ეს გამობმაურება დაუყოვნებლივ მე წარმომიდგინეთ.

გაბრიელი, იმერეთის ეპისკოპოსი

6 აგვისტო, 1892 წ.

1892 წ. 20 სექტემბერი. მოხსენება ქრისტესა ჩაჩანიძის ობლების  
აპეკუნისა. დედანი, ზომა:35,2X22 სმ; N 4528 21-63/20

მისს მაღალკურთხევას, ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ  
ჩანიძეს

აპეკუნის ქრისტესა ჩაჩანიძის ობლებისა ნინი ნიკოლოზის  
ასულის ჩაჩანიძის

## მოხსენება

წარმოვადგენ რა თქვენის მაღალ კურთხევის წინაშე ჩემდამო  
სააპეკუნო ქრისტესა ჩაჩანიძის ობლების შემოსავალ-გასავლის  
ანგარიშს 1890, 1891 და 1892 წლებისას, მაქვს პატივი მოვახ-  
სენო თქვენს მაღალ კურთხევას შემდეგი: 1) 1890 წელში ბლა-  
ლოჩინობის თანამდებობის აღმასრულებელმა მღვდელმა აბესალომ  
ტყემალაძემ ჩამომართვა მე აპეკუნობა ხსენებულის ობლებისა და  
ჩააბარა პრიჩეტნიკს საჩინო ივანეს ძე ჩაჩანიძეს, რომელმაც თავის  
აპეკუნობის დროს გამოიღო ობლების ადგილში სამი კუბური სა-  
ჟენი მარგანეცის ქვა, რომლის ანგარიში არავისათვის არ მიუცია  
და არც ობლებისათვის ურგებია რა. სინამდვილეს ამ ჩემ მიერ  
თქმულისას ახსნიან მახარა და ამირან ჩაჩანიძეები.

2) 1878-1880 წლებში ობლების აპეკუნათ იყო მღვდელი  
ალფეზ აბულაძე, რომლის აპეკუნობის დროს გაისყიდა ობლების  
ღვინო ნარიმან ჩაჩანიძაზე ოცი მანეთისა და ფასი მიიღო თვით  
მღვდელმა როგორც აპეკუნმა. გაისყიდა კიდევ ცხრა კოდი პური  
ცხრა მანეთად. ეს ფულებიც ობლების ბიძამ მახარა ჩაჩანიძემ  
გადასცა აპეკუნს მღვდელს ალფეზ აბულაძეს. სოფელს მღვიმევეში  
დაწინდებული მამულებიდან შემოვიდა თუთხმეტი კოკა ღვინო და  
ესეც ჩაბარდა აპეკუნს მღვდელს აბულაძეს და ამის შემდეგ გადის  
აგერა თორმეტი წელიწადი, რომ ობლებისათვის აღარც ფულია  
და აღარც ღვინო. შეირჩინა ესე ყველანი აპეკუნმა მღვდელმა ალ-  
ფეზ აბულაძემ, რადგან მომთხოვი ანგარიშისა აღარავინ აღმოჩნდა  
და აღარც კი არავის ელის პასუხის მომთხოვსა და 3) აქვე



აღნიშნავ იმასაც, რომ დღევანდელი აპეკუნი — დედა ხსენებული ქრისტესა ჩაჩანიძის ობლებისა რვა წელიწადს ვუვლიდი აკადემიკოს ქმარს, მოკვდა და დავმარხე. 18 წლის ვაჟი მომიკვდა და ისიც მე დავმარხე. ხუთი შვილი ღვითთ გავზარდე, რომლიდანაც ორი ქალი გავათხოვე და დღეს სამოცი წლის ქალი გავხდი და აღარ შემძლია ჩემის ობლების აპეკუნობა და ამისთვის ვსთხოვ თქვენს მაღალ კურთხევას ამ მოვალეობიდან განმათავისუფლოთ და დღეს როგორც შეუძლო ადამიანს ყურადღება მექნეს ჩემი შვილებიდანაც და ნუ დავრჩები სულ უნუგემოდ და ამასთანავე ვითხოვ მიაქციოთ ზემოთ ორს მუხლში ჩემ მიერ მოხსენებულს თქვენი ყურადღება და ნუ დარჩებიან საცოდავი ობლები ყველასაგან გასაწყლებულნი.

ქრისტესა ჩაჩანიძის ობლების აპეკუნი ნინო ჩაჩანიძისა

1892 წელსა ენკენისთვის 20 დღესა.

1) მახარა ჩაჩანიძემ აჩვენა 4 დეკემბერს 1892 წ. ჩვენი საზიარო წილში: ჩემსაში, ამირან ჩაჩანიძის წილში და ქრისტესას ობლების წილში ამოვიღეთ ცამეტი საჟენი მარგანეცი. თავის ანგარიშით, როგორც აპეკუნმა ობლებისამ, საჩინო ჩაჩანიძემ წაიღო მესამედი ანგარიში; ცხრა თუმანი ფული კიდევ გადასცა ობლებს ვასილის და ივანე ქრისტეს ძე ჩაჩანიძეს. დანარჩენი, რაც ერგება ობლებს, არ ვიცი:

2) პრიეტნიკმა ამირან ჩაჩანიძემ აჩვენა: მე ის ვიცი, რომ ცამეტი საჟენი მარგანეცი გამოვიღეთ საზიარო ქრისტესას ობლების მამულიდან, რომლიდანაც მესამედი ერგებოდა ობლებს ე.ი. ოთხი საჟენი და ერთი მესამედი. პრიეტნიკმა საჩინო ჩაჩანიძემ გვითხრა მე ვიცი და ობლებმაო, ანგარიში მომეცი მეო და მართლაც იმან წაიღო მესამედი ანგარიში ცამეტი საჟენისა. ჩვენ გვერგო თითო საჟენზე ექვს-ექვსი თუმანი. ასევე ერგებოდა ობლებსაც. პრიეტნიკი ამირან ჩაჩანიძე ...პრიეტნიკმა საჩინო ჩაჩანიძემ აჩვენა 9 დეკემბერს 1892 წ შემდეგი: მახარამ, ობლებს ქრისტესას და ამირან ჩაჩანიძეებმა გამოიღეს თავიანთი კუთვნილი ადგილებიდან მარგანეცის ქვა საზიაროთ; მახარა ჩაჩანიძე აძლედა ხოლმე ფულს მუშებს; სულ გამოიღეს თორმეტი საჟენი. მერმე საზიაროთ გადავიტანეთ ზესტაფონში და ფულის აღების შემდეგ კიდევ გავსწ-

მინდეთ ანგარიში. არ მახსოვს კარგათ საუენში რა მოუწია რვა თუმანი, თუ ცხრა. მე ქრისტესას ობლებს ჩემი ანგარიშით მივეცი ცხრა თუმანი ფული. დანარჩენი ანგარიში მახარა ჩაჩანიძის მიღებული ჩემგან, რომელმაც მისცა ვგონებ ობლებს.

პრიჩეტნიკი საჩინო ჩაჩანიძე.

**1892 წ. 20 სექტემბერი. ხელწერილი მედავითნეების გამოცდის ჩასაბარებლად იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში გამოცხადების შესახებ. დედანი, ზომა: 22X17,5 სმ; N 2042 17-62/14**

1892 ს წელსა, სექტემბრის 20 ს დღესა

ჩვენ, ქვემო ამისა ხელის მომწერნი, პრიჩეტნიკები ორლულის წმინდის გიორგის ეკკლესიისა მალაქია მაჭავარიანი და დავით იაკობაშვილი ვსდებთ ამა ხელწერილს თქვენ, ბლალოჩინის მღუდლის აბესალომ ჩაჩანიძის წინაშე, მას ზედა, რომელ თანახმად მოწერილობისა მისის ყ-დ უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, ჩვენ უნდა გამოვცხადდეთ ოცის ოკტომბრის თვემდის იმერეთის საეპარქიო კანცელარიაში ეკზამენის მისაცემად მედავითნის თანამდებობის საგნებში. მას შინა ხელს ვაწერთ; მედავითნე მალაქია მაჭავარიანი,

მედავითნე დავით იაკობაშვილი.

მინაწერი: ხელწერილი ჩამოართვა წინამძღვარმა, მღვდელმა აბ. ჩაჩანიძემ.

**1892 წ. 21 ოქტომბერი – ქვითარი ვაცემული ტ. ანჯაფარიძის მიერ მღვდ. ანტონ კვაშილავასთვის მიწის მიყიდვის თაობაზე. დედანი, ზომა: 17 სმX10,5 სმ. N 5170 8-64/238**

### ქვითარი

1892 წელსა ოკატონბერს 21 დღესა, მე, ანჯაფარიძემ მივიღე ასორმოცდაათი მანეთი განცხადებული დღეის რიცხვში შემდგარ მოწერილობაზედ თქვენი მღვდელ ანტონ კვაშილავასაგან, ერთი

ნაკვეთი დაბორას სამი ქცევა და ნახევარი მიწის მიყიდვაზედ მას  
შინა ხელს ვაწერ ტიმოთე ანჯაფარიძე...

რომელ ამა კვიტანციაზედ უწერილობის გამო უწერილობის  
ჯაფარიძისა ხელი მოაწერა მიხეილ ანჯაფარიძემ, მას კემოწმები  
კიზიის საზოგადოების მამასახლისი.

1892 წ. 24 ოქტომბერი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღ-  
ვარ, მღვდელ ა. ჩაჩანიძისადმი დ. მოღებადის ცხმის ეკლესიაში მედავითნედ  
განწესების შესახებ. დედანი, ზომა:22X17,5 სმ. N 2043 17-62/15

წინამძღვარს, მღვდელს აბესალომ ჩაჩანიძეს

გაცნობებთ, გასცეთ განკარგულება იმის შესახებ, რომ სოფ.  
ცხამის მცხოვრების, მღვდლის შვილიშვილის დავით პავლეს-ძე  
მოღებადის, მისივე თხოვნის თანახმად, საჭირო საგნებში გამოცდის  
შემდეგ, მე დაუშვი ცხამის ეკლესიაში მედავითნეთ, იმ პირობით  
რომ ერთი წლის შემდეგ გამოცდას ისევ ჩააბარებს.

გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

24 ოქტომბერი, 1892 წ.

მინაწერი: ეცნობა ცხამის ეკლესიის მღვდელს მოღებადის  
მიღებაზე.

1892 წ. 24 ოქტომბერი

1893 წ. 29 დეკემბერი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა მღვდელ  
აბ. ჩაჩანიძისადმი მღვდ. გრ. იაკობაშვილის პენსიაზე წარდგენის შესახებ.  
დედანი, ზომა:22X17,5 სმ; N 5114 8-64/183

წინამძღვარს, მღვდელს ა. ჩაჩანიძეს

გაცნობებთ, ვისაც საჭიროა გამოუცხადოთ, რომ მღვდელი  
გრ. იაკობაშვილი საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის  
მეშვეობით, წმ. სინოდში ჩემს მიერ პენსიაზეა წარდგენილი 1893  
წ. 20 ნოემბერს.

გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

29 დეკემბერი, 1893 წ.

მღვდელს ირაკლი აბაშიძეს

გამოუცხადეთ მღვდელს გრიგოლ იაკობაშვილს, რომ იგი მათის

ყ-დ უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისაგან  
წარდგენილია პენსიაზე 20 ნოემბერს, 1893 წ.

10 იანვარი, 1894 წ.



1895 წ. 22 მარტი. მოხსენება მღვდელ ი. წიქვაძისა წინამძღვარ ა.  
ჩაჩანიძისადმი მერჯევის წმინდა სამების ეკლესიიდან ნივთების დაკარგვის  
შესახებ. დედანი, ზომა:22X17 სმ; N 8277 36-62/455

მისს მაღალ კურთხევას, ბლალოჩინს, მღვდელს აბესალომ  
ჩაჩანიძეს

მერჯევის წ-ის სამების ეკლესიის მღვდლის ილარიონ  
წიქვაძისაგან.

### რაპორტი

ამა 1895 წლის 13-სა დღესა რწმუნებული ჩემდამი მერჯევის  
წ-ის სამების ეკლესიის იკონოსტასის შესაკეთებლად და გასამშ-  
ვენებლად მერჯევის სოფლის აღრჩეულთ პირებმა დავიყენეთ  
პირობისამებრ მცხოვრების სოფელსა... გლეხი სოსო აბჟანდაძე,  
რომელმაც განაგრძო ეკლესიაში მუშაობა თხრამეტ ამა მარტის  
თვის რიცხვამდე, ხოლო დამით, ნაშუადამევს ხსენებულმა აბ-  
ჟანდაძემ გააპარა ჩვენდა დაუკითხავათ, ქურდულად აღსავლის  
სამეუფო კარები და სხვა იკონოსტასის მორთულობაც, რომელსაც  
არა ჰქონდა ნება ადგილიდგან ე.ი. ეკლესიიდან წაეღო როგორც  
ძვირფასი საკუთრება ნივთი და საუნჯე ამა ეკლესიისა, რომელიც  
ეკიდა ამ ხსენებულ ეკლესიაში სამი წელიწადი, დღიდან გაკეთებისა.  
ამისათვის ვაცნობებთ რა თქვენ მაღალკურთხევას და ვითხომთ  
ინებოთ ჯეროვანი განკარგულება და მიწერ-მოწერა სადაცა ჯერ  
არს, რომ ჩაგვბარდეს დაუყოვნებლივ საკუთარი ჩვენი ეკლესიის  
სამეუფო კარები და ის აბჟანდაძე ქურდული მოქმედებისათვის გა-  
დასცეთ დასასჯელად კანონისამებრ.

მღვდელი ილარიონ წიქვაძე  
1895 წელს, მარტის 22.

1895 წ. 22 აპრილი. მიმართვა გაბრიელ ეპისკოპოსისა წინამძღვარ, მღვდელ ა. ჩაჩანიძისადმი, მღვდ. ვლ. აბრამიშვილის არგვეთის ეკლესიაში გადაყვანის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17,5 სმ; N 5078 8-64/146

წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძეს  
თქვენ გწერთ ვლ. აბრამიშვილის სავანის ეკლესიიდან არგვეთის ეკლესიაში გადაყვანის შესახებ. სავანის მრევლი მთლიანად ჩააბარეთ აბრამიშვილის მოადგილეს მღვდელ სევასტი ქავთარაძეს. სემინარიელ ბ. კაპანაძესა და დიაკვან ზ. აბაშიძეს გამოუცხადეთ, რომ მათი თხოვნა სავანის მრევლის მათთვის მიცემაზე უშედეგოდ დარჩა.

გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა  
22 აპრილი, 1895 წ.

1896 წ. 19 თებერვალი. მიმართვა იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველის, ალავერდის ეპისკოპოს ბესარიონისა, წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძისადმი უნებლიე მკვლელის 5 1/2 წლით ეკლესიისათვის მოსანანიებლად გადაცემის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17,5 სმ; N 5114 8-64/182

წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძეს  
გადმოგცემთ 1896 წ. 20 იანვრის საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებას შორაპნის მაზრის, სოფ. ჭალის აზნაურ პეტრე ბაქრაძის ეკლესიისათვის 5 1/2 წლით, უნებლიე მკვლელისათვის მოსანანიებლად გადმოცემის შესახებ.

გატყობინებთ, თქვენ ეს ბრძანება შეასრულოთ ზუსტად და აღნიშნულ პირს, რაც საეკლესიო ეპიტიმიით დაეკისრა, ამის შესახებ გთხოვთ თავის დროზე ე.ი. 5 1/2 წლის შემდეგ, შემატყობინოთ, აღნიშნული ბრძანების უკან დაბრუნებით.

იმერეთის ეპარქიის დროებითი მმართველი ბესარიონი, ალავერდის ეპისკოპოსი.

19 თებერვალი, 1896 წ.

1896 წ. 30 ნოემბერი. მიმართვა საქართვეო კანცელარიისა წინამძღვარ, მღვდელ აბ. ჩაჩანიძისადმი დარყის ეკლესიაში მღვდლის განწესების შესახებ. დედანი, ზომა:22X17,5 სმ. N 2039 19-62/11

... 1896 წ. 25 ნოემბერს თანახმად სინოდალნი უქაზისა ამ მღვდელს მ. აბაშიძეს მიეცეს ახალი გამტატებული დარყის ეკლესია და მრევლი, ხოლო მთავარდიაკონი ზამბახიძე თუ ისურვებს იქმნეს გადაყვანილი ამავე ეკლესიაზედ მეღავითნის ადგილზე და მოუცადოს სადმე მღვდლის ადგილის დაცლას.

მდივანი ლოლობერიძე

მდივნის მოადგილე ლ. ჩაჩანიძე

მინაწერი: თანახმა არა ვარ, რაზედაც ამასთანავე წერილობითი ჩემი უარი იდგინების. მთავარდიაკონი ილარიონ ზამბახიძე. 1896-სა წელსა, დეკემბრის 8.

1899 წ. 19 ივნისი. მოხსენება მღვდელ აბ. ტყემალაძისა იმერეთის ეპისკოპოს ბესარიონისადმი საბუნიშვილების მიერ საეკლესიო მიწების მითვისების შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35X22,5 სმ. N 5156 8-64/224.

სავანის მცხოვრებმა, აზნაურმა იასონ ჯაფარიძემ ამ 1899 წ. 14 ივნისს შემოიტანა თხოვნა, სადაც ნათქვამია, რომ გლეხები რაჟდენ და მისი შვილები სანდრო და სამსონ საბუნიშვილები ცხოვრობენ სავანის წმ. გიორგის ეკლესიის გაღავანს შიგნით და არასამართლიანად ფლობენ ეკლესიის მიწას. ამ თხოვნის ჭეშმარიტების შესამოწმებლად მე ადგილზე ჩავედი 1899 წლის 4 ივლისს, მოვიწვიე აღნიშნული ეკლესიის მრევლი და გამოვკითხე ამ საქმის მდგომარეობის შესახებ. ჩვენებებიდან ნაწილობრივ გაირკვა და დამტკიცდა თხოვნის ჭეშმარიტება. იმავე რიცხვში აღნიშნულმა აზნაურმა თხოვნა შემოიტანა, სადაც თავისი საჩივრის დასამტკიცებლად მოწმეთა დაკითხვას მოითხოვდა.

ჩემის აზრით, რადგან ამ თხოვნის შესრულება ჩემს უფლებებს აღემატება, ამიტომ საბუთებს გიგზავნით, რათა თქვენი შეხედულებისამებრ გასცეთ განკარგულება.

1899 წ. 19 ივლისი

უთარილო. პირადი წერილი. ა. ტყემალაძისა მღვდელ ვლ. აბრამიშვილისადმი. დედანი, ზომა:21X13 სმ; N 2829 36-62/7



ძვირფასო ძმად ვლადიმერ! ვიცი გაკვირებული ხარ, რომ ვინაღაც დენი ხანი არა მოგწერე რა. დარწმუნებული ვარ ამას დავიწყებას არ მიაწერ, რაიცა ჩემგან, რომ კიდევ მოვინდომო, მოუხერხებელია. შემხვდა ცოტა რამ მიზეზი და იმედი მაქვს მაპატივებ დანაშაულობას. და, თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ წაკითხვით მაინც წაიკითხავ ამ წერილს. როგორც მახსოვს კილოკავათ მადვე გითხარი ჩემი ჰაზრი, მაგრამ გარკვევით კი არა მითქვამს რა, რადგან მეც არ ვიცოდი მომავალი რა გზას მიჩვენებდა, ან სად დამარჩენდა. ჩემი აქ წამოსვლის სურვილი აღძრა: 1) წინამძღვარიანთ კარის შკოლამ, სადაც საჭირო იყო და არის სხვა ცოდნის მქონე ადამიანი და 2) ჩვენმა მამულების უკან-უკან დახვევამ. აბა ვინ არის ჩვენში, სადაც ულატაკესი გლეხიც ვერ სძლებს უღვინოთ, ვინ არის რომ მათ უჩვენოს როგორ მოუარონ მამულს, რომ არ გამოეცალოსთ ხელიდგან წყარო ცხოვრებისა. აი, ამ ჰაზრმა მაიძულა, რომ ცოტა რამ გამეგო თურა მოეგვარება ჩვენს გაჭირვებულ მდგომარეობას. ვერ ვიტყვი, რომ მე მთელს სამშობლოს კი არა, მთელს ჩვენს მაზრასაც შევმატო რამე, მაგრამ ამას კი დარწმუნებით ვიტყვი რამოდენიმე პირს მაინც მოვეხმარები და ამასაც თავი დავანებოთ კაცო! ჩემთვის მაინც ვიქნები გამოსაღვეი. სულ ხომ მასწავლებლად არ ჩაკვდები. ასე, ჩემო კარგო! განვიზრახე შემესწავლა მეღვინეობა და მებაღეობა. თხოვნა მივეცი ილია წინამძღვარიშვილს, რომ ეშუამდგომლა სამინისტროში და დაენიშნათ ჩემთვის სტიპენდია. ეს ამბავი იყო წარსული წლის მაისში. ილიამ შეამაულობა გამიწია, მაგრამ პასუხი კი ვერ მივიღეთ. ერთი სიტყვით, ჯავრით არ ვიცოდი რა მექნა. წამოსვლა მაინც გადავსწყვიტე. ილია შეპირდა თვეში თუმანს გამოგიგზავნიო. თუმანი რას მეყოფოდა, მაგრამ მე მაინც არ შეუშინდი და წამოვედი. მგზავრობით კარგა ვიმგზავრე, ლელვა არ ყოფილა. ბათუმიდგან იალტამდის მოუნდით ოთხი დღე და ღამე. თან წამოვიყვანე ერთი შაგირდი, რომელმაც დაიკავა ეგზამენი და მიიღეს. მე კი მივედი ღირეკტორთან და განუცხადე სურვილი. იმან მითხრა: თხოვნა შამოიტანე და იქნებ მიგიღონო.

თურმე ამას არც კი ქონია ნება და მე არ ვიცოდი. გავვზავნეთ თხოვნა სამინისტროში. იქ შეიყარნენ ჩემი თხოვნა და ილიას თხოვნა სტიპენდიის თაობაზე, გადაკოცნეს ერთმანეთი და მინისტრს თავი დაუკრეს. მინისტრმა ხელმწიფეს მოახსენა. ამათ ისე ყვარებიან ერთმანეთი, რომ დაშორება არ შეიძლებაო. ხელმწიფეც კვერი დაკრა და მიმიღეს. ეს მოხდა 19 დეკემბერს. მანამდის, ვითომცა მიღებული, მეც დავდიოდი ლექციებზე, ბინათ ვიდექი ნაქირავებოთაში. ერთი ოთახი თავის შეშით (გათბობით) მიჯდებოდა თუმნათ. მე კიდევ იაფად ვიქირავე, მეტად ძვირია ბინა. ხარჯი ხომ სათქმელი არ არის. მარტოკა სადილი (ორი თავი) მიჯდებოდა თხოუმეტ მანეთად, ჩაი, შაქარიც კიდევ? სულ ცოტა სამი თუმანია საჭირო თვეში. როგორც მახარა თუ არა დირექტორმა მიგიღესო, იმ დღესვე გადავედი სახელმწიფო ბინაზე. სტიპენდია დამინიშნეს თვეში ოცდახუთი მანეთი. მასთან მომცეს ბინა, ბიჭი, შეშა და სანთელი. ბინა ისეთი გვაქვს, რომ ნეტა ამისთანა ბინაზე, როცა მასწავლებლათ ვიყავი, მაშინ ვყოფილვყო. სულ ვართ პრაკტიკანტები (პრაკტიკანტებად ვიწოდებით) 12 კაცი. ამასთან სამი სახელმწიფო ხარჯით, სამი საქველმოქმედო საზოგადოების ხარჯით. ამ ექვსს ერთად გვაქვს ბინა, ორს ერთი ოთახი, მასთან სასადილო ცალკე, სამზარეულო, საკუჭნაო და სხვა მორთულობა. კუხარკა გვყავს და სადილს ის გვიკეთებს. ჩვენ თვითონ მეკოჯახობთ. ჩვენი ფულის და კვალად შეგვიძლია კიდევ გავიუმჯობესოთ ხარჯი და კიდევ შევამციროთ. დანარჩენი ექვსი თავის ხარჯით არიან ნაქირავებო სადგომში. პრაკტიკანტებათ არიან უმაღლეს სასწავლებლების კურს შესრულებულებიც...

ასე ჩემო ძამია, ჩემი საქმე გამოკეთდა და იმედი არ გამიქარწყლდა... მეც არას შეუშინდი და ღვთით ჯერ კარგად მიდის ჩემი საქმე...

შენი ერთგული ძმა არქიპო ტყემალაძე...



1900 წ. 25 თებერვალი. ინსტრუქცია ეკლესიის მამასახლისის მოვალებების შესახებ. ნაბეჭდი რუსულ ენაზე. ასლი, ზომა 22X18 სმ; N 4543 22-63/9.

1) ინსტრუქციის მიხედვით მამასახლისი ფიცს ღებს 1850 წ. 28 სექტემბრის ბრძანების შესაბამისად. 2) ერთი ეგზემპლარი მამასახლისს ბარდება. 3) მას ევალება ეკლესიის მთელი ქონების, შემოსავალ-გასავლის წიგნების შემოწმება და აქტის შედგენა, ესწრებოდეს ყველა ღვთისმსახურებას, დროულად მოამარაგოს ეკლესია წმ. სანთლით, აღრიცხოს შემოწირულებანი. ეკლესიის თანხა სახლში არ შეინახოს, შეასრულოს თავის მოვალეობანი, მისი ოჯახის წევრები განთავისუფლდნენ სამხედრო ვალდებულებებისაგან და თვით მამასახლისი სხვა სამუშაოებისაგან. აირჩევა სამი წლით. გულითადი მუშაობისათვის, თუკი მას მეოთხედ აირჩევენ სამი წლით, დაჯილდოვდეს საეპარქიო ხელმძღვანელობისაგან.

1900 წ. 25 თებერვალი  
ეპისკოპოსი ბესარიონი.

1900 წ. 1 აპრილი. ფიცის ფურცელი. დედანი, ზომა 22X17,5 სმ; N 4543 22-63/10.

მე, ქვემოთ სახელწოდებული სტაროსტა, ალექსი თაბაგარი აღვსთქვამ წინაშე წმ. სახარებისა და ცხოვლის მყოფელი უფლისა ჯვარისა აღვასრულო ეკლესიის მნათის თანამდებობა ინსტრუქციისამებრ, ჩემდა მოცემულისა ბეჯითად, პატიოსნად, შიშითა ღვთისათა საეკლესიოდ წმ. ეკლესიისა და საცხოვრებლად ჩემი სულისა. მახსოვს რა, რომ ამაში პასუხი უნდა ვაგო კანონისა და უფლისა ღვთისა წინაშე, საშინელსა განსჯასა მისსა და დასამოწმებლად ამა ჩემი აღთქმის. ვემთხვევი სიტყვასა და ჯვარსა მაცხოვრისასა. ამინ.

1900 წელსა, აპრილის პირველსა დღესა  
სოფლის სარქველთუბნის ეკლესიის მღვდელი იაკობ გრძელ-  
იძე

1903 წ. 15 დეკემბერი. ხელწერილი გაცემული ი. ღამბაშიძისაგან მღვდელ ვ. აბრამიშვილისადმი სკების ღირებულების თანხის მიღების შესახებ. დედანი, ზომა:11X17 სმ; N 2859 36-62/37

1903 წელსა, დეკემბრის 15 დღესა, იასონ ხარიტონის ძე ღამბაშიძემ მივიღე თქვენ, მღვდლის ვლადიმერ აბრამიშვილისაგან ორმოცდარობი მანეთი ექვსი ძირი სკის ფასად, რომელიც იყიდეთ თქვენ საამხანაგო საფუტკრისათვის დეკანოზ იოსებ წერეთელს, მღვდელს ვლადიმერ კაპანაძეს და აბიათარ იაკობაშვილთან ერთად, რას შინა ჩემს საკუთარს ხელს ვაწერ იასონ ხარიტონის ძე ღამბაშიძე.

1904 წ. იანვარი – შემოსავალ-გასავლის წიგნის ფურცელი. დედანი, ზომა:34X21,5 სმ; N 4522 21-63/14

1904 წ. 14 იანვარი. მივიღე ჩხირაულის მნათესაგან საეპარქიო საქალებო სასწავლებლის გადასახადი. 6 მან. 10 კაპ. – 5% 1903 წლის შემოსავლისა. სამრევლო შკოლების სასარგებლოთ 2 მ. 45 კ. 1% იმავე შემოსავლის და იმავე წლის სამზრუნველოს სასარგებლოთ 43 კაპ. 1904 წლის საბლადოჩინო კანცელარიის ხარჯი 3 მ. 10 კ. სხვადასხვა საქველმოქმედო დაწესებულებათათვის 1 მან. და სრულიად 13 მან. 13 კაპ.

ბლადოჩინმა მღვდელმა ი. წერეთელმა.

1907 წ. 8 დეკემბერი. მოხსენება წინამძღვარ, მღვ. ვლ. აბრამიშ-  
ვილისა იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდესადმი მღვდლების ენქერით  
დაჯილდოვების შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე. ზომა 22X17,5 სმ; N 5109  
8-64/177

მის უწმინდესობას იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდეს წინამძღ-  
ვარ, მღვ. ვლ. აბრამიშვილის

### მოხსენება

ამასთან წარმოგიდგენთ ჩემდამი რწმუნებული საწინამძღვროს  
ენქერით დასაჯილდოებულ მღვდლების სიას: ნესტორ დევიძე,  
პარმენ ყიფშიძე და კაპიტონ სარალიძე და უმორჩილესად ვშუამ-  
დგომლობ თქვენი უწმინდესობის წინაშე, რათა ისინი დაჯილდოვდ-  
ნენ ენქერით, მათ მიერ ეკლესიისათვის სასარგებლო სამსახურის  
გამო.

1907 წ. 8 დეკემბერი

1908 წ. 25 ნოემბერი. მიმართვა ჩაჩხერის საწინამძღვრო ოლქის  
მღვდლებისადმი შეკრებაზე მოწვევის შესახებ დედანი, ზომა: 22X17 სმ;  
N 5094 8-64/162

მათ ღირსებას ჩაჩხერეს საბლალოჩინო მღვდლებს!

ამით წინადადებას გაძლევთ მომავალი თვის პირველ რიცხვს,  
ორშაბათს დილით ადრე ყველანი თქვენ-თქვენი პრიჩეტნიკებით,  
სტაროსტებით, საეკლესიო შემოსავალ-გასავალ წიგნებით და  
კრუშკებით მიუცილებლათ შეიკრიბოთ წელს ჩაჩხერის სამრევლო  
სკოლის შენობაში, სხვადასხვა უქაზების მოსასმენათ 10 დეკემ-  
ბრისათვის ქუფთაისში გასაგზავნ დეპუტატების ასარჩევათ და  
მასთან ოქმის დასადგენათ მის შესახებ, თუ რამდენს და რომელ  
ეკლესიის კრებულს ეკუთვნის მომავალი წლიდან ექმნეს დანიშ-  
ნული მომატებული ჯამაგირი. მასთან გაუწყებთ, რომ ამ დღესვე  
გვექნება მსჯელობა, თუ როგორ გემართებს მიგებება მგოსან აკაკის  
50 წლის იუბილეს დღესასწაულისათვის, რომელიც, უკვე იცით,

იქნება 7 მომავალს დეკემბრის თვეში.

განგიმეორებთ — კრებას არ დააკლდეთ. ამ მოწერილობის მიღებაზე და წაკითხვაზე ხელი მოაწერეთ და უკანვე დააბრუნეთ მომტანის ხელით.



1908 წ. 18 დეკემბერი — მოხსენება, წინამძღვარ, მღვდელ ვლ. აბრამიშვილისა საქართველო-იმერეთის წმ. სინოდის კანტორისადმი მეტრიკული წიგნების ბლანკებისა და სარევიზიო წიგნის გამოგზავნის შესახებ. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა: 22X17,5 სმ. N 5107 8-64/175

საქ-იმერეთის წმ. სინოდის სამმართველო კანტორისადმი საჩხერეს ოლქის წინამძღვრის მღვდ. ვლ. აბრამიშვილის

### მოხსენება

თან ვადგენ ჩემდამი რწმუნებული საწინამძღვროს ეკლესიები-სათვის მეტრიკული წიგნების ბლანკის ფურცლების რაოდენობას ერთ სარევიზიო წიგნთან ერთად. უმორჩილესად ვთხოვ სინოდალურ კანტორას მოთხოვნილი ბლანკები და სარევიზიო წიგნი გამოგზავნოს. ამასთან ფული — 34 მან. 80 კაპ. გადაირიცხა.

წინამძღვარი ვლ. აბრამიშვილი.  
18 დეკემბერი, 1908 წ.

1909 წ. 5 მარტი — ცირკულარი იმერეთის ეპისკოპოს გიორგისა წინამძღვარ ვლ. აბრამიშვილისადმი. იმერეთის ეპარქიის ქალთა სასწავლებლის სასარგებლოდ ხაზინის მიერ კრებულის წევრთა ხელფასიდან (თვიურად) 4% დაკავების შესახებ.

ასლი, რუსულ ენაზე. ზომა 22X17,5 სმ; N 3269 36-62/447.

1909 წ. მაისი — მიმართვა წინამძღვარ, მღვდელ ვლ. აბრამიშვილისა  
საჩხერის საწინამძღვრო ოლქის მღვდლებისადმი შეკრებაზე გამოცხადების  
შესახებ. დედანი, ზომა:22X17,5 სმ; N 5097 8-64/165

მათ კურთხევას, მღვდლებთ საჩხერის საბლალონინო ოლქისას  
ამით წინადადებას გაძღვეთ 15 ამ თვეს დილით რვა საათზე  
მობძანდეთ საჩხერის სამრევლო სკოლაში თქვენი პრიინტნიკებით,  
სტაროსტებით და საეკლესიო კრუშეებით; ამ წლის მეტრიჩესკის  
წიგნებით, რომლებიდანაც ფიცხლათ ითხოვება სამივე ნაწილის:  
დაბადებულთა, ჯვარდაწერილთა და გარდაცვალებულთა ანგარიში.  
ამ დღესვე უნდა გაიწეროს მომავალი წლის საეკლესიო საბუთე-  
ბის გამოსაწერი ფულები, წმინდა ნინოს წიგნების, ორი მღვდლის  
ოჯახის შესაწევებელი თითო აბაზი და იანვრიდამ დღემდის, რაც  
მოკრეფილია სხვადასხვა დაწესებულებათათვის ფულები. დღესვე  
გამოცხადდეს ცირკულარები და უქაზები. ამ ფრიად საჭირო საქმე-  
ბისთვის ყველანი უნდა გამოცხადდეთ...

ეს მოწერილება ხელმოწერილი უკანვე დააბრუნეთ.

1909 წ. 25 მაისი. მოხსენება წინამძღვარ ვლ. აბრამიშვილისა იმ-  
ერეთის ეპისკოპოს გიორგისადმი. შავად ნაწერი. დედანი. ზომა:22X17,5  
სმ; N 5120 8-64/188

სია მღვდლებისა, რომლებმაც სასულიერო სემინარიის სრული  
კურსი დაამთავრეს.

1. წინამძღვარი ვლ. აბრამიშვილი
2. მღვდელი ნესტორ დევიძე
3. მღვდ. გორისას წმ. გიორგის ეკლესიისა — კაპიტონ სარა-  
ლიძე
4. მღვდ. ჩიხას სამების ეკლესიისა — აბიათარ იაკობაშვილი
5. მღვდ. ქორეთის მაცხოვრის ეკლესიისა — პარმენ ყიფშიძე

სასულიერო სასწავლებლის კურსდამთავრებულნი

6. მღვდ. დურევის მაცხოვრის ეკლესიისა — ზაქარია აბაშიძე
7. მღვდ. სხვიტორის მაცხოვრის ეკლესიისა — იაკობაშვილი
8. მღვდ. საირხის ღვთისმშობლის ეკლესიისა — ანთიმოზ მესხი



9. მღვდ. სარქველთ-უბნის მთავარანგელოზის ეკლესიისა  
პახომ აბრამიშვილი

გორის ა/კ სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი

დაამთავრა:

10. მღვდ. მერჯვეის სამების ეკლესიისა – ილარიონ  
წიქვაძემ.

დანარჩენ რვა მღვდელს სასკოლო განათლება არ მიუღია.

**1909 წ. 25 მაისი. მოხსენება მღვ. ვლ. აბრამიშვილისა ეპისკოპოს  
გიორგისადმი, რომელსაც ერთვის მღვდლების სია, მათი განათლების  
აღნიშვნით. დედანი, შავად ნაწერი, რუსულ ენაზე. ზომა:22X17,5 სმ;  
N 5120 8-64/188**

საჩხერეს საწინამძღვრო ოლქში შემაგალი ეკლესიების  
მღვდელმსახურთაგან სასულიერო სემინარიის სრული კურსი  
დაამთავრა ხუთმა /5/ მღვდელმა, სასულიერო სასწავლებლის  
სრული კურსი – ოთხმა /4/ მღვდელმა, ერთმა დაამთავრა გორის  
ა/კ სამასწავლებლო სემინარიის სრული კურსი. დანარჩენ თერთმეტ  
/11/ მღვდელს სასწავლებელში განათლება არ მიუღია.

**1909 წ. 10 ივნისი – მიმართვა მღვდ. ვლ. აბრამიშვილისა მეღავითნე  
იოსებ გომართელისადმი. დედანი, ზომა:22X17,5 სმ. N 5096 8-64/164**

პრიჩეტნიკს იოსებ გომართელს

ამით გაცნობებ, რომ ჩემ მიერ გაგზავნილ ცნობებზე 10 მაისიდან  
ამა წლის N 54 შესახებ თქვენი მეღავითნეთ განწესებისა გორისის  
წ-ის გიორგის ეკლესიაზედ მისმა ყ-დ უსამღვდელოესობამ იმერე-  
თის ეპისკოპოსმა გიორგიმ კეთილ ინება დადება რეზოლუციისა: „27  
მაისი, 1909 წ. იოსებ გომართელი ინიშნება შტატის მეღავითნეთ  
გორისის წ-ის გიორგის ეკლესიაზედ“.

გაცნობებ რა ესრეთს, ვალად გიდგენ იმსახუროთ აღნიშნულ  
ეკლესიაზედ მეღავითნის თანამდებობაში ერთგულათ და მრევლის  
შემოსავლიდან უფლება გექნება მიიღო მეოთხედი ნაწილი.

10 ივნისი, 1909 წ.

1910 წ. 24 სექტემბერი. მიმართვა ეპისკოპოს გიორგისა ვლ. აბრამიშვილისადმი მინიატურებით შემკული სახარების გადაგზავნის შესახებ. ასლი, რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი. ზომა: 22X17,5 სმ; N 3199 36-62/377.

ეპისკოპოსი გიორგი ვლ. აბრამიშვილს მიმართავს ჯრუჭის მონასტრიდან მინიატურებით შემკული ორი სახარების თბილისში გადაგზავნის შესახებ, რომელიც მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების თავმჯდომარეს გრაფ უვაროვსა და პროფესორ ალ. ხახანაშვილს უნდა შეესწავლათ. ამის შემდეგ აღნიშნული სახარებანი ადგილზე დროულად დაბრუნდებოდა.

საბუთს ბოლოში აქვს მინაწერი: „მივიღე 27 სექტემბერს, არხიმანდრიტი გრიგორი“.

1912 წ. 17 ნოემბერი. თხოვნა ს. აბჟანდაძისა წინამძღვარ ვ. აბრამიშვილისადმი დრამის ფულის გადასახადისაგან გათავისუფლების შესახებ. დედანი. ზომა: 35,4X22 სმ; N 2930 36-62/108

მისს მაღალ კურთხევას, ბლალოჩინს მამა ვლადიმერ აბრამიშვილს დროებით საჩხერეში მცხოვრებისაგან სოლომან იოსების ძის აბჟანდაძისაგან უმორჩილესი

### თხოვნა

მე ვწერივარ ქალაქ ქუთაისში მოქალაქეთ და არა საჩხერეში და ყოველივე მოთხოვნილებას იქ ვიხთი ქუთაისში, ხოლო ცვხვრობ ღროებითად დღეს საჩხერეში, ლუკმა პურის მოსაპოვებლათ. როგორათაც მოგეხსენებათ დაბას საჩხერეშიდ ააშენეს ეკკლესია და მთხოვეს კომიტეტებმა მონაწილეობა მიმელო აღშენებაში და კიდეც შევეწიე შეძლებისდაგვარად. რადგანაც ეკკლესია აშენდა, ამისთვის საჩხერის ადგილობითი მღვდელმა პახუმ აბრამიშვილმა უჩვენა თავის მკვიდრ მრევლათ ჩვენი თავი თავრობას მოტყუებით და დაგვარბიეს სამრევლოში, როგორათაც მისი კვიდრი მრევლი. ისე, და რაც შემეხება მე, მისი მრევლი არა ვარ არც მე და არც

მამაპაპითურთ, რადგანაც არ ვითვლები მის მრევლათ. ამისათვის ვითხოვ თქვენს წინაშე გამათავისუფლოთ პახუმ აბრამიშვილის ძალდატანებითი სამრევლოს გარდახთისაგან და დამიბრუნოთ ჩემი საქონელი, რომელიც დამარბიეს ღრამის ფულში და წვილეს თორი შეკერილი ჩოხები, ღირებული ოცი მანეთი.

*მთხოვნელი სოლომან აბუანდაძე  
17 ნოემბრის, 1912 წელსა.*

1912 წ. მიმართვა წინამძღვარ, მღვდ. ვლ. აბრამიშვილისადმი შინაგან საქმეთა სამინისტროს, სიმბირსკის საგუბერნიო სწავლულთა საარქივო კომისიის მიერ, ქ. სიმბირსკში მწერალ ი. გონჩაროვის დაბადებიდან 100 წლისთავთან დაკავშირებით ძეგლის ასაგებად, 3 თვის განმავლობაში საჩხერეს ოლქის ეკლესიებში შემოწირულებათა შეგროვების შესახებ, რომელიც უნდა გადაგზავნილიყო ვოლგა-კამენსკის კომერციული ბანკის სიმბირსკის განყოფილებაში, მიმდინარე ანგარიშზე.

მიმართვას თან ახლავს ივანე გონჩაროვის ვრცელი ბიოგრაფია, ფოტო-სურათით, ბეჭედდასმული ხელმოსაწერი ცარიელი ბლანკის ფურცელი, სადაც უნდა ჩაწერილიყო შემომწირველის გვარი და შემოწირული თანხის რაოდენობა. ორი დაბეჭდილი ფურცელი, ზომა:36X22,5 სმ. N 2033 17-62/5

1915 წ. 20 თებერვალი. მიმართვა ეკლესიებისადმი წითელი ჯვრის რუსეთის საზოგადოების მთავარი სამმართველოსი, შემოწირულებათა ზუსტი აღრიცხვისათვის ეკლესიების მიერ შევსებული ანკეტის პეტროგრადში დანიშნულების ადგილზე დროულად გადაგზავნის შესახებ.

ნაბეჭდი ორი ფურცელი, რუსულ ენაზე. ზომა:23X17,5 სმ. N 2054 14-62/26

შენიშვნა. იგივე შინაარსის აქტები, მიმართვები.

N 2047 17-62/19. გეორგიევსკის კომიტეტი

N 2029 17-62/1 – თეთრი ჯვრის საზ-ბა





1914 წ. 13 სექტემბერი – მოხსენება წინამძღვარ, მღვდელ გლ. აბრამიშვილისადმი, სპეთის ეკლესიის მღვდლის გ. ზაბახიძისა და მნათელა მრევლის მიერ, ყოფილი მამასახლისის დ. დავაძის არჩევის შესახებ დღიანი, ზომა: 22X17,5 სმ; N 5080 8-64/148

მისს მაღალკურთხევას ბლალორინს, მღვდელს ვლადიმერ აბრამიშვილს

სპეთის ეკლესიის მღვდლის გიორგი ზაბახიძისაგან რაპორტი

თანახმად თქვენი მონდობილებისა, მოვახდინე მრევლის ყრილობა მნათეს ასარჩევად 8 სექტემბერს 1914 წელს და ერთხმად აღირჩია მრევლმა ყოფილი სტაროსტა (მნათე) გლეხი დავით ვასილის ძე დავაძე, რაზედაც შესრულებულ განაჩენს ამასთანავე წარმოუდგენ თქვენს მაღალკურთხევას გასაგზავნად, სადაც ჯერ არს.

სოფ. სპეთის ეკლესიის მღვდელი გიორგი ზამბახიძე  
13 სექტ. 1914 წ. N 47.

1915 წ. 9 მაისი. განკარგულება ეკლესიებისათვის სანთლის მიღება-ჩაბარების შესახებ. ნაბეჭდი ცირკულარი. ზომა: 22X13 სმ; N 2934 36-62/112

მისს მაღალ კურთხევას ბლალორინ ვ. აბრამიშვილს. ამით ეცნობება იმერეთის ეპარქიის ყოველი ეკლესიის კრებულს და მნათეს, რომ მათ დღიდან ამ განკარგულების მიღებისა ევალებათ: 1/ ეკლესიიდან ნამწვი სანთელი სანთლის დუქანში, ქუთაისში, გამოგზავნონ ხოლმე ისე, როგორც არის. ე.ი. ჩხირებათ და არა გადამდნარი. ნამწვი სანთელი მიიღება ფუთი ჩვიდმეტ /17/ მანეთად. ცოტაც რომ იქნეს, ფასი მაინც ამ ანგარიშით მიეცემათ.

2/ შემონაწირი კოშტი სანთელი ისე უნდა გამოიგზავნოს, როგორც არის და ნამწვთან მისი გადაღობა სასტიკად აკრძალულია.

3/ ცალკე კოშტი სანთელი მიიღება, როგორც ცვილი – ფუთი ოცდაათ /30/ მანეთად.

4/ ეკლესიისათვის სანთლის წამლები ვალდებულია ყოველ სანთლის მოთხოვნის დროს წარმოადგინოს არსებული ამისთვის

რვეული, რომელშიაც გაწერილი უნდა იყოს, რვეულის ფურცლის ყველა ნაწილზე, წელიწადი, თვე, რიცხვი, სანთლის დაეწერილი რაოდენობა ადგილობითი მღვდლის ხელით და მისივე ხელმოწერა უნდა იქნას. ის, ვინც ამნაირად ჩაწერილ რვეულს არ წარმოაწდგენს, სანთელს ვერ მიიღებს.

5/ კერძო პირებზე სანთლის გაყიდვა საწყობიდან აკრძალულია მოძავალ ახალ განკარგულებამდე. ეპ. გიორგი 19 მაისი, 1915 წ.

1915 წ. მიმართვა საქარქიო კანცელარიისა ვლ. აბრამიშვილისადმი, რათა მან ერთ კვირაში მის უწმინდესობას წარუდგინოს ცნობები ეკლესია-მონასტრების კუთვნილი ტყეების შესახებ.

ასლი. რუსულ ენაზე, მანქანაზე ნაბეჭდი. ზომა:22X18 სმ; N 3709 11-63/112.

1915 წ. 15 ივლისი. აქტები გაგზავნილი იმერეთის ეპარქიის საჩხერეს საწინამძღვრო ოლქის სოფლების: მერჯვეის, წირქვალის, არგვეთის და დანარჩენი ეკლესიებისათვის, რომელთაც 20-21 ნოემბერს ეკლესიებში მიღებული შემოწირულებანი უნდა გადაეგზავნათ პეტერბურგში, მითითებულ მისამართზე დიდი მთავრის მიხეილის სამხედრო-საქველმოქმედო თეთრი ჯვრის საზოგადოებისათვის.

გამოქვეყნებულია რუსულ ენაზე. ზომა:27,5X21,5 სმ; N 2048 17-62/20; N 2055 17-62/27; N 2056 17-62/28.

1915 წ. 7 დეკემბერი. მიმართვა თბილისის ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ზესტაფონის განყოფილებისა ვ. აბრამიშვილისადმი არგვეთის საზოგადოებაში მისი რწმუნებულად არჩევის შესახებ. დედანი, ზომა:22X17 სმ; N 3722 11-63/125

განყოფილების გამგეობამ აგირჩიათ თქვენ თვის რწმუნებულად არგვეთის საზოგადოებაში, რისთვისაც საჭიროა წევრად ჩაწერა და მოგანდოთ დაარსოთ მანდვე სარეგისტრაციო პუნქტი, სადაც იქნება ბიურო ადგილობრივ ინტელიგენტთაგან – მღვდელი, მასწავლებელი და სხ. ბიუროს მოვალეობაა შეადგინოს 1/სია, ვინაც დასტოვა თვისი სახლკარი, ბინადრობა, სამეურნეო ანუ სხვა რაიმე

დარგი ომის მიზეზებისა გამო, 2/ ტყვედ წაყვანილი გაჭირვებული/ ჯარსიკაცთა ოჯახებისა და 3/ ომიდან შინ დაბრუნებულ, გაჭირვებულ ჯარისკაცთა. ეს სიები გაეგზავნება გამგეობას. დაწვეულით პირადათ ამ საგანზე მოლაპარაკება შეიძლება თავმჯდომარე ვლ. ჩხეიძესთან და მდივანთან ანთაძესთან.

მდივანი მღ. ანთაძე.

1916 წ. 22 აპრილი. გურია-სამეგრელოს საეპარქიო კანცელარიის მიმართვა მღ. აბრამიშვილისადმი საეკლესიო წიგნის გამოწერის შესახებ. დედანი, ზომა:22X17 სმ; N 3706 11-63/109

თქვენო მაღალ კურთხევაჲ, მამაო თვლადიმერ!

გურია-სამეგრელოს ეპარქიალური კანცელარია ფიქრობს რა, რომ მისმა პირველმა მიმართვამ, რომლითაც გეცნობებოდათ ყ-დ სამღვდელო ლეონიდის სიტყვათა და მოძღვრებათა კრებულის სტამბიდან გამოსვლა, შესაძლო შემთხვევითი მიზეზების გამო ვერ მოაღწია თქვენამდე და, ალბათ, ამის გამო არ გინებებიათ დღევანდლამდე ხსენებული კრებულის გამოწერა თქვენდა რწმუნებული საკეთილ მოწესო ოლქის ეკლესიებისათვის, ნებას აძლევს თავის თავს განმეორებით გთხოვოთ კრებულის გამოწერა, თუ რასაკვირველია შინაარსის მხრივ დასახელებული შრომა გამოუსადეგრად არ მიგაჩნიათ ქართველი ხალხისათვის.

მდივანი კანცელარიისა გ. მარგალიტაძე

თანაშემწე მდივნისა ვ. ხოშტარია

1916 წ. 15 ივლისი. მიმართვა იმერეთის საეპარქიო კანცელარიის წინამძღვარ წერეთლისადმი ვლ. აბრამიშვილისათვის გასაგზავნად. ასლი, რუსულ ენაზე მანქანაზე ნაბეჭდი. ზომა:22X17,5 სმ; N 3229 36-62/407.

ს. ჭალის სამრევლოს მღვდელი, გიორგი კურცხალია, მოახსენებს მის უწმინდესობას, რომ სამრევლოში არის უძველესი დროის ეკლესიის ნანგრევები, რომლის ახლოს სოფელი თავის მიცვალებულებს კრძალავს. ხალხი ამ ადგილს წმინდა ადგილად თვლის. ცოტა ხნის წინ ამ ნანგრევების ახლოს იპოვნეს „ბარიტი“

და ადგილობრივმა თავადაზნაურობამ მადნის გატანა დაიწყო, რითაც ეკლესიას დიდი ზარალი მიაყენა. მღვდელს არ უვჯერებენ, პოლიცია ყურადღებას არ აქცევს, ამიტომ მღვდელი იძულებულია ეპისკოპოსს ნებართვა სთხოვოს, რომ თავადაზნაურთა წინააღმდეგ სარჩელი წარადგინოს.

**1916 წ. 5 სექტემბერი. ოქმი სოფ. ჭალის წმ. გიორგის ეკლესიის გარემოს დათვალიერებისა. დედანი, რუსულ ენაზე, ზომა:35,5X22 სმ; N 3212 36-62/390**

ეკლესიის დასავლეთით და ჩრდ. დასავლეთით ბარიტის დამუშავება-გატანასთან დაკავშირებით გაყავთ გვირაბები, რითაც დაზიანდა ეკლესიის სასაფლაო, რაზედაც ჩივის მღვდელი გ. კურცხალია.

წინამძღვარი წერეთელი ამის შესახებ მიმართავს ვლ. აბრამიშვილს საჭირო ღონისძიების მიღებისათვის.

**1916 წ. 8 ნოემბერი. ცირკულარი წინამძღვარ ვ. აბრამიშვილისადმი, ეკლესია-მონასტრების მიერ სამხედრო მოკლევადიანი სესხის 5%-იანი ობლიგაციების შეძენის შესახებ. რუსულ ენაზე, ასლი, ზომა:22X18 სმ. N 4514 21-63/6.**

ცირკულარი წინამძღვარ აბრამიშვილისადმი

გატყობინებთ, რომ თქვენი ოლქის ეკლესია-მონასტრების მღვდლებს შესთავაზოთ თავისუფალი თანხით შეიძინონ სამხედრო მოკლევადიანი სესხის ახალი, 5%-იანი ობლიგაციები, რომლის შესახებ დაწვრილებითი ცნობები და ინსტრუქციები დაბეჭდილია ამა წლის 26 ოქტომბრის N 227 სამრევლო ფურცელზე; აგრეთვე მიიღოთ მონაწილეობა ყველაზე შორეულ ადგილებზე წვრილი კრედიტის კომისიების საქმიანობაში და ყველანაირად ხელი შეუწყოთ აღნიშნული სესხის პოპულარიზაციას, აუხსნით რა სოფლის მოსახლეობას მითითებული სამხედრო სესხის პროცენტის ქაღალდების (ობლიგაციების) მნიშვნელობას.

8 იანვარი, 1916 წ.

1917 წ. 24 მარტი. დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვაგამგეობის აღდგენის შესახებ. პირი, ზომა:35X22 სმ; N 3339 36-62/517



ბლალონინ აბრამიშვილს

12 ამა მარტს ქართველ მღვდელმთავრებთა, სრულიად საქართველოს სამღვდელოების წარმომადგენელთა, თავადაზნაურთა, გლეხთა, ვაჭართა და სხვათა კრებამ მცხეთის საკათალიკოსო ტაძარში დაადგინა სრულიად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობის აღდგენა და განგრძობა, როგორც რუსეთის ძველი მთავრობისაგან უსამართლოდ შეწყვეტილისა, რომლისათვისაც აღირჩა სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრედ ყ-დ სამღვდლო ლეონიდი, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი და მისი თავმჯდომარეობით დროებითი აღმასრულებელი მმართველობა ქ. თბილისში, რომელიც უკვე შეუდგა სრულიად საქართველოს ეკლესიის დროებით მართვას.

გაუწყებთ რა ამას, თანახმად ხსენებული კათალიკოსის მოსაყდრის ოტნოშენიისა 16 ამა მარტიდგან N II მოგწერთ თქვენ:

ა/ დაუყოვნებლივ გამოუცხადოთ ეს თქვენ საბლალონინო ოლქს

ბ/ ყოველგან ეკლესიებში და მონასტრებში შესწყვიტონ მოხსენება რუსეთის სინოდის, ექსარხოსის პლატონისა და ნაცვლად იხსენებოდნენ სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრედ ყ-დ სამღვდლო ლეონიდე გურია-მეგრელიის ეპისკოპოსი და ადგილობრებითი მღვდელ-მთავარი.

გ/ შესწყვიტოთ როგორც თქვენ, ისე სამღვდლოებამ ყოველივე მიწერ-მოწერა ექსარხოს პლატონთან, მის კანცელარიასთან და საქართველო-იმერეთის სინოდალურ კანტორასთან და საჭიროების დროს მათ ნაცვლად მიმართავდეთ სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ყ-დ სამღვდლო ლეონიდეს და საქართველოს ეკლესიის დროებით მმართველობას /თბილისში, დარიის მონასტერში/ ქართულ ენაზე, რომელზედაც აწი უნდა წარმოებდეს ყველა საქმეების შესახებ მიწერ-მოწერა.

დ/ დიდ კვერექსზე მოიხსენიეთ ყოველგან ეკლესიებში და

მონასტრებში სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, ამნაირად: უფლისა ჩვენისა სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდესათვის უფლისა მიმართ ვილოცოთ. ხოლო რომელი ... ბარძიმის გამოსვენების დროს: უფალი ჩვენი სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრე, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდი მოიხსენიოს უფალმან ღმერთმან ჩვენმან ყოვლადვე, აწდა მარადის უკუნიითი უკუნისამდე.

ამინ!

24 მარტი, 1917 წ.

1917 წ. 24 მარტი. მიმართვა ქუთაისის სამღვდლო პირთა აღმასრულებელი კომიტეტისა წინამძღვარ აბრამიშვილისადმი, საეპარქიო კრებაზე წარმომადგენლის გაგზავნის შესახებ. დედანი, ზომა:35X22 სმ; N 3342 36-62/520

ბლალოჩინს აბრამიშვილს

ქუთაისის სამღვდლო პირთაგან შემდგარ აღმასრულებელმა კომიტეტმა 17 ამა მარტს დაადგინა: „იქნეს განკარგულება მოხდენილი, რათ ყოველი საბლალოჩინოდან გამოიგზავნოს ქუთაისში თითო წარმომადგენელი განუსაზღვრელად მღვდელი იქნება იგი, თუ მედავითნე. საბლალოჩინო კრება უნდა შესდგეს თანასწორი ხმის უფლებით, როგორც მღვდლისა, ისე მედავითნისაგან“.

გაცნობებთ რა ამაზე ჯეროვანის თქვენის მხრით აღსასრულებლად, მოგიწერთ აღრჩეული საბლალოჩინო კრებაზე ერთი წარმომადგენელი მთელი საბლალოჩინო ოლქისა /მღვდელი ან მედავითნე/ გამოგზავნოთ ქუთაისში დასასწრებლად საეპარქიო კრებაზე, რომელიც დაიწყება 13 მომავალი აპრილიდან, რომელზედაც განაწილდება 89 ათასი მან. სამღვდლოების შემწეობა და გაირჩევა სხვადასხვა დროის შესაფერისი კითხვები. საბლალოჩინო კრებაზე შესაძლოა მსჯელობა სხვადასხვა სამღვდლოების საჭიროებაზე, რაზედაც დადგენილება კრებისა უნდა წარმომადგენდეს მე წინდაწინ თქვენი მოხსენებით. ამასთან იქონიეთ სახეში, რომ აღრჩეულ პირს ქუთაისში მოსასვლელ-მისასვლელი გზის ფული დასასწრებლად

ხსენებულ კრებაზე, არ მიეცემა, რაზედაც წინდაწინ სამღვდელოების  
კრებაზე გამოუცხადეთ სამღვდელოებას.

ეროვნული  
24 მარტი 1917

## ეკლესიების ნუსხა

(შტატიანი, ზედმიწერილი და სხვა სამრევლო ეკლესიები)

### ა) საშტატო ეკლესიები

- 1) არგვეთის წმ. გიორგის, ქვის, ოტშტატიანი ეკლესია. „რო-  
დის და ვის მიერ აიგო, უცნობია“. აღადგინეს 1877 წ.  
შეკეთდა 1913 წ.
- 2) გორისას წმ. გიორგის ქვის ეკლესია, აგებულია 1877 წ.
- 3) დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესია. 1881 წ. განახლდა
- 4) დარყის მთავარანგელოზის ხის ეკლესია. „აშენების დრო  
უცნობია“. 1899 წ. ახლის მშენებლობა.
- 5) ღურევის მაცხოვრის აღდგომის ქვის ეკლესია. „როდის  
ააგეს, უცნობია“. 1895 წ. აღადგინეს.
- 6) მერჯევის წმ. სამების ქვის ეკლესია. 1890 წ. აშენდა.
- 7) ორლულის წმ. გიორგის ქვის ეკლესია. „ვის მიერ და რო-  
დის აშენდა, უცნობია“.
- 8) სავანის წმ. გიორგის ქვის ეკლესია. „აგებულია ბაგრატ  
კურაპალატის დროს“. 1874-79 წ.წ. აღადგინეს 1899 წ.  
შელესეს.
- 9) საირხის წმ. ნიკოლოზის ქვის ეკლესია. აგებულია 1861  
წ. 1900 წ. გალავნის გაკეთება გადაწყდა.
- 10) საჩხერის ღვთისმშობლის მიძინების ხის ეკლესია. „აშენ-  
ების დრო უცნობია“.
- 11) საჩხერის წმ. ნინოს ქვის ეკლესია. 1910 წ. აშენდა
- 12) სპეთის მაცხოვრის ამაღლების ქვის ეკლესია. 1893 წ.  
სამრევლო მიაშენეს. 1908 წ. შეაკეთეს
- 13) სარქველთუბნის მთავარანგელოზის ქვის ეკლესია, „რომელ-

- იცა აღშენებულ არს უხსოვარს დროს“. 1893 წ. დაიწყო მშენებლობა. 1908 წ. აშენდა ქვის ეკლესია.
- 14) სხვიტორის მაცხოვრის ამალლების ქვის ეკლესია. „როდის და ვის მიერ აიგო, უცნობია“. 1900 წ. შეაკეთეს
  - 15) ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ქვის ეკლესია. „როდის და ვის მიერ აიგო, უცნობია“. 1893 წ. ახალი ააგეს
  - 16) ჩიხას წმ. სამების ქვის ეკლესია. „ვინ და როდის ააშენა, უცნობია“. 1893-1895 წ.წ. მშენებლობა მიმდინარეობდა. 1913 წ. ახალი ეკლესიაა.
  - 17) ცხამის წმ. გიორგის ქვის ეკლესია. „როდის აშენდა, უცნობია“. 1862 წ. და 1903 წ. აღადგინეს.
  - 18) ძიროვნის წმ. გიორგის ხის ეკლესია. 1906 წ. შეაკეთეს
  - 19) ჭალის წმ. გიორგის ხის ეკლესია. 1900 წ. აშენდა
  - 20) ჭორვილის ფერისცვალების ეკლესია. 1900 წ. ახალი ააშენეს.

#### ბ) საშტატო ეკლესიაზე ზედმიწერილი ეკლესიები

- 1) დარყის მთავარანგელოზის ეკლესიაზე მიწერილი ჯვრის წმ. გიორგის გუმბათიანი ეკლესია. 1907 წ. ააგეს ჰერევის ეკლესია 1905 წ. წმ. გიორგის სახელზე აკურთხეს.
- 2) დურევის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაზე ზედმიწერილია ირთავაზის მთავარანგელოზის გაბრიელის ეკლესია. მისი აშენების დრო უცნობია. 1903 წ. ძველი ეკლესიის ადგილზე ახალი ააგეს.
- 3) მერჯევის წმ. სამების ეკლესიაზე ზედმიწერილია ივანწმინდის ქვის ეკლესია, რომელიც უხსოვარ დროს არის აგებული.
- 4) ორლულის წმ. გიორგის ეკლესიაზე ზედმიწერილია ღონას მთავარანგელოზის ქვის ეკლესია. აშენების დრო უცნობია. 1890 წ. ეკლესიას მიშენება გაუკეთდა, გადაიხურა კრამიტით, გაკეთდა ქვის იატაკი.
- 5) სავანის წმ. გიორგის ეკლესიაზე ზედმიწერილია იპისის





მაცხოვრის ხის ეკლესია, რომლის აგების დრო უცნობია.

- 6) საჩხერის ღვთისმშობლის ეკლესიაზე „ზედმიწერილი ეკლესია: სამი ქვის და ერთი ხის“.
  - 7) სარქველთუბნის მთავარანგელოზის ეკლესიაზე ზედმიწერილია მეორე მთავარანგელოზის ეკლესია. იგი 1892 წ. აშენდა და იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა აკურთხა.
  - 8) სხვიტორის მაცხოვრის ამაღლების ეკლესიაზე ზედმიწერილია კვერეთის ღვთისმშობლის ხის ეკლესია. 1895 წ. ახალი ეკლესია აშენდა.
  - 9) ქორეთის მაცხოვრის აღდგომის ეკლესიაზე ზედმიწერილია ორი ეკლესია. ერთი – წმ. გიორგის ეკლესია 1850 წ. იმავე სოფელში ააგეს. მეორე – სოფ. კალვათას ღვთისმშობლისა 1901 წ. ხელახლა ააშენეს და აკურთხეს. ორივე ეკლესია მოქმედა.
  - 10) ჩიხას წმ. სამების ეკლესიას 1 1/2 ვერსის დაშორებით „იმავე სოფელში აქვს ზედმიწერილი ღვთისმშობლის ქვის ძველი ეკლესია“.
  - 11) ცხამის წმ. გიორგის ეკლესიაზე ზედმიწერილია ორი ეკლესია: ეთოს წმ. გიორგის ხის ეკლესია და ეხვევის ღვთისმშობლის ქვის ძველი ეკლესია. კედლების ნგრევის გამო, იგი უმოქმედოა. მისი აშენების დროს უცნობია. (1912 წ. შეაკეთეს)
  - 12) ჭალის წმ. გიორგის ეკლესიაზე ზედმიწერილია დრბოს წმ. გიორგის ხის ეკლესია. აშენების დრო უცნობია. შეაკეთეს 1886 წ.
- არის ქვის მეორე ეკლესია, სადაც ღვთისმსახურება 1904 წლამდე მიმდინარეობდა.
- 13) საჩხერეში – ნესტორ წერეთლის კარის ეკლესია.

**გ) კრებულში დასახელებული სხვა ეკლესია-მონასტრები**

- 1. ბოსლევის წმ. გიორგის ეკლესია
- 2. გელათის მონასტერი

3. დარკვეთის წმ. გიორგის ეკლესია (1881 წ. განახლდა)
4. ვანის მონასტერი
5. ზელუბნის ეკლესია (1897 წ. შეაკეთეს).
6. ზოდის ეკლესია
7. ზღუდერის წმ. გიორგის ეკლესია (ჯავის საწინამძღვრო ოლქი)
8. ითხვისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია
9. კაცხის მონასტერი
10. კობოლულის ეკლესია
11. კუდარის წმ. გიორგის ეკლესია
12. ლაჩთის წმ. გიორგის ეკლესია
13. მღვიმის მონასტერი
14. ფერსათის ეკლესია (1866 წ. ააშენეს)
15. ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესია (მასთან არსებობდა სანი-მუშო საეკლესიო-სამრევლო სკოლა)
16. ჩხიროულის წმ. გიორგის ეკლესია
17. ცხრუკვეთის წმ. გიორგის ეკლესია
18. ძეგლევის წმ. გიორგის ეკლესია
19. ძიროვნის წმ. გიორგის ეკლესია (1906 წ. შეაკეთეს)
20. წირქვალის იოანე ნათლისმცემლის ეკლესია
21. ხაშმთან წმ. სამების მონასტერი (1914 წ. იმერეთში უნდა მოგროვილიყო შეწირულებანი მის აღსადგენად).



1883-1893 წ.წ. პირადი წერილები გაბრიელ ეპისკოპოსისა და მის წულ მარიამ სემენენკოსადმი<sup>1</sup>. ასლი.

ზომა: 22X18 სმ. N 9102 65-972.

1) 1884 წ. 1 დეკემბერი. საყვარელო ძმისშვილო, მარიამ! იმედი მაქვს, რომ შენ, ვითარცა ქრისტიანი და ღვთის შვილი, ქრისტიანულად მოითმენ მწუხარებას, რომელიცა გეწია და მადლობას შესწირავ ღმერთს.

ბიძაშენი ეპისკ. გაბრიელი.

2) 1885 წ. 16 ივლისი

საყვარელო ძმისწულო, მარიამ!

ეს, აქ ჩადებული ზაპისკა წარუდგინე ი. გოგებაშვილს და მოგცემს ოთხს წიგნს ჩემ ქადაგებისას. ორი დაიტოვე შენ და ორი გაუგზავნე ოლინკას.

მომწერე როგორ ხარ, ხშირად მოგდის თუ არა წიგნი ქმრისაგან და როგორ არის და როგორ ემსახურება... შვილები როგორ გყავს?

შენი ბიძა, გ-ელ ეპ. იმერეთისა

3) 1885 წ. 16 ივლისი

მარიამ!

გიგზავნი 25 მანეთს, შეიტანე „за первоучения~ ღმინაზიაში შენი შვილისა. გიგზავნი იმის „ВЕДОМОСТЬ~. ზოგიერთი ბალები კარგა აქვს, მაგრამ ბევრი 3, ტროიკა აქვს. ეცადოს, თორემ „ЛВОЙКА~ თუ გაუჩნდა, კლასში აღარ გადაიყვანებენ. შენ როგორ ხარ და სხვანი ჩვენებურები. რა არის, რომ გამხთარი იყავი და გახველებდა. აქ სულ წვიმებია, სიცვიით და ნოტიოთ, ძლიერ უსიამოვნო ავდრებია...

<sup>1</sup> N 9102 65-972/11, 13, 155-18, 21, 24\$ 26-27, 50 ზომა: 22X18 სმ; წერილების ასლი.



4) 1886 წ. 21 თებერვალი

საყვარელო ძმისწულს მარიაძ!

წიგნებიც მივიღე და ხიზილაღაც. მადლობელი ვარ, რომ გამოგზავნე ორივე მარჯვედ. დოღებაშვილისგანაც მივიღე ფულები ქადაგებისა. ამასთანავე გიგზავნი თორმეტ მანეთს ნიკოლაის სახელით.

შენი ბიძა გაბრ. ეპისკ. იმერეთისა.

5) 1889 წ. 22 თებერვალი

მარიაძ!

რას ჩამაცვივდი ქალო, ამ ვიდაც ვასილ ბერით, წერეთლით. კაცხის მონასტერში არ არის ადგილი და რომ კიდეც იყოს, რა იცი, რომ იმას მიცემ, იქნება იმაზე უფრო ღირსმა და ნამსახურმა ითხოვოს, განა არ გაგიგონია, რომ მე ამისთანა თხოვნა არ მიაძება? ის ერთი საწყალი უსწავლელი ბერიკაცი ვერც კი შეიძლებს ხერიანად მონასტრის მართვას.

შენი ბიძა, გაბრიელ ეპისკოპოზი.

6) 1890 წ.

მარიაძ!

გიგზავნი ომოც მანეთს, შესაწევნი, შენს გაჭირვებულ მდგომარეობაში ავათმყოფობისაგან.

7) 1890 წ. 23 ოქტომბერი.

13 სექტემბერს წიგნი მოგწერე და 30 მანეთი გამოგიგზავნე და პასუხი არ მომსვლია...

8) 1891 წ. 14 სექტემბერი.

საყვარელო ძმისწულს მარიაძ!

შენმა უფროსმა შვილმა ორჯელ წიგნი მომწერა გამომიგზავნეო, რომელიც აღუთქვი ფული სწავლისა თუ კადეტის კორპუსში შევიდნენ. ესლა თხოულობს ღიმნაზიის შესატან ფულებს – ას მანეთს. მომწერე რატომ გიმნაზიაში დარჩა. ამასთანავე წასულ თვეში შენ ქმარს ასი მანეთი გაუგზავნე. იქიდან ღიმნაზიის ფულიც უნდა შეეტანა მისი შვილისა. მაგრამ რა გაეწყობა, ახლაც

გიგზავნი 30 მანეთს, ნახევარი წლის შეიტანოს. მომწერე როგორ არის შენი ქმრის საქმე...

შენი ბიძა გაბრიელ ეპისკოპოზი.



9) 1893 წ. 2 თებერვალი

საყვარელო ძმისწულო, მარიაჲ!

გიგზავნი 25 მანეთს. საშინელი ცივი ქარებია ჩვენში. ფეხი ვერ გავათბე. კალოშები მაცვია და ბარე ხუთი წინდები, მაგრამ მაინც მცივა. შენ რათ იხარჯები, განა მე არ მაქვს წინდები. ერთი საპანე გამოვა, იმდენი მაქვს, მაგრამ ხუთი წყვილის მეტი კვლარ ჩავიცვი.

შენი გაბრიელ ეპისკოპოზი

10) 1895 წ. 15 იანვარი

საყვარელო ძმისშვილო მარიაჲ!

გიგზავნი 100 მანეთს. საჭირო იყო, მაინც ვგზავნიდი. სააღდგომო ხარჯს კიდევ ცოტა რამეს მოგთხოვენ.

შენი გაბრიელ ეპისკოპოზი

11) უთარილო.

საყვარელო ძმისწულო, მარიაჲ!

მოგილოცავ შენი მეუღლის გამარჯვებას და გათეთრებას, თუ ღმერთმა ინება და პალატაშიდაც გაათეთრეს, ყოველ შემთხვევაში, კარგია. იმედია იქაც გაამართლებენ და სამსახურშიდაც მიიღებენ.

გიგზავნი შესაწევნელად სამოც (60) მანეთს. მომიკითხე ჩვენები. ტიტოს უთხარი, რომ შენ ყოველ წამლობას და რჩევას აჯობა წმინდა აერმა, მოძრაობამ, ფიზიკურმა შრომამ, მოგზაურობამ, როცა დიდი მეტი ვიმგზავრე ზემო იმერეთში ყოველიფერი შრომა, სიცვივე, სიცხე, ქვეითობა, ცხენოსნობა კინაღამ ფაიტონი და ოთხი ცხენი ტალახში დავიხჩვენით. ერთი ცხენი კეტებით ძლივ ორ საათში ტალახიდან ამოათრიეს ათმა კაცმა და ახლა ისე კარგა ვარ, რომ უკეთესი არ შეიძლება მისუსტებული კაცისათვის.

შენი ბიძა, ეპ. გაბრიელი.

12) უთარიღო

მარიაშ!

მოგილოცავ შენი მეუღლის გამართლებას და მისი პატივისცემის  
აღდგენას ახლათ; ღვთის მადლით სამსახურსაც იმოწინააღმდეგებს  
და კარგათ იქნებით. ძლიერ მიამა მისი გამართლება. მშვიდობით  
გამყოფოსთ ღმერთმა შვილებითურთ.

შენი ბიძა გაბრიელ ეპისკოპოზი.

# გაბრიელ ეპისკოპოსი

აფხაზეთსა და სამურზაყანოში (1868 წ.)



გაბრიელ ეპისკოპოსის მრავალმხრივ მოღვაწეობას დღემდე სწავლობენ და იკვლევენ. ამ ღვაწლმოსილი პიროვნების მიმართ დაინტერესება არასოდეს შენელებულა და საქართველოში მიმდინარე ძირეული ცვლილებების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა.

უპირველესად იგი ცნობილია, როგორც იმერეთის ეპისკოპოსი. ამ სარბიელზე იგი 35 წლის მანძილზე (1860-1896 წ.წ.) მოღვაწეობდა და ხალხის უდიდესი სიყვარული და პატივისცემა მოიპოვა. მისი ღრმაზროვანი, მჭერმეტყველური ქადაგებანი მსმენელს გულში წვდებოდა და იზიდავდა.

გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებანი გამოცემულია როგორც ქართულ, ასევე რუსულ, ინგლისურ და ბულგარულ ენებზე<sup>1</sup>. ქადაგებისას, სიტუაციის შესაბამისად, იგი მეტწილად სიტყვას ზეპირად წარმოთქვამდა. ამის გამო ზოგიერთი მათგანი დაკარგულა და წიგნში არ შესულა. ცნობილია მისი დიდი შემართება ქართული ენის დასაცავად<sup>2</sup>. მან თავის ეპარქიაში მრავალი ეკლესია აღადგინა ან ახლად ააშენა. იგი იყო ღარიბი ადამიანების შემწე და უდიდესი ქველმოქმედი. მან მრავალი გზააღწევილი ქრისტიანობას დაუბრუნა.

1996 წ. დაბადებიდან ასი წლისთავზე ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა.

ქრისტიანობის გავრცელების საქმეში გაბრიელ ეპისკოპოსის წარმატებულ და ნაყოფიერ მოღვაწეობას კირიონი უდიდეს შეფასებას აძლევდა.

შერყეული ჯანმრთელობის მიუხედავად, ეპისკოპოსი თავისი მისიის შესასრულებლად არავითარ დაბრკოლებას არ ერიდებოდა. იგი ყოველგვარი ხმაურისა და პომპეზურობის გარეშე მიემგზავრებოდა. მგზავრობდა ცხენით, ან ფეხით და ღამის გათევაც არაკომფორტულ პირობებში უწევდა.

1860-1870 წ.წ. მან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, მათ

შორის ახალციხის მხარეში, სვანეთსა და აფხაზეთში იმოგზაურა.

ამჯერად ჩვენ შევეხებით ეპისკოპოსის მოგზაურობას აფხაზეთსა და სამურზაყანოში<sup>3</sup>.

1868 წლის 11 მაისს გაბრიელ ეპისკოპოსი მდ. რიონით ორპირიდან ფოთში ჩავიდა და გემით სოხუმში გაემგზავრა. მან ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიაში წირვა ჩაატარა და ლოცვა აღავლინა. ამავე დროს ამ ეკლესიის შესახებ გააკეთა ასეთი შენიშვნა: „სოხუმში არის ერთადერთი სამხედრო ეკლესია, საკმაოდ ვრცელი, მაგრამ უცნობია მისი საკურთხეველი თუ რა მიზეზითაა სამხრეთისაკენ მიცქეული“.

15 მაისს იგი უკვე ბიჭვინთაშია, საიდანაც ბზიფის ხეობის სოფლების შემოვლა დაიწყო. ეწვია გუდაუთას, ლიხნს, ხოფს, ანაკოფიას. აფხაზეთში ეპისკოპოსს დახვდა იქ მოღვაწე დეკანოზი დავით მაჭავარიანი, რომელიც მოგზაურობისას თან ახლდა. 20 მაისიდან გაბრიელ ეპისკოპოსმა ინახულა მდ. კოდორის აუზში მდებარე მრავალი სოფელი. სამურზაყანოში მგზავრობისას მას გრიგოლ შერვაშიძე და მისი ოჯახი მასპინძლობდა. სამი კვირის მოგზაურობის შემდეგ მწყემსთმთავარი, ანაკლიიდან ფოთის გავლით, 7 ივნისს ქუთაისში დაბრუნდა. შემდეგ წელს აფხაზეთში იგი უკვე ხმელეთით გაემგზავრა და პირველ რიგში ის სოფლები მონინახულა, სადაც წინა წელს, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ჩასვლა ვერ მოასწრო.

ეპისკოპოსი ყურადღებით აკვირდებოდა და სწავლობდა თითოეული სოფლის მდგომარეობას, მის გასაჭირს, ითვალისწინებდა მოსახლეობის სურვილებსა და მისწრაფებებს. მის ქადაგებას ყოველთვის ბევრი ხალხი ესწრებოდა, რადგან მუდამ ცდილობდა სათქმელი მიესადაგებინა მსმენელთა ხასიათის, სულისა და განწყობილებისათვის, ცდილობდა რომ მისი სიტყვა მათთვის უფრო გასაგები და მისაღები ყოფილიყო. ამ დროს საუბარი ძალზე დამაჯერებლად ჟღერდა და მსმენელებზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებდა. შეკრებილ ხალხს იგი მადლობას უხდოდა, რომლებიც ღმერთის სადიდებელი სიტყვის მოსასმენად მოვიდნენ, დალოცავდა მათ და ღმერთს ავედრებდა. როცა სრულ ყურადღებას შეამჩნევდა,



ეპისკოპოსი ამის შემდეგ ქადაგებას იწყებდა; დოგმატურ ნაწილზე ზოგადად და მოკლედ ჩერდებოდა, მსმენელთა ყურადღებას მხოლოდ თადად მიმართავდა რწმენისა და ზნეობის შესახებ მღვდელმთავრის მის არსზე; აგრეთვე იმაზე, რაც მათ გასაკვირსა და მდგომარეობას ესადაგებოდა. ამასთან მარტივად და გასაგებად განმარტავდა ეკლესიის მნიშვნელობას, ქრისტიანის მოვალეობას. მრევლს ასწავლიდა და უქადაგებდა იმ ჭეშმარიტებას, რომ სადაც შრომა და სწავლა-განათლებაა, იქ სიმდიდრე და კეთილდღეობა ისადგურებს. მაჰმადიან მოსახლეობას მიუთითებდა, რომ ისეთი დიდებული ტაძრები, როგორცაა ბიჭვინთა, დრანდა, ანაკოფია, მოქვი და სხვა ეკლესიათა ნარჩენები მათი წინაპრების ხელით იყო აგებული; ამავე მიწაზე განისვენებენ მათი მამა-პაპანი, რომ აქედან მართლმადიდებელი-ქრისტიანული სარწმუნოება მთელ საქართველოს ეფინებოდა და მათ თავიანთ წინაპართა ნაკვალევზე დაბრუნებას ურჩევდა.

დროის სიმცირის გამო, ეპისკოპოსი ზოგჯერ ეკლესიამდე ვეღარ აღწევდა და იქვე, ხეების ჩრდილქვეშ სახელდახელოდ ქადაგებას ატარებდა. ასე იყო, მაგალითად, სოფელ ლიხნში, სადაც ეპისკოპოსმა იმ მინდორზე იქადაგა, სადაც 1866 წ. რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი აჯანყება მოხდა. ეპისკოპოსმა მსმენელებს დახვედრისა და გულისყურით მოსმენისათვის მაღლობა გადაუხადა და დალოცა ისინი.

გაბრიელ ეპისკოპოსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა იმ გარემოებას, რომ ქრისტიანობაზე დაბრუნების დროს აჩქარებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა და იგი ყოვლად დაუშვებლად მიაჩნდა. ამიტომ, როცა მთელი სოფელი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე დაბრუნების სურვილს გამოთქვამდა, და ამავე დროს თუ შეიმჩნეოდა, რომ მოსახლეობა საამისოდ ჯერ კიდევ მზად არ იყო, ეპისკოპოსი იქ აუცილებლად მღვდელს განაწესებდა. მას მრევლი უნდა მოემზადებინა და როცა ისინი თავის სურვილში დარწმუნდებოდნენ, მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ ნათლობის მიღება. ეპისკოპოსი მთავარ სიძნელესა და დაბრკოლებას ხედავდა არა იმდენად აფხაზთა მიერ ქრისტიანობის მიღებაში, არამედ მის შემდგომ განმტკიცება-შენარჩუნებაში, რადგან აფხაზთა დიდი ნაწილი სულ მერყეობდა:

ხან ქრისტიანდებოდა, ხან მაჰმადის რჯულს აღიარებდა.

ეპისკოპოსს გადაუდებელ და საჩქარო საქმედ მიაჩნდა ძველი ეკლესიების აღდგენა-რესტავრაცია, ახლების მშენებლობა, მღვდლებისა და ბერ-მონაზვნების განწესება. ამისათვის მისი ძალისხმევით გზებს ეძებდა, რაც შედარებით მარტივი და ადვილად განსახორციელებელი იქნებოდა. მაგალითად, სოფლებში ეკლესიის ასაგებად ერთი გეგმის გამოყენება. სწორედ მისი მცდელობის შედეგი იყო, როცა 1869 წელს, აფხაზეთში მეორედ მოგზაურობისას, ეპისკოპოსმა შვიდი ახლად აგებული ეკლესია აკურთხა შემდეგ სოფლებში: ბალაკითი, აჩანდარა, დურიფში, ხვანი, ჯირხვა, მუზურხვა-აფიცხვა და ზვანდრიფში. ეს მცირე სიდიდის ხის ეკლესიები სოფლის მოსახლეობამ ადგილობრივი სახსრებით ააგო. ხელოსნებს შრომის საფასურს ახლომდებარე ეკლესიები უხდიდნენ<sup>3</sup>. ხელისუფლება საამისოდ საჭირო ხარჯების გაღებისათვის დიდად არ ზრუნავდა. სანახევროდ გაკეთებული საქმე განწირული იქნებოდა, რომ არა მღვდელმთავრის ენერგიული მცდელობა. იგი შეძლებისდაგვარად აწესრიგებდა ყველაფერს, რათა სოფლის მოსახლეობას ეკლესიაში სიარულისა და მღვდლის ყოლის საშუალება ჰქონოდა. ზედმიწერილ მრევლზე ახლომდებარე ეკლესიის მღვდელი ზრუნავდა. თანხის უქონლობის მიუხედავად იგი მცირე ხელფასით თავის მოვალეობას მაინც ასრულებდა. სასულიერო პირებს ნაწილობრივ, ან მთლიანად მრევლი ინახავდა.

გაბრიელ ეპისკოპოსმა წინასწარ შეკრებილი ცნობების საფუძველზე და არსებული მდგომარეობის შესაბამისად შეძლო რამდენიმე ადგილზე მღვდლად განწესებინა მცოდნე, წყნარი ხასიათის, წესიერი ადამიანები, რომლებმაც აფხაზური ენა კარგად იცოდნენ. მან 9-12 წლის ასაკის რამდენიმე ბავშვი შეარჩია რათა ქუთაისში სასწავლებლად წაეყვანა, რომელთაც თავის ხარჯით შეინახავდა<sup>4</sup>. მისი დიდი სურვილი იყო განათლებულ აფხაზებს თავის კუთხეზე თავად ეზრუნათ.

გაბრიელ ეპისკოპოსს დიდი დახმარება გაუწია სოფელ ტამიშში მცხოვრებმა გრიგოლ შერვაშიძის დედამ – კესარიამ. მან აფხაზური ენა შესანიშნავად იცოდა და ქმართან ერთად ქრისტიანობას დიდად

მფარველობდა, ქმრის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს იღვწა და ბევრი სიკეთე დათესა. ქალბატონ კესარიას დეკანოზ დავით მაჭავარიანთან და მღვდელ გეგეასთან ერთად დაევალია ქრისტიანული კომიტეტის შექმნა. კომიტეტს აფხაზურ ენაზე უნდა ეთარგმნა ლოცვანი, ქრისტიანული რწმენის განმარტებანი, ათი მცნება და შეძლებისდაგვარად — სახარებიდან საკვირაო წირვა-ქადაგებანი. ხანდაზმულობის მიუხედავად, კესარიამ მღვდელმთავრის დავალება დიდი სიხარულით მიიღო და შესრულება აღუთქვა.

გაბრიელ ეპისკოპოსისაგან მადლობა დაიმსახურა დეკანოზმა დავით მაჭავარიანმა. მან აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქრისტიანობის აღდგენა-განმტკიცებისათვის დიდი შრომა გასწია და კარგ შედეგებსაც მიაღწია<sup>5</sup>. ამავე დროს ეპისკოპოსი მკაცრი და მომთხონი იყო მათ მიმართ, ვინც თავის მოვალეობას უყურადღებოდ ეკიდებოდა. სწორედ ამ მიზეზით მან აფხაზეთიდან დაითხოვა მღვდელი ჩხიკვაძე, რომელიც ხშირად ადგილზე არ იმყოფებოდა. მიუხედავად ამისა, იგი უნუგეშოდ მაინც არ დაუტოვებია. მისთვის ნახევარი წლის ხელფასი გამოითხოვა და გურიაში გააგზავნა. აქ იგი უნდა დალოდებოდა პირველივე მრევლის გახსნას, სადაც მღვდლად განაწესებდნენ.

გაბრიელ ეპისკოპოსის მისიონერული მოღვაწეობის შედეგად წლების განმავლობაში (1868-1872 წწ. 1874 წ.) აფხაზთა დიდი რაოდენობა ქრისტიანობას დაუბრუნდა<sup>6</sup>.

აფხაზეთში მოგზაურობის დღიურები, რომლის მთავარი მიზანია ქრისტიანობის აღდგენა-გავრცელების მდგომარეობის ჩვენება, სხვა მრავალ საინტერესო ცნობებსაც შეიცავს. მასში შეიგდამიგ გვხვდება მოსახლეობის რაოდენობის ამსახველი სტატისტიკური მასალა. მართალია, იგი ნაკლები და არასრულყოფილია, მაგრამ სხვა მონაცემებთან შეჯერებით მისი გამოყენება შესაძლებელია.

1867 წლის „ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების“ ანგარიშის მიხედვით მდ. ბზიფის სოფლებში ახლად გაქრისტიანებულნი 2867 სულია ნაჩვენები, რაც ეპისკოპოსს გადაჭარბებულად მიანდა.

1868 წ. სოფელ ფსირცხაში 200-მდე ახლად მონათლული

აფხაზი აღირიცხა. სოფ. კინდლში 90 კომლიდან, 3-4 კომლის გარდა, ყველა ქრისტიანი იყო. ე.ი. იქ 600-ზე მეტი მოსახლე ჩანს. სოფელ სადებოში 30 კომლამდე ქრისტიანი ცხოვრობდა. დრანდის სამხრეთ და ჩრდ. სოფლებში – 100 კომლამდე. მათი მთლიანი რაოდენობა 400 კომლამდე – დაახლოებით 2500-3000 სული გამოდის.

დღიურებში გვხვდება აგერთვე ეთნოგრაფიული ხასიათის მასალა. გაბრიელ ეპისკოპოსი მიუთითებდა და უხსნიდა მსმენელებს, რომ მათ შორის მაჰმადიანობა კი არა, არამედ კერპთაყვანისმცემლობა იყო გავრცელებული. იგი ეხება ისეთ ცრურწმენებს, როგორცაა ცალკეული საგნებისა და მოვლენებისადმი თაყვანისცემა და მათი გაღმერთება. მაგ. ქედმოდრეკა ჭექა-ქუხილის წინაშე, ან გრდემლთან დადებული ფიცის გაუტეხლობა. გრდემლს ბევრ ადგილას სწირავდნენ მსხვერპლს: თხებს, ქათმებს, თაფლის სანთელსაც კი. გრდემლთან დადებული ფიცი მტკიცედ და ურღვევად ითვლებოდა. ცნობილია, რომ აფხაზებმა უახლოეს ხანებამდე შემოინახეს წარმართობის გადმონაშთები.

გაბრიელ ეპისკოპოსი აფხაზებს უხსნიდა, რომ მაჰმადიანობა მათთვის გარედან თავსმოხვეულია. აფხაზურ მიწაზე არ არსებობს მაჰმადიანური სალოცავები და არ ჰყავთ მოლები. იმისათვის, რომ აფხაზები თავის ძველ სარწმუნოებას, ქრისტიანობას დაბრუნებოდნენ, საჭირო იყო ცრურწმენებისაგან განთავისუფლება, რასაც ისინი ცოდნისა და განათლების დაუფლებით მიაღწევდნენ. ამას მოსდევდა აღნიშნული საკითხების გარშემო აგებული ახსნა-განმარტებითი ქადაგება.

ეთნოგრაფიული ხასიათისაა აგრეთვე მღვდელმთავრის მიერ დაკვირვებით და სიყვარულით აღწერილი თხილის წკნელებისაგან დაწნული ქოხი, სადაც მან ღამე გაათენა. რადგან იგი გავრცელებულ აფხაზურ საცხოვრისს წარმოადგენდა, ამიტომ მისი დაწვრილებით აღწერა საჭიროდ მიიჩნია.

ცხადია, დღიურები მდიდარია გეოგრაფიული სახელებით ამის გამო საინტერესოა ტოპონიმიკის თვალსაზრისითაც. ხშირად გვხ-

ვლება ორმაგი სახელწოდებანი. მაგ. სადებუა-დაპოკიტი, აძიუბეა-  
წყალივა, ფსირთა-ფსირცხა, ლიხნი-სოუკსუ და ა.შ.

დღიურებს კიდევ უფრო საინტერესოს ხდის გზების მდინარეების, ტყეების, საერთოდ ბუნების სილამაზისა და ეკლესიების აღწერები. მაგ. თვალწარმტაცი სურათია დახატული, როცა ბუნების წიაღში ნათლობის ცერემონიალი მიმდინარეობს, ან აღიდებულ მდინარეზე ადგილობრივ მამაც ვაჟკაცებს როგორ გადაყავთ მოგზაურები ცხენებით მდინარის მეორე ნაპირზე.

გზად მიმავალი ეპისკოპოსის თვალს არ გამორჩენია წაბლისა და კაკლის ტყეების სიუხვე-სილამაზე, ან როგორ დაუდევრად იყო გაჩენილი ძვირფასი ჯიშის ფიჭვნარი. აღწერილია ტყის ტევრის მიღმა მდებარე ეკლესია, რომელთანაც მიახლოებისას აღმოჩნდა, რომ ხეები გაბზარული გუმბათიდან და დამსკდარი კედლებიდან იყო ამოზრდილი. ეს სამწუხარო სურათი ეპისკოპოსმა დრანდისა და ანაკოფიის ტაძრების ხილვისას აღწერა. იგი მოკლედ და დაკვირვებით აღწერს გზად შემხვედრ ეკლესია-მონასტრებს, გამოყოფს ამა თუ იმ ნაგებობისთვის დამახასიათებელ, ან საქართველოს სხვა ტაძრებთან არსებულ საერთო ნიშნებს; ხაზს უსვამს ეკლესიის განსაკუთრებულობას, სიძველეს, სილამაზეს, პროპორციულობას, არქიტექტურის ხასიათს და ა.შ. ეს ტაძრები, მართალია, უკვე შესწავლილია, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა რადგან ისინი გაბრიელ ეპისკოპოსის დაკვირვებული თვალითაა დანახული და აღწერილი. ამავე დროს ვეცნობით იმ დროს რა მდგომარეობაშია და როგორ გამოიყურება ძეგლი. ბიჭვინთის ტაძრის ხილვისას მწყემსმთავარი ხაზს უსვამს იმ გარემობას, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ძეგლებისაგან განსხვავებით, ხშირი მიტოვებისა და ძნელბედობის მიუხედავად, ბიჭვინთის ტაძარი პირვანდელი სახით შემორჩა და მას ნგრევა არ განუცდია. ამავე დროს შენიშნავს მის მთლიან პროპორციასთან შედარებით, გუმბათის მცირეოდენ სიდაბლეს.

გაბრიელ ეპისკოპოსმა ფეხით შემოიარა და დაათვალიერა სიმონ კანანელის ანაკოფიის ტაძრის ნანგრევები, რომელსაც მახლობელი სოფლების მცხოვრებნი თაყვანს სცემდნენ. იგი აღწერს დრანდის

ეკლესიას, აღნიშნავს მის ორიგინალობას და სხვა ეკლესიებისაგან მისი არქიტექტურის განსხვავებულობას. ეკლესიის გარშემო სხვადასხვა ნაგებობათა ნარჩენები მოწმობდა, რომ თავის დროზე იგი მონასტერს წარმოადგენდა. ეპისკოპოსმა მისი შეკეთება-აღდგენა გადაწყვიტა. ამავე დროს, დროებით გამოსაყენებლად, იქვე მდებარე ხის ეკლესია აკურთხა, რომლის მახლობლად ას კომლამდე ქრისტიანი მოსახლე იყო.

აღწერილია მოქვის ეკლესია, მისი თავისებური არქიტექტურა, მოგრძო ფორმისა, კედლის გასწვრივ დაყოლებული ქვის დერეფნით. აფხაზეთის უკანასკნელმა მთავარმა ერთ ბერძენს დაავალა ტაძრის აღდგენა და მისი კრამიტით გადახურვა, რაშიდაც 25 000 მან. გადაუხადა. ეკლესიაში იღო ჯერ ჩამოუკიდებელი ზარი და გუმბათისათვის განკუთვნილი დიდი სპილენძის ჯვარი.

გაბრიელ ეპისკოპოსმა მოქვის ეკლესიაში წირვა-ლოცვა აღავლინა და ქადაგება ჩაატარა, მოსახლეობას შეახსენა, რომ ეს ძველი ეკლესია მათ წინაპართა მიერ იყო აგებული, რომ ძველ რწმენას დაუბრუნდებოდნენ და იმ ადგილზე ელოცათ, სადაც მათი მამა-პაპანი განისვენებდნენ. ჩანს, რომ აქ დიდი ეკლესია იყო და იმჟამად მასთან გახსნილი ორკლასიანი სამრევლო სკოლაც მოქმედებდა.

აფხაზეთში ქრისტიანობის აღდგენა-დამკვიდრებას ეპისკოპოსი პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. მას მიაჩნდა, რომ „ქრისტიანობის აღმდგენ საზოგადოებას“ აფხაზეთში ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისათვის დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა და ასკვნიდა: „მაგრამ რადგან აღიარებულია, რომ აფხაზეთი ყოველი მხრივ მნიშვნელოვანი და საყურადღებო მხარეა, მაშინ საზოგადოებამ ამ მიზნის მისაღწევად ყოველი ღონე უნდა იხმაროს“. სინამდვილეში ჩანდა, რომ აღნიშნული საზოგადოება ფაქტიურად სხდომებითა და მსჯელობებით უფრო იფარგლებოდა, ვიდრე რეალური საქმიანობით. საზოგადოების სხდომებზე მსჯელობდნენ იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში გაეგზავნათ სემინარია დამთავრებული, განათლებული მღვდლები კარგი ხელფასით, ეპისკოპოსი სიამოვნებით იზიარებს და ეთანხმება ამ აზრს, მაგრამ ეეჭვება მისი რეალური განხორციელება

და იქვე განმარტავს: „იქ არავინ მიდის მრავალი ხელშემშლელი მიზეზების გამო. ამავე დროს არ იციან ადგილობრივი პირობები, ენა, წეს-ჩვეულებები“. სანამ აფხაზეთში წამსვლელი მღვდლები გამოჩნდებოდნენ, გაბრიელ ეპისკოპოსი იმ მომენტში, იმ პირობებში იმით იფარგლებოდა, რისი განხორციელებაც რეალურად იყო შესაძლებელი.

ავტორი თავისი დღიურების ბოლოს აფხაზეთში მართლმადიდებლობის მდგომარეობისა და მისი გავრცელება-განმტკიცების შესახებ რამდენიმე შენიშვნას აკეთებს. ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებს ამ საკითხისადმი ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულებას.

გაბრიელ ეპისკოპოსი აღნიშნავს, რომ აფხაზეთი ყოველთვის იპყრობდა შავიზღვისპირა მეტ-ნაკლებად ძლიერი სახელმწიფოების ყურადღებას და ეხება უძველესი დროიდან არსებული ბერძნული კოლონიების, გამაგრებული პუნქტების მნიშვნელობას აფხაზეთში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებაში; ყურადღებას აჩერებს ანდრია პირველწოდებულის, სიმონ კანანელის ღვაწლზე; მიუთითებს იმ ქრისტიანულ ტაძრებზე, რომელიც ამ ტერიტორიაზე უძველესი დროიდან შემორჩა. იგი იხსენებს იმ დროს, როცა თურქების გავლენა კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ (1453 წ.) შავი ზღვის სანაპიროზე თანდათან გავრცელდა და მის შედეგებზე საუბრობს, იგი მსჯელობს იმ დიდ საფრთხეზე, რაც ეროვნებას გამაჰმადიანების შემთხვევაში ემუქრება და მოაქვს ახალციხის მაზრის მაგალითი: „მისი მკვიდრი მცხოვრებნი, ენობრივად ქართველები, მაჰმადიანობის მიღების შემდეგ თავს თურქებად თვლიან და ცხადია, თავის თავს თურქებს უწოდებენ. როცა ნებისმიერი ახალციხელი სარწმუნოებას იცვლის, მასზე ამბობენ, რომ ის გახდა თურქი. აქედან ჩანს თუ რა მკვიდროდაა გადახლართული სარწმუნოებისა და ეროვნების ცნებები გაუნათლებელი ხალხის აზროვნებაში“ — დაასკვნის ეპისკოპოსი.

თურქები აფხაზთა მიმართ საგანგებო პოლიტიკას მიმართავენ, აფხაზთა გამოჩენილ გვარებს ქორწინებით უნათესავებოდნენ, სააგიტაციოდ მოლებს აზაზნიდნენ და ა.შ. ამიტომ გაბრიელ ეპისკოპოსს ძალზე მნიშვნელოვნად მიაჩნდა, რომ თითოეულს ბოლომდე გაეგო ქრისტიანული სარწმუნოების არსი, რათა მასში

რწმენა განმტკიცებულიყო. ამისათვის იღწვოდა იგი ეკლესიების განახლება-მშენებლობისათვის, განათლებული ავტორიტეტული მღვდლების განწესებისათვის და ამ მხარეში განათლების განვითარებისა და ზნეობრიობის ამაღლებისათვის. ამისათვის მისი პირადი ღონისძიებებიც ხელისუფლებისაგან დახმარებას მოითხოვდა. აქ იგი სრულიად ელემენტარულ დახმარებას გულისხმობდა. მხარის ჩინოვნიკი თუ მმართველი თავად უნდა ყოფილიყო ჭეშმარიტი ქრისტიანი, ევლო ეკლესიაში, დაეცვა წესები. მას უნდა ეჩვენებინა ქრისტიანობის უპირატესობა და ხალხისათვის მისაბაძი მაგალითი ყოფილიყო.

გაბრიელ ეპისკოპოსი პირდაპირ ამბობს, რომ ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი რუსული მმართველობის მოქმედება სრულიად გაუგებარი იყო. მას მკვებლობა უფრო მოჰქონდა, ვიდრე სარგებლობა. მათი ქმედებანი და განკარგულებები ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი იყო. იგი გაკვირვებული იყო იმით, რომ მართლმადიდებელ ქვეყანაში ადამიანი, ან ოჯახი ქრისტიანობის დაბრუნების შემთხვევაში, შეიძლებოდა დაერბიათ და გაენადგურებინათ. ეპისკოპოსი აქვე კითხვას სვამს: „განა აგრეთვე ძალზე გასაკვირი არ არის ის აშკარა ფაქტი, მოვლენა, რომ ახალციხის მაზრაში მაჰმადიანობა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც იგი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა? ... აქ თითქმის არ ყოფილა ისეთი უფროსი, რომელიც აშკარად მტრულად, ან გულგრილად არ უყურებდა მართლმადიდებლობას“. ცხადია, იგი იგივე მდგომარეობას გულისხმობდა აფხაზეთის მიმართაც. ხელისუფლება, რომელიც ცდილობდა ქრისტიანობის აღდგენა-განმტკიცებას, ამავე დროს ხელს არ უშლიდა თურქეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსული მოღვაწეების მომრავლებას და მათ მიერ ჩატარებულ აგიტაციას.

გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობის შედეგად აფხაზეთში შეიქმნა ქრისტეს მიმდევარი სამწყსო-მრევლი, რის საფუძველზედაც შემდეგ სოხუმში საეპისკოპოსო დაფუძნდა. 1885 წ. რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთი იმერეთის საეპისკოპოსოს სავსებით ჩამოაშორა, მიუერთა სტავროპოლის მხარეს და იქ რუსი მღვდელმთავრები გამოგზავნა.



გაბრიელ ეპისკოპოსის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა დღესაც ყველასთვის მისაბაძია. მისი „ქადაგებანი“ უშრეტო წყარო მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განსამტკიცებლად და სულიერად წმინდა, მაღალხნეობრივი ახალგაზრდობის აღსაზრდელად.

ნაშრომის ეს ნაწილი შესრულებულია  
ნინო ქიქოძესთან ერთად

### ლიტერატურა:

1. ი. ზურაბიშვილი „კარგ-ქართველთა ხსოვნისათვის“. პარიზი, 1962, გვ. 72 „...გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, როგორც შეუდარებელი მქადაგებლისა და მისი ქადაგებანი ბულგარულ ენაზე ნათარგმნია და გამოცემული“.

სპ. კელენჯერიძე, „გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა“, ქუთაისი, 1913, გვ. 309.

2. გაზ. „კავკაზი“, 1869, N 12-15

3. გაზ. „კავკაზი“, 1870, N 42-44

4. სპ. კელენჯერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 287

5. Кирион. Краткий очерк истории грузинской церкви и экзархата за XIX столетие“ 1901. გვ. 129-130.

6. გაზ. „მწყემსი“, 1889, N 13. კირიონი, დასახ. ნაშრ. გვ. 80.

**გაბრიელ-ეპისკოპოსის ცხოვრებისა და  
მოღვაწეობის მნიშვნელოვანი თარიღები**



იმერეთის ეპისკოპოსი, უსამღვდელოესი გაბრიელი

(1825-1896 წ.წ.)

- 1825 წ. 15 ნოემბერს დაიბადა, ერისკაცობაში – გერასიმე ქიქოძე, სოფ. ბახვში, მღვდლის მაქსიმე ქიქოძის ოჯახში.
- 1839 წ. – სწავლობდა თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სემინარიაში.
- 1842 წ. – შევიდა ფსკოვის სასულიერო სემინარიაში
- 1844 წ. – გადავიდა პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში
- 1845 წ. – დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო სემინარია
- 1849 წ. – დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია. ამავე წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ.
- 1850 წ. – მიიღო მაგისტრის ხარისხი
- 1851 წ. – მიმოიხილა და გაეცნო გორისა და ქუთაისის სასწავლებლებს.
- 1854 წ. – მისივე თხოვნით განთავისუფლდა სემინარიის ინსპექტორის თანამდებობიდან. დანიშნეს ფიზიკა-მატემატიკის მეცნიერებათა პროფესორად. ამავე წლიდან ა/კ კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში ასწავლიდა საღვთო სჯულს.
- 1854 წ. – მღვდლად აკურთხეს.
- 1856 წ. – ბერად შედგა. დაჯილდოვდა ენქერით.
- 1858 წ. – არქიმანდრიტის წოდებით განაწესეს დავით გარეჯის მონასტერში.
- 1859 წ. – გორის ეპისკოპოსია. საქართველო-იმერეთის სინოდის წევრია და შუამთის მონასტრის წინამძღვარი.
- 1860 წ. – იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსია.
- 1864 წ. – დანიშნეს იმერეთის, გურიის, სამეგრელოს მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ყოფის გასაუმჯობესებელი კომიტეტის თავმჯდომარედ.

- 1865 წ. — დაჯილდოვდა წმ. ვლადიმირის III ხარისხის ორდენით.
- 1866 წ. — აირჩიეს კავკასიის მართლმადიდებელ ქრისტიანობის აღმდგენი საზოგადოების ნამდვილ წევრად.
- 1867 წ. — დაჯილდოვდა წმ. ანას I ხარისხის ორდენით.
- 1869 წ. — ქუთაისის პატიმართა ზნეობრივი და მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებელი კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი.
- 1860-1886 წ.წ. — განაგებდა აფხაზეთის ეპარქიას და ამ ხნის განმავლობაში ქადაგების გზით 18 ათასამდე აფხაზი დაუბრუნა ქრისტიანობას.
- 1860-1896 წ.წ. აღადგინა აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში, იმერეთში ეკლესია-ტაძრები.
- 1871 წ. — დაჯილდოვდა წმ. ვლადიმირის II ხარისხის ორდენით.
- 1883 წ. — მიიღო აღმასებით შემკული ოქროს პანაგა.
- 1889 წ. — მიიღო წმ. ალ. ნეველის ორდენი.
- 1853-56 წ. — ომის აღსანიშნავად უბოძეს ბრინჯაოს სამკერდე ჯვარი.
- 1996 წ. — გარდაიცვალა, დაკრძალულია გელათის მონასტერში.
- 1996 წ. — გაბრიელ ეპისკოპოსი წმინდანად აღიარეს.

გაბრიელ ეპისკოპოსის ნაშრომებიდან აღსანიშნავია:

- 1858 წ. პეტერბურგში გამოცემული სამეცნიერო ნაშრომი „ცდი-სეული ფსიქოლოგიის საფუძვლები; რომელიც მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ აღიარეს.
- 1865 წ. — „ქადაგებანი“ — ორ ტომად, ქართულ ენაზე.
- 1867 წ. — გამოიცა ინგლისურ ენაზე.
- 1893 წ. — რუსულ ენაზე.
- 1913 წ. — ქადაგებათა I და II წიგნი. ქ. ქუთაისი.
- 1989 წ. — 1913 წ. გამოცემის მიხედვით ორივე ტომი უცვლელად გამოიცა.

**ლიტერატურა:**

- 1) მ. კელენჯერიძე (მღვდელი) – „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა)“ ქუთაისი, 1913 წ. (306-309 გვ.)
- 2) „სულმნათ გაბრიელის საუნჯე“. ქუთაისი, 1897 წ.
- 3) ქს.ე – ტ.2. 1977. გვ. 607-608.



Handwritten text in Georgian script, likely a manuscript page. The text is dense and covers most of the page area.

111

N 29

Handwritten text in Georgian script, located in the upper right section of the page. It appears to be a separate entry or a continuation of the main text.

Handwritten text in Georgian script, located in the lower section of the page. It contains several lines of text, possibly a list or a detailed account.

ანტონ ნადირაძის მიმართვა ატესალმომ ჩაჩანიძისადმი



36-00 3149  
377

УВАЖАЕМЫЙ ПРАВИТЕЛЬСТВО РАССЕЛЕННЫХ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ ПОСЕЛЕНЦЕВ СССР, ПРИКАЗЫВАЮЩИЙ РАССЕЛЕННЫМ ПОСЕЛЕНЦАМ СССР.

*Владимиру Абрамовичу*

В ответ на Ваше письмо от 11.09.1913 г. сообщаем, что в настоящее время в архивах Государственного архива Российской империи хранятся следующие документы:

*Протокол заседания Совета Ученого при Императорском Русском Географическом Обществе, состоявшегося 10.09.1913 г. в Москве. В протоколе сообщается о получении от Вас письма от 10.09.1913 г. и о решении Совета Ученого при Императорском Русском Географическом Обществе от 10.09.1913 г. в отношении Вашего письма. В протоколе сообщается, что Ваше письмо было рассмотрено на заседании Совета Ученого при Императорском Русском Географическом Обществе 10.09.1913 г. и что Совет Ученого при Императорском Русском Географическом Обществе постановил: 1. Поручить Вам собрать материалы по истории села Казань, в частности по истории Казанского монастыря, и представить их в Государственный архив Российской империи. 2. Поручить Вам собрать материалы по истории села Казань, в частности по истории Казанского монастыря, и представить их в Государственный архив Российской империи.*

11.09.1913,  
Иван Александрович  
Конюхов

*И. А. Конюхов*

36-00 3100  
378

Благочинному, свящ. Владимиру Абрамовичу.

Предписания от 15 сего сентября за № 3663, настоятелю Дружеского монастыря мною были выданы, по сие время они мне не представлены, по сему предлагаю Вам по получении сего моего предписания распорядиться, чтобы Евангелии эти были представлены мне немедленно для представления в Трудный Председательниц Московского Археологического Общества Графини Уваровой и проф. Хаханову на рассмотрение и изучение.

*Скорее пожалуйста свяжитесь с Государственным архивом Российской империи.*

*И. А. Конюхов*

24 сентября 1910 года.

მიმართვა ებ. გიორგისა  
ჯორჯის სახარების მოთხოვნისა  
უკარგოვისა და სახანაშვილისათვის  
კადასაცემად

1885

დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა

განა ერთი შერთ ზე მდებარე სახლი  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა

1885

დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა

დურთ ხორ ზე ხორჯ

1885

განა ერთი შერთ ზე მდებარე სახლი  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა  
დღის ერთი ნადასრულ შემთხვევა


ანგარიში საჩხერის ორკლასიანი სკოლის შესახებ

დურთ ხორ ზე ხორჯ



გაბრიელი. იმერეთის ეპისკოპოსი






საგანის ეკლესია



ორლულის ეკლესია




ჯრუჭის ოთხთავის მინიატურა




სპეთის ეკლესიის კანკელი



კაცხის ეკლესია



ჯრუკის მონასტერი



სავანის ეკლესიის  
დასავლეთის კარი



წინასიტყვაობა.....

შესავალი.....

**თავი I**

იმერეთის ეპარქიის, საჩხერის საწინამძღვრო ოლქის  
სამრევლო ეკლესიების, კრებულისა და მრევლის აღწერა..... 18

**თავი II**

სამრევლო ეკლესიები და სკოლები, მათი შეკეთება-აღდგენა  
და მშენებლობანი..... 64

**თავი III**

საკანცელარიო მიმოწერა ..... 114

კრებულში შესული ეკლესიების ნუსხა (საშტატო,  
ზედმიწერილი და სხვა ეკლესიები)..... 150

**დანართი I**

გაბრიელ ეპისკოპოსის პირადი წერილები, გაგზავნილი თავის  
ძმისშვილ მარიამ სემენენკოსადმი..... 154

ქეთევან მუშკუდიანი, ნინო ქიქოძე — „გაბრიელ ეპისკოპოსის  
მოგზაურობა აფხაზეთსა და სამურზაყანოში 1868 წელს“...158

გაბრიელ-ეპისკოპოსის ცხოვრება და მოღვაწეობის  
მნიშვნელოვანი თარიღები.....169

ქვემოთხაზი მუშაკუდიანი

**იპერეთის ეპარქიის სამრევლო  
ეკლესიები**



გამომცემლობა „მერიდიანი“  
თბილისი 2009

რედაქტორი *ნელი ელიზბარაშვილი*  
ტექ. რედაქტორი *ინგა ნავროზაშვილი*




26

112/463



გამომცემლობა „მერიდიანი“,  
აღ. ყაზბეგის გამზ. №47  
E – mail: [info@meridianpub.com](mailto:info@meridianpub.com) ☎ 39-15-22



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

